# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 15 აპრილი 2003 №66 (1837) | ფასი 50 თეთრი


## კარგი ყველას თავისთვის უნდა

### შოტლანდიაში ნაქებ ხიზანიშვილს ბევრი უცხოც უთვალთვალებს




ზურაბ ხიზანიშვილს „დანდისთან“ კონტრაქტის ვადა ამ სეზონის ბოლოს ეწურება და რაკი ეს ბოლო მოახლოვდა, კლუბმა ქართველ მცველს ახალი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა.

ზურაბ ხიზანიშვილმა უარი თქვა და მართალიცაა: მისი კლასის ფეხბურთელს უკეთეს გუნდში მიწვევის იმედი უნდა ჰქონდეს, მით უფრო, რომ ზურაბისთვის თვალი უკვე დაუდგამთ, „გლაზგო რეინჯერსს“ და ინგლისურ-იტალიურ კლუბებს ახსენებენ. რატომაც არა — შოტლანდიელებმა იქაურ პრემიერლიგაში ის თებერვალ-მარტის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს.

იხილეთ მესამე გვერდი

## პოლიტიკური აბრეშუმი უფრო ძვირია თუ სამი ქულა?

ზეექვსეულს ვამბობთ, თორემ ჩემპიონობისთვის ოთხი გუნდი იბრძვის, დანარჩენი ორი ვინმეს ხასიათს თუ გაუფუჭებს და ჰაერივით საჭირო ქულებს დააკარგვინებს — მათი ფუნქცია მხოლოდ ესაა. ეროვნული ჩემპიონატის დღევანდელ ტურში ის ორნი — „სიონი“ და „კოლხეთი“ — უსაქმოდ არიან, რადგან ზეექვსეულს ზეოთხეული ერთმანეთში არკვევს ურთიერთობას. დღეს „ტორპედო“ მასპინძლობს „ვიტ ჯორჯიას“, ხოლო „დინამო“ — ლოკომოტივს“.



ბადრი კეთილაძის ფოტო

საცხრილო მდგომარეობა იმგვარია, რომ „დინამოს“ გამარჯვების შემთხვევაში უმალ აკაკი ჩხაიძის პარტია მოიგებს საპარლამენტო არჩევნებს, ვიდრე მისი „ლოკომოტივი“ შესწვდება ჩემპიონობას. ხოლო პირიქით თუ მოხდა, ვიტყვით, ყველაფერი აწი გადაწყდებაო.

იმავ საცხრილო ვითარების თვალსაზრისით დღეს ვერაფერს გვეტყვის ქუთაისური მატჩის შედეგი, მაგრამ იმავე ცხრილის მიხედვით თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს და დღეს მოპოვებულ-დაკარგული ქულები ეგებ სეზონის ბოლოს აღმოჩნდეს სასიცოცხლო.

ცხრილსაც თავი რომ დავანებოთ, ეს ორი მატჩი, ქართული ფეხბურთის საზომით, დიდი დერბიც არის და ელ კლასიკოც, რომელშიც ოთხივე გუნდი მეტოქის დამარცხებით იმუქრება. და თუ საკლუბო ფეხბურთის ტელევიზორში ყურება მოგბეზრდათ და ცოცხლად ნახვა გსურთ, ისევ ამ ოთხეულს ურთიერთშეხვედრებს თუ დაესწრებით. რისგან მეტ სიამოვნებას მიიღებთ, ეგ სხვა საკითხია.




## ესეც 200 შოთასი

საქართველო, თურქეთი, ჰოლანდია, შოტლანდია – ეს ის ქვეყნებია, სადაც შოთა არველაძეს უთამაშია და ახლაც თამაშობს. ამას შეხსენება არც უნდა, რადგან ტყუპისცალის ასავალ-დასავალი ქართველმა ქომაგმა ისედაც იცის. ხოლო არველაძის საფეხბურთო გეოგრაფია იმიტომ გავიხსენეთ, რომ გვეთქვა: გუშინწინ „დანდი იუნაიტედის“ კარში გატანილი მეორე გოლი ამ ოთხი ჩემპიონატის საერთო მონაგარში არველაძის მეორასე გამოდგა.

აქ არ ჩაგვითვლია შოთას სათასო და სანაკრებო გოლები, თორემ ჯამში სამასზე მეტი გამოვიდოდა.

ქართველი ფეხბურთელი „ტრაბზონსფორისთვის“, „აიქსისა“ და „რეინჯერსისთვის“ რომ იტანს დიახაც, სასიამოვნოა, თუმცა ქართველი ქომაგის გულს უფრო მისი სანაკრებო გოლები ეამება. ჩვენთვის ათ რეინჯერსულ გოლზე მნიშვნელოვანი მისი ერთი გოლი იქნება 30 აპრილს, რუსეთის ნაკრების კარში.

## სენსაცია NN1

### სიფრიფანა ჟიუსტინ ენენმა ადამიანებს შანსი დაუბრუნა

ესეც ასე, ამასაც მოვესწარით...

ჩარლსტონის თიხნარზე უცნაური რამ მოხდა, ნოემბრის აქეთ მატჩის არწამგებმა დევქალმა სერენა უილიამსმა ყველას გასაოცრად სიფრიფანა ბელგიელ ჟუსტინ ენენ-არდენთან 4:6, 3:6 წააგო.

საჩოგბურთო სამყაროში ინტრიგის სუნი დატრიალდა. ქალთა იმ კორტებს, საიდანაც სერენა უილიამსმა დაძაბულობა გააძევა, ადამიანური მღელვარება უბრუნდება — თურმე ამ ბაყვბაყვ დევის დამარცხება შესაძლებელი ყოფილა.







# შუშაკს თავი ვაგზალში ჰგონია

**დინამო – ლოკომოტივი**

**დღეს** საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეული მატჩია — თბილისის „დინამო" თანაქალაქელ „ლოკომოტივს" მასპინძლობს.

ამ გუნდების შეხვედრას, რა თქმა უნდა, პრინციპული მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ უპირველესად, პრაქტიკული — მოიგებს „დინამო", ჩემპიონო რბოლაში ერთ-ერთ უპირველეს კონკურენტს ჩამოიშორებს; მოიგებს „ლოკომოტივი"? — მოულოდნელად „ვიტ ჯორჯიასთან" და „სიონთან" დამარცხებისა ლიდერებს თავის სუნთქვას გააგონებს, აგრძნობინებს, თავის ერთი წამორჩიკება სარგებლიანი.

მაშ ასე, „დინამო" — „ლოკომოტივი".

— ეს არა მარტო ქალაქური დერბია, ვფიქრობ, რომ ამ მატჩის მნიშვნელობა მთელ ქვეყანას გასწვდება. ფსიქოლოგიურად ძალიან რთულია ამ ეტაპზე „ლოკომოტივთან" შეხვედრა, რადგანაც იცი, რომ ამ გუნდს ერთ თვეში კიდევ სამჯერ უნდა ეთამაშო. მატჩები ერთმანეთის მიყოლებით მაშინაც ძნელად პროგნოზირებადია, როცა აშკარა ფავორიტი აუტსაიდერს ეთამაშება. ამ შემთხვევაში კი ორი თანაბარი ძალის გუნდის დაპირისპირებას ველით. ჩვენ „ლოკომოტივთან" საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ და ვეცდებით, მატჩისას დავამტკიცოთ, რომ ფავორიტები ვართ. ნაკლებმნიშვნელოვანია „ლოკომოტივს" დღეს ჩავარდნა აქვს თუ არა, „დინამოსთვის" მთავარია მოგება — ასეთია „დინამოს" მწვრთნელ *ივო შუშაკის* სადღეისო მატჩისწინა კომენტარი.

„ლოკომოტივთან" ვერ ითამაშებს ლადო ახალაია. მან საქართველო — შვეიცარიის ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრისას ფეხი იტკინა, ჩემპიონატის წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩისას კი ტრავმა გაიმიზეზა და დასვენება სჭირდება. ახალაიას დანაკლისს შუშაკი სავარაუდოდ ლადო ბურდულით შეავსებს, რომელიც უკვე მთელი დატვირთვით ვარჯიშობს და ასევე „ვიტ ჯორჯიასთან" სათასო შეხვედრისას ბოლო სამ-ოთხი წუთი ითამაშა კიდეც. ასევე სავარაუდოა, რომ დღეს „დინამოს" განაცხადში იქნება ლაშა ჯაკობია, რომელსაც ქვეყნის ჩემპიონატში ჯერ არც კი უთამაშია. ჯაკობია, „დინამომ" საამჩემპიონატო განაცხადში უკვე შეიყვანა.

ახლა „ლოკომოტივისაც" ვკითხოთ. რკინიგზელები დღეს „ეროვნულს" პირველ შემტევ ნახევარმცველ, სალასართან ერთად ესტუმრებიან. ეს ფეხბურთელი, ჯაკობიას მსგავსად, ახალი იქნება ეროვნული ჩემპიონატისთვის, თუმც კი საქმეში არც ერთხელ ნანახი. „ლოკომოტივის" მწვრთნელ ლუის ცაკარიასს ჯერ არ გადაუწყვეტია, ათამაშებს თუ არა ახალწვეულს „დინამოსთან" ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ნაღდია, რომ ბოლო ორ თამაშში წაგებული რკინიგზული გუნდი დღეს მოედანზე მოსაგებად შემართული იქნება.

— მეტად რთული მატჩი რომ გველის, ამის თაობაზე, ვფიქრობ, ლაპარაკიც ზედმეტია. ეს თბილისური შეხვედრაა და ამდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ სტუმარია, ვინ მასპინძელი, შანსებს თანაბრად ვაფასებთ. ისე კი, ვიმედოვნებთ, მატჩი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება — გვითხრა „ლოკომოტივის" ტექნიკურმა დირექტორმა *ლევან ყიფიანმა*

**ტორპედო – ვიტ ჯორჯია**

„ტორპედო" — „ვიტ ჯორჯიას" ბოლოდროინდელი ქუთაისური დაპირისპირებები გაჭრილი ვაშლის ნაწილებივით ჰგავდა ერთმანეთს. დაძაბულ ბრძოლაში უპირატესობას მასპინძლები ეუფლებოდნენ, თითქოს თამაშიც მათი კარნახით გრძელდებოდა და საფინალო სასტვენის მოლოდინში რომ იყვნენ ქომაგები, სწორედ მაშინ გამოხტებოდა ვიტელი გოჩაშვილი და მისი ზუსტი თავურის შემდეგ სტუმრები შინ ქულით ბრუნდებოდნენ.

მისთვის უსიამოვნო ტრადიცია „ტორპედომ" მეთოთხმეტე ჩემპიონატის პირველ ეტაპზე დაარღვია. შინ „ვიტ ჯორჯიას" 1:0 მოუგო, თუმც ბოლო წუთებზე გოლს კი გადაურჩა შტელინის გუნდი.

ბოლო ოთხი ქუთაისური შეხვედრიდან მასპინძლებმა ერთი მოიგეს. სამაგიეროდ, სტუმრად ყოჩაღობდნენ რიონისპირელები, სადაც მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს, ისიც მეთორმეტე ეროვნულის დასკვნით ეტაპზე.

სადღეისოდ სხვადასხვა განწყობით შეიყრებიან რიონისპირელები და ვეტერინარები. შტელინს ტრავმირებული ახალკაცის გამოჯანმრთელების იმედი არც ჰქონდა, სხვები კი ჯანზე ჰყავს და არც დისკვალიფიკაციებს დაუსუსტებია „ტორპედო".

დანაკლისი კარნევალის გუნდში მეტია. დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს მუჯირი, ტრავმირებულები არიან ინწკირველი და ყიფიანი. იტალიელმა გუნდი გუშინ დილითვე გაამგზავრა წყალტუბოში. საღამოს უკვე სალორიას ბაზაზე ავარჯიშა და დღეს მთელი ძალით ეცდება მიზნის მიღწევას.

გუშინ შეკრებაზე იყო „ტორპედოც", ვისი უკრაინელი თავკაციც მხოლოდ მოგებას გეგმავს.

*ალექსანდრ შტელინი:* „ვაფასებთ „ვიტ ჯორჯიას" სიძლიერეს. ისინი ბოლო წუთამდე თავგანწირვით იბრძვიან, მაგრამ მგონია, რომ „ტორპედოს" დღევანდელ შემადგენლობას შეუძლია მეტოქის დამარცხება."

*ჯანი კარნევალი:* „ვიტ ჯორჯია" ეცდება, მეტოქეზე ერთით მეტი გოლი გაიტანოს და მატჩი სათავისოდ დაასრულოს. ჩვენ გარკვეული პრობლემები გვაქვს დაცვაში, თუმც სათადარიგოთა სკამზეც საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები გვყავს და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ."

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 32 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 31 |
| ტორპედო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 30 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:3 | 28 |
| სიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 21 |
| კოლხეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:6 | 17 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 18 - მელქაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 17 - იონანიძე | *ტორპედო* |
| 13 - დარასელია | *დინამო* |
| 9 - კოშკაძე | *სიონი* |
| შავგულიძე | *სიონი* |

საქართველოს უმაღლესი ლიგის 14 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

## 4 ტური ანონსი

## I–VI ადგილები

თბილისი. ეროვნული. 15 აპრილი. 16 საათი

### დინამო — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** რ. შოთაძე

ქუთაისი. ტორპედო. 15 აპრილი. 16 საათი

### ტორპედო — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგიგიძე (სამტრედია); ი. კახიანი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** გ. ძამუკაშვილი
**დისკვალიფიცირებული:** მუჯირი (ვიტ ჯორჯია)

ფოთი. ფაზისი. 15 აპრილი. 16 საათი

### კოლხეთი — სიონი

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); დ. ხანაია (სოხუმი); **სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** გ. ხორდია
**დისკვალიფიცირებული:** ა. ლაბაძე (კოლხეთი)

საქართველოს უმაღლესი ლიგის 14 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

## 4 ტური

## VII–XII ადგილები

# ფიქრები სინანულისანი
# წონაში დაკლება გარანტიით

ზესტაფონი. 14 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური. 150 (ტევადობა 10 000)

### მეტალურგი 0:2 გორდა

0:1 ნოზაძე (23), 0:2 ლ. ალადაშვილი (34)

**მეტალურგი:** სხულუხია, გელაშვილი (დ. კაპანაძე 66), კ. თავბერიძე, გოგაძე, კვანტრიშვილი, მანჯავიძე (ნასრაძე 85), კაცია შვილი, მამუკაშვილი, ჭუმბურიძე, ბოგვერაძე (შველიძე 60), ნიშნიანიძე
**სათადარიგონი:** მდინარაძე; ე. მაღლაკელიძე, ბ. შავგულიძე, მიქაბერიძე
**მწვრთნელი:** გურამ მაზმიშვილი

**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ხილაგაძე, არსოშვილი, კ. ალადაშვილი, ზგ. ლაბაძე, ჩოხელი (გაბრიჭიძე 80), ბ. ნოზაძე, ჯელაძე (მიქავა 62), ლ. ალადაშვილი, ადეიშვილი (სოხაძე 62)
**სათადარიგონი:** ჯანიაშვილი; სოზაშვილი
**მწვრთნელი:** იასონ ალადაშვილი

**მსაჯები:** გ. ახკაროლლი (ქარელი); ლ. ხილაგავა, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** დ. გოგია

**ჯარიმა:** 12-11; **კუთხური:** 1-4; **კარისკენ დარტყმა:** 2-6; **კარში დარტყმა:** 2-6; **თამაშგარე:** 3-8

**კახა შალამბერიძე ზესტაფონიდან**

**მოგბეზრდათ?** სხვა რა გზაა, მაისამდე მოგიწევთ გაძლება. მერე კი „მეტალურგი", უკეთეს შემთხვევაში, პირველ ლიგაში ითამაშებს, არადა, დაიშლება...

ჩვენი ჭირიც წაუღიაო, იტყვის მავანი მკითხველი, მაგრამ მთლად ასეც არაა საქმე. ამ გუნდის წვალება და საერთოდ არსებობა ნამდვილი საცოდაობაა. ყოველ თამაშზე სტადიონზე მისული ზესტაფონელი ქომაგი სინანულით იხსენებს მისი საყვარელი გუნდის წარმატებულ წლებს, თუმც ეს ადრე იყო...

ახლა ყველაფერი პირიქითაა — დაბეჩავებული, უპატრონოდ მიტოვებული და, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, რეგიონალლიგელი უწვერული ბიჭებით დაკომპლექტებული „მეტალურგი" სულს ღაფავს. რუსთავის „გორდამაც" იოლად მოუგო გუშინ იმერლებს. იასონ ალადაშვილის გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების იმედი გასჩენია და ხავსს ბოლომდე ეჭიდება.

მართალია, დიდი ხვითო არც „გორდაა", მაგრამ ამ მატჩში მოგება ნაღდად ეკუთვნოდა. თამაში ისეთივე გამოდგა, როგორც „ცენტრალურის" მოედანია. ფეხბურთელებს ბურთის დასამორჩილებლად, იმდენი მოძრაობის გაკეთება უხდებოდათ, რომ უთუოდ გვარიანად დაიკლებდნენ წონაში, ამან შეხვედრის სანახაობრივ მხარეზეც უთუოდ იქონია გავლენა.

„მეტალურგი" ორი თავდამსხმელით კი დაუხვდა მეტოქეს, მაგრამ რუსთაველთა ნახევარზე გადასვლა მაინც უჭირდა. აზრიანად ვერც „გორდა" უტევდა. 23-ე წუთზე კი ზესტაფონელთა კარში პირველივე დარტყმა გოლით დასრულდა — არმაზ ჯელაძემ იოლად მოატყუა მცველი და კარის გასწვრივ ბექა ნოზაძეს გადააწოდა. მას კი ბურთის გასაჩერებლად და კარში დასარტყმელად თავზესაყრელი დრო ჰქონდა — 0:1.

მეორე გოლი რუსთაველებმა სტანდარტული მდგომარეობიდან გაიტანეს. კახა ალადაშვილის ჩაწოდებულ ბურთს მისი ძმა ლაშა თავით შესწვდა და ანგარიში 0:2 გახდა.

სტუმრებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ კარში ზუსტ დარტყმას ვერ ახერხებდნენ. ტაიმიც მალე დასრულდა და ზესტაფონის სარბიელს ბოლნისის „სიონი" მოადგა. ქვემოქართლელები ფოთში „კოლხეთთან" სათამაშოდ მიემგზავრებოდნენ და გადაწყვიტეს, გზად ამ მატჩისთვისაც შეევლოთ თვალი.

მატჩის გადარჩენის იმედი, ცხადია, არავის ჰქონდა. ზესტაფონელი ქომაგი „მეტალურგისგან" მხოლოდ ერთი გოლის გატანას ითხოვდა („მეტალურგს" საგაზაფხულო ეტაპზე გოლი არ გაუტანია) და სამისოდ ანზორ მანჯავიძეს ჩინებული შანსიც ჰქონდა, მაგრამ სამიოდ მეტრიდან კარს ზემოდან გადააცილა.

ეს იყო და ეს. მეტის გაკეთება მასპინძლებმა ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, „გორდა" შეეცადა დიდი ანგარიშით მოგებას, თუმც ლაშა ალადაშვილმა და არჩილ სოხაძემ ხელსაყრელი მომენტები გაანიავეს.

ერთი სიტყვით, „გორდამ" 2:0 დაამარცხა „მეტალურგი" და ახლა მომავალი მატჩებისთვის ემზადება. იმედჩასახული რუსთაველები ნაღდად ეცდებიან შანსის გამოყენებას. ზესტაფონის „მეტალურგი" კი... ამაზე ხომ უკვე არაერთხელ ვთქვით.

### ნორვეგია
პირველი ტური
ლინი 0:0 ბრანი

### იტალია
სერია B. XXX ტური
ტერნანა 0:0 ლეჩე

### პორტუგალია
თასის 1/2 ფინალი
პორტუ 2:0 ნავალი

### შვედეთი
მეორე ტური
იურგორდენი 2:0 ჰალმსტადი
გიოტებორგი 3:0 მალმიო
იორებრო 2:3 ჰამარბი

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
XXVIII ტური
კიოლნი 2:0 ობერჰაუზენი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# მილანმა იღბალი დაიქირავა
## მილიონ შანსს გავატან ქარს...

**ვაჟა ხუციშვილი**

**წნორის „მილანი"** თბილისიდან წაღებული ქულით ალბათ კმაყოფილია, რადგან ამ ქულამ ბეწვის ხიდზე იარა, სანამ წნორელთა საგაზაფხულო მონაგარს შეუერთდებოდა.

უმწვრთნელოდ დარჩენილი „მერანი-ოლიმპის" გაძღოლა დროებით ნიკა დოლიძემ ითავა და ოდნავ მაინც რომ ჰქონოდა იღბალი, პირველ ტაიმშივე სძლევდა მეტოქეს სამბურთიანი სხვაობით. იღბალმა ისნის სტადიონის კედლებს გარშემო უარა და თუ სტადიონზე მაინც შეაღწია, ზურაბ მამალაძის გვერდით იყო.

განსაკუთრებით საინტერესო მეორე ტაიმის შუაგული გამოდგა, როცა „მილანის" კარის მიმართულებით ბურთი ზედიზედ იმდენჯერ გაფრინდა, მომენტების თვლას ველარ ავუდიოდით.

რიგით მივყვეთ და ჯერ შესვენებამდე მომხდარზე ვთქვათ. დასაწყისშივე კახი გოგიჩაიშვილს შეეძლო მასპინძლების დაწინაურება. სიღრმიდან პასი მიიღო და მახვილი კუთხიდან მის დარტყმულს მამალაძემ მხოლოდ თვალი გააყოლა — ბურთმა ძელთან გაიზუზუნა. „მერანი-ოლიმპი" დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში „მილანის" კარ-მიდამოს არ მოშორებია. ფლანგურ შეტევებს ცენტრიდან შეღწევის მცდელობა ცვლიდა. დამხვდურები უფრო მეტოქის დაცვის მარცხენა ფრთას ეტანებოდნენ, სადაც სუსტი ადგილი მონახეს და დაჟინებით უჩხიკინებდნენ. რამდენჯერმე შეძლეს კიდეც ღრიჭოებში შეღწევა. ერთ ეპიზოდში დავითაშვილს მცველმა ბოლო წამსლა დაასწრო და ბურთი ფეხიდან ააცალა.

ტაიმის შუაწელში მასპინძლები მინელდნენ და ბედი წნორელებმაც სცადეს. „მერანი-ოლიმპის" საჯარიმოში „მილანის" სულ რაღაც ორწუთიანი სტუმრობა მირზა სამხარაძის შორეული დარტყმით და ერთი ორიგინალური კუთხურით დამთავრდა. კუთხურისას, ახლო ძელიდან ბურთი კეფით მეორე ძელთან გადააგზავნეს და იქ ერთი „შავწითელიც" რომ ყოფილ იყო, გოლის გატანაში ხელს ვერავინ შეუშლიდა.

პირველი ნახევრის ბოლოს თბილისელებმა კვლავ იძალეს და მორიგი ორი საგოლე მომენტი ავლაბრულ ნიავს გააყოლეს. კოკა მიკუჩაძე მცველის მხარდამხარ ბურთიანად შეენთო მეტოქის საჯარიმოში და, როგორც ტაიმის დასაწყისში გოგიჩაიშვილმა, თითქმის ისეთივე შანსი გააცუდა — მახვილი კუთხიდან კარში ვერ დაუმიზნა. მერე მოკლე პასებით შეაღწიეს „მილანის" კარსაცავში და დავითაშვილმა მიკუჩაძეს კიდევ ერთხელ დაარტყმევინა, თუმცა ფორვარდს მიზანმა ისევ უღალატა.

შესვენების შემდეგ „მერანი-ოლიმპმა" უკან დაიხია და კონტრიერიშებისთვის მოემზადა. მეტოქის შეტყუების მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან „მილანი" სულაც არ ფიქრობდა თავზეხელაღებით იერიშზე გადასვლას. მასპინძლებმა რამდენიმე წუთი უცადეს და მერე თვითონ მიუხდნენ მოწინააღმდეგეს. ზუსტად ამ დროს შეიქმნა გამოუყენებელ მომენტთა „თაიგული", რომელიც მიკუჩაძით იწყებოდა და ხოჯავათი მთავრდებოდა. ზურაბ მამალაძემ მის კარში დარტყმული თითქმის ყველა ბურთი მოიგერია. მეორე ნახევრის შუაწელში „მილანის" ნახევარდაცვა ფაქტობრივად მოიშალა და მცველებს უდიდესი ჯაფა დაადგათ მასპინძელთა თავქუდმოგლეჯილი იერიშების შესაკავებლად.

დავითაშვილმა მიკუჩაძეს კარის წინ მიაწოდა და მანაც მიწაზე დაუშვებლად ბურთს ლონივრად ამოსცხო. მამალაძის ხელებიდან ბურთი ხოჯავას მიუგორდა, მისი ფეხისგან კი მოედნის მიღმა გაფრინდა.

მერე კარიდან წინ გასული ზურაბ მამალაძე საჯარიმოდან ბურთის მოშორებისას შეცდა, იგი მიკუჩაძის ნადავლი გახდა და სანამ მეკარე კარში დაბრუნდებოდა, ფორვარდმა ოდნავ დააყოვნა. დარტყმულს კი მამალაძემ მაინც მიუსწრო.

ამ ეპიზოდს მატჩში ყველაზე რეალური მომენტი მოჰყვა. დავითაშვილის წამოწყებული კომბინაცია ისევ მიკუჩაძის დარტყმით გაგრძელდა, მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა და იქვე მყოფმა ხოჯავამ კვლავ ააცილა.

თითქმის იგივე მალევე განმეორდა. მიკუჩაძე მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შევარდა. მისი გასროლილი ბურთი ხარიხიდან კარის წინ დაეშვა, სადაც ხოჯავამ თავი შეაგება, მაგრამ კვლავ არაზუსტად.

„მილანი" არაერთხელ გადარჩა და თავად, ფაქტობრივად, სახიფათოდ არც კი შეუტევია. სულ სამი კაცი თუ გადადიოდა მეტოქის ნახევარზე — ბარამიძე, სამხარაძე და მედოევი. მათი მცდელობაც უმეტესად საჯარიმოს წინა ხაზთან იშლებოდა.

შეხვედრის დასრულებამდე მამალაძემ, როგორც მოთელვისას, კიდევ რამდენიმე სუსტად დარტყმული ბურთი მოიგერია.

მწვრთნელებმა ფეხბურთელების შეცვლა არ ინებეს. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ბრძანეს, სათადარიგოები კი გვყავს, მაგრამ ამ შემთხვევაში შეცვლები საჭიროდ არ ჩავთვალეთ.

თბილისი. 14 აპრილი. 16 საათი. ისანი. 400 (ტევადობა 5 000)

### მერანი-ოლიმპი 0:0 მილანი

**მერანი-ოლიმპი:** ნაჭყებია, ნადირაშვილი, ხარებავა, მიქიაშვილი, მეხი, გოგიჩაიშვილი, დავითაშვილი, ბ. ნუც. ძულიძე, ხოჯავა, ოფციაური, მიკუჩაძე
*სათადარიგონი:* გაბელია; ქარდავა, კუკჩეიშვილი, მალაზონია, ელიავა, ნინუა
**მწვრთნელი:** ნიკა დოლიძე

**მილანი:** მამალაძე, ლ. ბოქორიშვილი, ლამბაშიძე, რობაქიძე, მეტონიძე, ბარამიძე, ბაჯელიძე, ჯაფარიძე, ეკაძე, მ. სამხარაძე, მედოევი
*სათადარიგონი:* გიორბელიძე; კ. ბობოხიძე, მურჯიკნელი, ხაჩიძე, ნ. მელაძე, ღუღუნაძე, ეკალდეიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ბოქორიშვილი

**გაფრთხილება:** რობაქიძე (38)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (რნი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მალაღურაძე (თბილისი).

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია; **დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

**ჯარიმა:** 13-14; **კუთხური:** 4-1; **კარისკენ დარტყმა:** 8-1; **კარში დარტყმა:** 9-1; **თამაშგარე:** 6-1





„მილანის" კართან ბევრი საგოლე მომენტი შეიქმნა



ნიკა დოლიძე

# სუდია, იმპრესიონისტ!

გორი. 14 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური 1 000 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:0 ბათუმი

**დილა:** გ. სომხიშვილი, ლობიძე, მარლიშვილი (სავარელიძე 46), ოლგესაშვილი, სულთანიშვილი, გილაური (გ. ჩიტაია 46), დ. ხანიშვილი, მორჩილაძე, რაზმაძე (ახალაძე 70), ფეხუაშვილი, ლ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი; კ. ხანიშვილი, ალ. ლაბაძე
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**ბათუმი:** ქვაჩახია, მახარაძე, გურგენიძე, გუშარაშვილი, დუმბაძე, თედორაძე, კობიძე, ი. შენგელია, დარჩიძე, ფირცხალაიშვილი, გ. მოდებაძე
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე, ბეჟანიძე, ფურცხვანიძე, გილოგრი, ცინარიძე, რომანაძე, სუფფრთულაძე
**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე

**გაფრთხილება:** მახარაძე (23), ოლგესაშვილი (52), გუშარაშვილი (54), სავარელიძე (55), მორჩილაძე (75)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); გ. ცირდავა (ხულრიგში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ი. შილაკაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ვ. ქორიძე

**ჯარიმა:** 24-22; **კუთხური:** 6-2; **კარისკენ დარტყმა:** 3-0; **კარში დარტყმა:** 4-1; **თამაშგარე:** 4-5

**მამუკა კვანტალიანი** გორიდან

**სადღეისოდ** გორის ფეხბურთს სერიოზული ხალხი პატრონობს, „დილამაც" ის ჟინი და ხალისი დაიბრუნა, ამ რამდენიმე წლის წინ ყველასგან რომ გამოარჩევდა. რაც მთავარია, ქომაგმა ფეხბურთისკენ ისევ მოიხედა და მალე, ალბათ, ისევ ახმაურდება ტრიბუნები.

მართალია, გორელებს ჯერაც ვერ შეუკრავთ სოლიდური გუნდი, მაგრამ არც სოფელი აშენებულა ერთი ხელის მოსმით. ფინანსური სტაბილურობა და მომავალზე ფიქრი უკვე მაცდურად ჟღერს და „დილაში" თამაშის მსურველნი მომრავლდნენ.

გუშინ „დილამ" ვერაფერი მოუხერხა ასევე განახლების გზაზე შემდგარ „ბათუმს". გორელებს მუდამ უჭირდათ ზღვისპირელებთან თამაში და ეს ტრადიცია არც გუშინ დარღვეულა. მასპინძელი მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა, სტუმარს მეტოქის კარისკენ საგოლედ ერთხელაც არ გაუწევია, თუმცა ქულის მოსანაგრებლად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვაც საკმარისი აღმოჩნდა.

ზურაბ ხორგუაშვილი მოჭარბებული ტრავმიანობის გამო იძულებული შეიქნა, ძირითადში გამოუცდელი ფორვარდი დავით ხანიშვილი გაემწესებინა. გამოცდილ ხაჭაპურიძეს დისკვალიფიკაციის გამო მოედანზე ასევე ახალგაზრდა ოლგესაშვილი შეენაცვლა. მარცხენაფლანგელი გილაური პირველი ტაიმის შემდეგ დაშავდა, ხოლო გუშინ ვეტერანი როინ მარდიშვილის დღე ნამდვილად არ იყო.

„ბათუმი" ზოგჯერ ბურთის კონტროლს არ ჯერდებოდა, უკან უშეცდომოდ მოთამაშე სტუმარი წინაც კი იჩხვლიტებოდა, თუმც ოლგესაშვილი უნარიანად აზღვევდა თანაგუნდელებს და მეკარე სომხიშვილიც უსაქმოდ იყო.

თამაში ბოლო ოც წუთს გამწვავდა, მაშინ, როცა ზურაბ ხორგუაშვილმა რაზმაძეს თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გადმობირებული ახალაძე შეუნაცვლა. უცხოეთმოვლილმა ყოფილმა ვეტერინარმა შექმნა მატჩის ყველაზე რეალური მომენტი — ჯარიმიდან მის მიერ დარტყმული ბურთი ხარიხას ეძგერა და მერე ქვაჩახიას ზურგზე მოადინა ტყაპანი. ბათუმელთა ბედად, ბურთი კარისკენ არ გაგორდა და „დილაც" ოდენ კუთხურს გამორჩა.

ნამატჩევს, როგორც ხშირად ხდება, მასპინძელი მსაჯობით იყო უკმაყოფილო, სტუმარს კი უგუნებობა ნამდვილად არ ეტყობოდა. გუშინ გორში მსაჯობა ისეთი იყო, როგორც აქამდე სხვაგან გვინახავს. რამდენიმე სადავო მომენტი პაატა დოგრაშვილმა თავისებურად აღიქვა, თუმც რომ ვამტკიცოთ, ქუთაისელმა ტენდენციურად განსაჯა, ნამდვილად უსამართლობა იქნება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 19 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 17 |
| მერანი-ოლიმპი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:3 | 16 |
| გორდა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:0 | 15 |
| მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 12 |
| მეტალურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:11 | 10 |

# აღიარებული ხიზანიშვილი რეინჯერსს აღიარებს

*საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „დანდის" 21 წლის მცველი ზურაბ ხიზანიშვილი სავანგებო პრიზით დააჯილდოვეს — თებერვალ-მარტის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი შოტლანდიურ პრემიერლიგაში.*

*სააგენტო BBC კი ამ ფაქტს თავისებური ვარაუდითაც გამოეხმაურა — ვინძლო „დანდის" ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა შემოსავალი გაუზარდოს და ნიჭიერ ქართველთან კონტრაქტი გაახანგრძლივოსო.*

*თუმცა, სჯობს თავად ზურაბს მოვუსმინოთ...*

— ამ პრიზის მოპოვებით ძალიან გახარებული ვარ. ორი წელიწადია, რაც „დანდიში" ვარ, აქედან ერთი წელიწადი ტრავმის გამო გამიცდა და ასეთ აღიარებას პირველად მივაღწიე — ეს ძალიან პრესტიჟული ჯილდოა, ასეთი რანგის პრიზი კარიერაში პირველად მერგო.

**— პრიზის გარდა უშველებელი წიგნიც კი გადმოგცეს...**

— ეს წიგნი თავისებური ფოტოალბომია, სადაც ჩემი სურათებია. წიგნი და პრიზიც შოტლანდიური პრემიერლიგის სპონსორ „BANK OF SCOTLAND"-ის მენეჯერმა გადმომცა.

**— ეს ამბავი როგორ აღნიშნე?**

— მე და გიორგი ნემსაძეს მოკრძალებული ვახშამი გვქონდა — პრიზის მოპოვება ზომიერად, ევროპულად აღვნიშნეთ და არა ქართულად — შუა სეზონია და სხვანაირად არც შეიძლებოდა.

**— ამის შემდეგ „დანდიში" დარჩენას ალბათ გადაჭრით აღარ აპირებ — არ არის დრო, უკეთეს გუნდში გადახვიდე?**

— სწორედ ამიტომ არ მოვაწერე ხელი „დანდისთან" ახალ კონტრაქტს — დანდელებმა ორი კვირის წინ შემომთავაზეს ხელშეკრულების გაგრძელება, რომელიც სეზონის დამთავრებისთანავე იწურება. ახლა კონკრეტულ წინადადებებს ველოდები სხვა კლუბებიდან.

**— მაინც რომელი კლუბები არიან დაინტერესებული ზურაბ ხიზანიშვილით?**

— არ მსურს ეს გუნდები წინასწარ დავასახელო, ლაპარაკია ინგლისურ და შოტლანდიურ კლუბებზე.

**— შოტლანდიიდან ცხადია, „სელტიკი" ან „რეინჯერსი" იქნება.**

— მაშინ, ბარემ გაგიმხელთ — ჩემით „რეინჯერსია" დაინტერესებული — ამ კლუბის წარმომადგენლებს მოლაპარაკებები ჰქონდათ ჩემს აგენტთან და მგონი, ეს მოლაპარაკებები კიდევ გრძელდება.

*ზურასთან საუბრის შემდეგ მისი აგენტის თანაშემწე ელიოტ ვანდილს დავუკავშირდით, რომელმაც ეს გვითხრა: „გადაწყვეტილებას სეზონის დამთავრებამდე, სეზონის ბოლოსთვის მივიღებთ. ხიზანიშვილი უმაღლესი დონის ფეხბურთელია და მან მის შესაფერის გუნდში უნდა ითამაშოს. არაა გამორიცხული, რომ ხიზანიშვილი არაბრიტანულ გუნდშიც იხილოთ, თუნდაც იტალიაში. რაც შეეხება „რეინჯერსს", ამ ეტაპზე კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით".*

**დავით თავართქილაძე**

# გოლდამშენის მე-200 გოლი დანდიში ჩავარდა



შოთა არველაძე

*ისე მოხდა, რომ 2 მარტის აქეთ შოთა არველაძეს გოლი არ შეეგდო — რეინჯერსელი ქართველი ხან ტრავმირებული იყო, ხან ოდენ შეცვლებზე თამაშობდა და საგოლე მომენტებს ანიავებდა. მაგრამ სქოთური პრემიერლიგის ბოლო ტურში „დანდი იუნაიტედთან“ სასტარტოში გახლდათ და დუბლიც მიითვალა. „იუნაიტედის“ კარში შოთას მიერ გატანილი მეორე გოლი კი საიუბილეო აღმოჩნდა...*

— ეს ჩემი მე-200 ლიგური გოლია — საქართველოს, თურქეთის, ჰოლანდიისა და შოტლანდიის ეროვნულ ჩემპიონატებში გატანილი. ისე კი, თუ სხვადასხვა თასებზე და ტურნირებზე გატანილ გოლებსაც დავთვლით, 300-ზე მეტი დაიგროვდება.

— მიხაელ მოლსი სათადარიგოც არ იყო „დანდი იუნაიტედთან“ — რა იყო ამის მიზეზი?

— მან თამაშის დღეს, დილიდანვე შეუძლოდ იგრძნო თავი.

— შენს აიაქსელ ძმაკაც რონალდ დე ბურს კი ძალიან ძლიერად უთამაშია.

— ეგრეა, დე ბურმა ძალიან მაგრად ითამაშა — ორი გოლი გაიტანა და ორჯერაც მე გამატანინა — ის უკანდახეული ფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა.

**— 27 აპრილს „სელტიკს“ ეთამაშებით, „ოლდ ფირმიდან“ სამ დღეში კი თბილისში რუსეთის ნაკრები ჩამოდის — მზად ხარ ასეთი მკაცრი განრიგისთვის?**

— ამას მიჩვეული ვარ, „აიაქსში“ ყოფნისას ფაქტობრივად სულ ასე იყო, ხან ტური, ხან თასი, ხან ევროტურნირები. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის სირთულეა, რომ გლაზგოდან თბილისში მგზავრობაა ძნელი — შუაღამისას თუ გამთენიისას გიწევს მგზავრობა, თან დროში სხვაობაც თავისას შვება.

**დავით თავართქილაძე**

# ლეგიონერები

**მაჩანჩალა** „ზანკტ პაულის“ ძლევით „ქართული“ „ფრაიბურგი“ საპრემიერლიგოდ დიდ საქმეს გააკეთებდა, მაგრამ ფოლკერ ფინკის გუნდმა მოულოდნელად წაიფორხილა. უკობიაშვილო მასპინძლებმა საზიზღრად ითამაშეს, მეტიც, მეტოქის დახმარებით გამოჰკრეს ხელი ფრეს — ბელოვლაპიმა ნასიმკრტომ ავტოგოლი გამოაცხო. შეუცვლელად ითამაშა ალექსანდრე იაშვილმა და ალბათ ლევან ცქიტიშვილიც ჩაამთავრებდა მატჩს, რომ არ გაეძევებინათ.

ყოჩაღობს ორ ფრონტზე მებრძოლი „დანდი“. შოტლანდიური თასის ნახევარფინალში გასული გუნდი ჩემპიონატის მოწინავე ექვსეულშიც შეიჭრა. „მოზერუელის“ საგარეო ძლევაში „დანდის“ ორივე ქართველი დაეხმარა. ნემსაძე მთელი მატჩის განმავლობაში საიმედო იყო, ხიზანიშვილი კი თამაშის ბოლოს ანგარიშის შემანარჩუნებელ ტაქტიკას მოერგო.

ბოლო დროის სათადარიგოთა სკამს გაშინაურებული შოთა არველაძე „დანდი იუნაიტედთან“ საგარეო მატჩში ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა და შედეგიანადაც. შოთა დე ბურს გაეჯიბრა გოლებში და ბოლოს დაუზავდა ჰოლანდიელს. ორივემ დუბლი აკმარა ისე რა გაქანების „იუნაიტედს“.

კვლავაც სათადარიგოობას დასჯერდა თითქმის ჩემპიონი პსვ-ს ქართველი ლეგიონერი — გოგა გახოკიძის ეინდჰოვენურ კარიერას ალბათ დიდი დღე არ უწერია.

ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი შეინარჩუნა დავით მუჯირის „შტურმმა“. მუჯირმა რიგიანად ითამაშა და გადამტეხი გოლი გაუტანა რიდელებს. 28 ტურის შემდეგ „შტურმს“ სამი ქულა აშორებს სალიგო მეორე ადგილზე წამოსკუპებულ „გრაცერთან“.

გოლით შეეწია შვეიცარიულ „ვოლენს“ ლევან ხომერიკი, კვიპროსზე „პარალიმნისთვის“ მეორე ლევანმაც გაიტანა, თუმცა ქებაძის გოლი საფრთოდაც არ ეყო მის გუნდს.

შვიდი ტური დარჩა თურქეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე და ერთი ამდენიც რომ იყოს, ძნელად თუ რამე ეშველება ბითურ „ქოჯაელს“.

იზმითელები ორი ქართველით შერცხვნენ „ანკარაგიუჯიუსთან“. ზაზა ჯანაშია და რევაზ ქემოკლიძე სათადარიგოთა სკამიდან ადევნებნენ თვალს თანაგუნდელთა ჯახირს.

სათათრეთში პირველი რუსულპრემიერლიგური შოკი იგემა რევაზ ძოძუაშვილის „სპარტაკ-ალანიამ“. უქართველო „რუბინთან“ ამაოდ იჭენავა მიხეილ აშვეთიამ.

იური სიომინი კი ჯიუტად არ ჩქარობს ძირითად შემადგენლობაში მალხაზ ასათიანის დაყენებას. რკინიგზელები ულიმღამოდ თამაშობენ და სამართლიანად აირტყეს მოსკოვური ალიყური „ტორპედოსთან“ საშინაო მატჩის ბოლოს.

რუსეთში აშვეთიას მსგავსად ბოლომდე კიდევ ერთმა ქართველმა ითამაშა, ალექსანდრე რეხვიაშვილი მონდომებით გაისარჯა „როტორთან“ ვოლგოგრადში და მისმა ორსახელიანმა გუნდმაც ბრძოლაში გამოჭედა ქულა.

უკრაინაში დონბასური დერბი ძლიერის გამარჯვებით დასრულდა. გიორგი დემეტრაძემ ვერაფრით მოარგო გასაღები „შახტარის“ კარს.

უგოლოდ დარჩა შალვა აფხაზავაც თუმცა მის გუნდს „დნიპროსთან“ მძიმე მატჩში აღებული ქულა შეეშველა მესამე ადგილის შენარჩუნებაში.

დაიწყო ლატვიის ჩემპიონატი და ლევან კორღალიძის „სკონტომ“ საგოლე მომენტებით დახუნძლულ საშინაო მატჩში სენსაციური ფრე გააგორა „მეტალურგსთან“. ეს შედეგი კარგა ხანს სანატრელი გაუხდება თამაზ პერტიას „არმას“. ამ გუნდს ლატვიელი მიმომხილველები უსუსტესად მიიჩნევენ ლიგაში.

ბოლოს ბელგიაშიც შევიხედოთ. გელა შეყილაძემ გუნდი თუ არ გამოიცვალა, შესაძლოა, იქაურ მეორე დივიზიონში თამაშიც სანატრელი გაუხდეს. ქართველის „რუზელარე“ „ეუპენს“ დაუზავდა და ისეთ დღეშია, ცოტაც და გავარდნას ოფიციალურად გაიფორმებს.

**ბაატა ძვანტალიანი**



გიორგი დემეტრაძეს „შახტარის“ მცველებმა გასაქანი არ მისცეს

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ინტერი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 22 | 0 | 2 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ზანკტ პაული 1:1 | 90 | | 18 | 1 | 2 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ზანკტ პაული 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 25 | 9 | 2 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ზანკტ პაული 1:1 | 77 | გააძევეს | 26 | 2 | 2 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | ზანკტ პაული 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | როიტლინგენი 2:0 | 0 | | 2 | 0 | 5 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ქემნიცი 3:0 | 90 | საგოლე პასი | 20 | 5 | 4 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | უნტერჰახინგი | შ | ნოინკირხენი 5:0 | 0 | | 12 | 1 | 1 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | ს | უიმბლდონი 2:0 | 90 | | 24 | 3 | 17 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანდი იუნაიტედი 4:1 | 90 | 2 გოლი | 23 | 13 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | მოზერუელი 2:1 | 90 | | 18 | 0 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | მოზერუელი 2:1 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 6 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | როდა 3:2 | 0 | სათადარიგო იყო | 8 | 1 | 1 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | რიდი 4:2 | 67 | 1 გოლი, შეცვალეს | 22 | 5 | 4 |
| **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | ვოლენი | შ | შაფჰაუზენი 4:0 | 90 | 1 გოლი | 4 | 2 | 3 |
| **ბელგია. მეორე დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | რუზელარე | შ | ეუპენი 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 19 | 0 | 17 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ტორპედო 1:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 11 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | კრილია 1:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 13 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | კრილია 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 13 |
| მიხეილ აშვეთია | სპარტაკ-ალანია | ს | რუბინი 0:4 | 90 | | 4 | 0 | 8 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | ს | რუბინი 0:4 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 8 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | სპარტაკ-ალანია 4:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 4 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | სპარტაკ-ალანია 4:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 4 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | სპარტაკ-ალანია 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ჩერნომორეცი | შ | ზენიტი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ლოკომოტივი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | ლოკომოტივი 2:1 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 10 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტორ-მეტალურგი | ს | როტორი 2:2 | 90 | საგოლე პასი | 3 | 0 | 14 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | შ | ურალანი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | შახტარი 0:2 | 39 | შეცვალეს | 12 | 2 | 5 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | შახტარი 0:2 | 89 | შეცვალეს | 5 | 1 | 5 |
| რევაზ გოცირიძე | კრივბასი | ს | ვორსკლა 1:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 8 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | ს | ვორსკლა 1:2 | 90 | | 12 | 0 | 8 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | ვორსკლა 1:2 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 4 | 0 | 8 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ჩერნომორეცი 0:2 | 90 | | 19 | 7 | 7 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | ჩერნომორეცი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 1 | 7 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | ჩერნომორეცი 0:2 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 0 | 7 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ილიჩევეცი 1:1 | 79 | შეცვალეს | 16 | 2 | 16 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | დნიპრო 0:0 | 90 | | 18 | 11 | 3 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გია იმედაძე | ქოჯაელი | ს | ანკარაგიუჯიუ 0:2 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 18 |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ანკარაგიუჯიუ 0:2 | 90 | | 9 | 0 | 18 |
| რევაზ ქემოკლიძე | ქოჯაელი | ს | ანკარაგიუჯიუ 0:2 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 18 |
| ზაზა ჯანაშია | ქოჯაელი | ს | ანკარაგიუჯიუ 0:2 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 18 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ლოკომოტივი ს. 0:2 | 0 | | 18 | 7 | 9 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | ს | ლიტექსი 1:4 | 70 | შეცვალეს | 5 | 0 | 12 |
| **უნგრეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | დებრეცენი | შ | გიორი 0:0 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 1 | 4 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | ს | გურნიკი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 1 | 8 |
| ლაშა რეხვიაშვილი | რუხი | შ | პოლონია 0:0 | 45 | შეცვალეს | 4 | 0 | 10 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 0:0 | 29 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 3 |
| თამაზ პერტია | არმა | ს | დინაბურგი 0:6 | 90 | | 1 | 0 | 8 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აპოელი 4:3 | 73 | შეცვალეს | 19 | 5 | 3 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | ეთნიკოსი 1:2 | 90 | | 15 | 2 | 5 |
| მამუკა წერეთელი | ნეა სალამინა | ს | ოლიმპიაკოსი 0:4 | 90 | | 19 | 0 | 12 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | აპოლონი 2:3 | 90 | 1 გოლი | 9 | 3 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ფერგიუსონის ფანტასტიკურები




REUTERS

ნიუკასლი — მანჩესტერი. ოლე გუნარ სოლსკიაერი შეი გივენის კარში ერთ გოლს დასჭერდა, პოლ სქოულზმა კი ჰეთ თრიკი შეასრულა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXIII ტური

**ნიუკასლი 2:6 მანჩესტერი**

1:0 ჯენასი (21), 1:1 სოლსკიაერი (32), 1:2, 1:3 სქოულზი (34, 38), 1:4 გიგზი (44), 1:5 სქოულზი (52), 1:6 ვან ნისტელროი (58პ), 2:6 ამეობი (89)

ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ბრემბლი, ვუდგეიტი, ბერნარი, სოლანო (ამეობი 66), დაიერი, ჯენასი, რობერი (ვიანა 15; ლუა ლუა 66), შირერი, ბელამი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

მანჩესტერი: ბარტეზი, ოში (გ. ნევილი 49), რ. ფერდინანდი, უესლი ბრაუნი (ბლანი 65), სილვესტრი, სოლსკიაერი, როი კინი, ბატი, გიგზი (ფორლანი 46), ვან ნისტელროი, სქოულზი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: შირერი

მსაჯი: დანი

52 164 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 ბოლტონი**

1:0 კოული (58)

ჩელსი: კუდიჩინი, მელხიორი, ტერი, დესაი, ლე სო, ე. პეტი, ლამპარდი, ზენდენი (დე ლუკასი 59), ჯ. კოული (გალასი 75), ძოლა (გუდიონსენი 86), ჰასელბაინკი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი (ანდრე 72), ბერგსონი, ლავილი, რ. გარდნერი, ოკოჩა, კამპო (ნოლანი 86), ფრანდსენი (ჩარლტონი 68), მენდი, ჯორკაეფი, პედერსენი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: ზენდენი, ბერგსონი, ლავილი

მსაჯი: ბარბერი

39 852 მაყურებელი

**ლივერპული 2:0 ფულემი**

1:0 ჰესკი (36), 2:0 ოუენი (59)

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ტრაორე, ჰიპია, რიისე, შმიცერი (შეროუ 90), ჯერარდი, ჰამანი, ბაროში, ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

ფულემი: მაიკ ტეილორი, ფინანი, მელვილი, ჯეტუ, ვომე (უადუ 57), ლეგვინსკი, შ. დევისი, მალბრანკი, ბოა მორტე (ჰემონდი 68), მარლე (საჰა 78), საჰა

მწვრთნელი: ჟან ტიგანა

გაფრთხილება: ჰესკი, ვომე, ბოა მორტე

მსაჯი: ვაილი

42 120 მაყურებელი

**ლიდსი 2:2 ტოტენჰემი**

1:0 ვიდუკა (31), 1:1 შერინგემი (37), 1:2 კინი (39), 2:2 ვიდუკა (76პ)

ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი (მილნერი 63), რადებე, დაბერი, ჰარტი (უილკოქსი 74), ბ. კელი, ბაკე, მატეო, კოუელი, ვიდუკა, სმიტი

მწვრთნელი: პიტერ რიდი

ტოტენჰემი: კელერი, კარი, კინგი, ე. გარდნერი, ტარიკო, ს. დევისი, ბუნიევიჩევიჩი, ანდერტონი, პოიეტი (ეზერინგტონი 87), შერინგემი, რობი კინი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

გაფრთხილება: ბაკე, კელერი, გარდნერი

მსაჯი: სტაილზი

39 560 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:0 სანდერლენდი**

1:0 ჰიუზი (43), 2:0 დიუგარი (60)

ბირმინგემი: ბენეტი, კუნა, კანინგემი, აპსონი, კლეპამი, დევლინი (კარტერი 81), ბ. ჰიუზი (კიროვსკი 84), კლემენსი, ლაზარიდისი, ჰორსფილდი, დიუგარი (ჯონი 64)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

სანდერლენდი: პოომი, დ. უილიამსი, ბიორკლუნდი (მაკკარტნი 22), ელ კარკური (ს. რაიტი 55), გრეი, ტორნტონი, გ. მაკკანი, კილბეინი, ფილიპსი, კაილი, მ. სტიუარტი

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

გაფრთხილება: მაკკარტნი

გაძევება: სტიუარტი (86)

მსაჯი: დოუდი

29 132 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:2 ევერტონი**

1:0 ბალიში (18პ), 1:1 ვეირი (23), 1:2 კემპბელი (45)

ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ბალიში, გრეგანი, სიგურდსონი, კლემენტი (უდეზე 82), მაკინსი (დობი 78), უოლკორკი, ე. ჯონსონი, კუმასი, დიჩიო, მ. ჰიუზი

მწვრთნელი: გარი მეგსონი

ევერტონი: რ. რაიტი, იობო, სტაბსი, ვეირი, ანსუორთი, უოტსონი (დ. ფერგიუსონი 81), პემბრიჯი (ნეისმიტი 75), გრავესენი (ჯემილი 66), კარსლი, ქ. კემპბელი, რუნი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: სიგურდსონი, მაკინსი, რუნი, გრავესენი

მსაჯი: ბენეტი

27 039 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 2:2 ასტონ ვილა**

1:0 სინკლერი (15), 1:1 ვახელი (36პ), 1:2 ლეონარდსენი (53), 2:2 კანო (65)

ვესტ ჰემი: ჯეიმსი, მ. ჯონსონი, რეეპკა, ი. პირსი, ბრევეტი, ლომასი, ჯ. კოული, ბოიერი (ლ. ფერდინანდი 62), ტ. სინკლერი, კანო (ჰატჩისონი 85), დეფო

მწვრთნელი: გლენ როიდერი

ასტონ ვილა: ენკელმანი, ედვარდსი, მელბერგი, სტონტონი, ჯ. სამუელი, მ. ჰაჯი (ლეორანდსენი 52), ლ. ჰენდრი (გუდიონსონი 26), ჰიცლსპერგერი, ბერი, ვახელი, ოლბოკი (ი. ტეილორი 90)

მწვრთნელი: გრემ ტეილორი

გაფრთხილება: რეეპკა, ბოიერი, ლომასი, კოული, ბერი

მსაჯი: დინი

35 739 მაყურებელი

**სიტი 0:0 მიდლსბრო**

სიტი: შმაიხელი, სომეილი, რ. დანი, დისტინი, რაიტ-ფილიპსი, დ. ბარტონი, ბერკოვიჩი (ბენარბია 46), ფოე, ნ. იენსენი, ანელკა (გოტერი 64), ფაულერი (მაკენი 64)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, კედრუ, ჯერემი (უილკშირი 88), დორივა, გრინინგი, ჟუნინიო პაულისტა, ჟობი (ნემეტი 59), კრისტი

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: ეჰიოგუ

მსაჯი: დურსო

34 793 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:0 ჩარლტონი**

1:0 დაფი (34)

ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი, ბერგი, გრეშკო, დ. დანი, თუგაი (გილესპი 70), ფლიტკროფტი, დაფი (გრაბი 85), ჰ. შუქური (იორკი 62), ენდი კოული

მწვრთნელი: გრემ სუნესი

ჩარლტონი: დ. კელი, იანგი, ფორტუნი, რუფუსი, კ. პაუელი, კონჩესკი, პარკერი, კიშიშევი (ბლომკვისტი 77), ჯ. რობინსონი (ჯ. იოჰანსონი 73), ლისბი (კემპბელ-რაისი 86), მათიას სვენსონი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

მსაჯი: უინტერი

27 506 მაყურებელი

**საუთჰემპტონი — არსენალი**

გადაიდო

**პრემიერლიგის** ოცდამეცამეტე ტურში არ უთამაშია ლონდონის „არსენალს", რომელსაც ამ კვირას ასოციაციის თასის ნახევარფინალი ჰქონდა „შეფილდ იუნაიტედთან". სამაგიეროდ, ითამაშა შუა კვირაში მადრიდის „რეალისგან" გამწარებულმა „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელიც „ნიუკასლს" ესტუმრა და ითამაშა ისე როგორც კარგა ხანია არ უთამაშია.

ალექს ფერგიუსონმა „ფანტასტიკური" უწოდა თავისი გუნდის თამაშს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ „მანჩესტერმა" 6:2 მოიგო ძნელ სტადიონზე ძალიან კარგ გუნდთან, არამედ იმიტომ, რომ „იუნაიტედმა" ულამაზესი კომბინაციები გაათამაშა და დააგვირგვინა გოლებით.

„ნიუკასლი" სულ რამდენიმე წუთს იგებდა ჟერმენ ჯენასის საუცხოო გოლის წყალობით, მერე კი უბექემო „მანჩესტერმა" ერთბაშად ექვსი მიაყარა. ამ ექვსიდან სამი პოლ სქოულზმა შეაგდო, თამაშის ბოლო წუთს კი, ფაბიენ ბარტეზმა ჩვეული ცეტობით აჩუქა ერთი გოლი მასპინძლებს.

ამ გამარჯვებით „მანჩესტერმა" საში ქულით გადაუსწრო თამაშნაკლულ „არსენალს" და პირველი ადგილი დაიჭირა. „ეს ის ადგილია, რომელსაც რამდენიმე თვის წინათ ვიმსახურებდით — თქვა ფერგიუსონმა — ბევრი ჩვენი ფეხბურთელი ახალგაზრდაა და „რეალთან" თამაში უაღრესად სასარგებლო გამოდგა მათთვის".

„მეთოფეთა" თავკაცი არსენ ვენგერი კი სულაც არ თვლის, რომ „მანჩესტერთან" ბრძოლას აგებს. მოახლოვდა ამ გაზაფხულის მთავარი თამაში ამ ორ გუნდს შორის, რომელშიაც მასპინძელი „არსენალია" და ვენგერიც ამბობს: „მათთან თამაშში კარგი დაცვა გვჭირდება. ჩვენ კვლავ ჩემპიონობის ფავორიტები ვართ. ზედიზედ მესამე წელიწადია ასეა და ზედიზედ მესამე წელიწადია, თასის ფინალშიც ვართ. შარშან დუბლი შევასრულეთ, წელსაც ასე იქნება". ამასობაში კი პრემიერლიგას გამოეთხოვა „სანდერლენდი", რომელმაც გადარჩენისთვის მებრძოლ „ბირმინგემთან" წააგო. სანდერლენდელთა თავკაცმა მიკ მაკარტიმ განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, მის გუნდს აღარაფერი დარჩენია პრემიერლიგაში და აქედანვე იწყებს პირველ დივიზიონში გამარჯვებისთვის მზადებას. „ფეხბურთელები გულგატეხილნი არიან, მაგრამ ცხოვრება და თამაში გრძელდება" — თქვა მან.

ამასობაში კი გაიმარჯვა ძირძველ სამეულს მიდევნებულმა ოთხივე გუნდმა. „ნიუკასლმა" ზედიზედ წააგო, „ჩელსიმ" ზედიზედ მოიგო და ახლა სხვაობა მათ შორის ერთი ქულაა. „ბლექბერნმა" ამ კვირაში მეორედ მოუგო „ჩარლტონს" და იმარჯვა ლივერპულის ორივე გუნდმა. „ევერტონმა" უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა ასევე პირველი დივიზიონისკენ გაქანებული „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი", თუმცა, ეს გამარჯვება მენეჯერ დევიდ მოიესის გაძევებად და ასოციაციისგან სავარაუდო დაჯარიმებით იყო შეფერილი. მოიესი ალაშფოთა მე-18 წუთზე „ევერტონის" კარში დანიშნულმა პენალტმა, მერე კი გადარია იმან, რომ მსაჯმა სტივ ბენეტმა უეინ რუნის წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა.

ბენეტმა თქვა: „ბატონი მოიესი მწვრთნელის ადგილიდან გავაძევე ლანძღვისა და შეუფერებელი ქცევისთვის".

ასე იყო, ახლა კი ყველა მოელის ნამდვილ საჩემპიონო თამაშს „მანჩესტერსა" და თამაშნაკლულ „არსენალს" შორის.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 33 | 21 | 7 | 5 | 61:29 | 32 | 70 | 17 | 14 | 2 | 1 | 35:10 | 25 | 44 | 16 | 7 | 5 | 4 | 26:19 | 7 | 26 |
| 2 არსენალი | 32 | 20 | 7 | 5 | 67:34 | 33 | 67 | 16 | 14 | 1 | 1 | 37:14 | 23 | 43 | 16 | 6 | 6 | 4 | 30:20 | 10 | 24 |
| 3 ნიუკასლი | 33 | 19 | 4 | 10 | 57:43 | 14 | 61 | 17 | 14 | 1 | 2 | 34:16 | 18 | 43 | 16 | 5 | 3 | 8 | 23:27 | -4 | 18 |
| 4 ჩელსი | 33 | 17 | 9 | 7 | 60:32 | 28 | 60 | 16 | 10 | 4 | 2 | 34:12 | 22 | 34 | 17 | 7 | 5 | 5 | 26:20 | 6 | 26 |
| 5 ევერტონი | 33 | 16 | 8 | 9 | 43:38 | 5 | 56 | 16 | 10 | 5 | 1 | 24:14 | 10 | 35 | 17 | 6 | 3 | 8 | 19:24 | -5 | 21 |
| 6 ლივერპული | 33 | 15 | 10 | 8 | 49:35 | 14 | 55 | 17 | 8 | 8 | 1 | 27:13 | 14 | 32 | 16 | 7 | 2 | 7 | 22:22 | 0 | 23 |
| 7 ბლექბერნი | 33 | 14 | 10 | 9 | 43:37 | 6 | 52 | 17 | 9 | 5 | 3 | 23:14 | 9 | 32 | 16 | 5 | 5 | 6 | 20:23 | -3 | 20 |
| 8 ტოტენჰემი | 33 | 13 | 8 | 12 | 47:47 | 0 | 47 | 16 | 9 | 4 | 3 | 30:21 | 9 | 31 | 17 | 4 | 4 | 9 | 17:26 | -9 | 16 |
| 9 მიდლსბრო | 33 | 12 | 10 | 11 | 42:35 | 7 | 46 | 17 | 9 | 7 | 1 | 31:18 | 13 | 34 | 16 | 3 | 3 | 10 | 11:17 | -6 | 12 |
| 10 ჩარლტონი | 33 | 13 | 7 | 13 | 41:46 | -5 | 46 | 16 | 7 | 3 | 6 | 24:26 | -2 | 24 | 17 | 6 | 4 | 7 | 17:20 | -3 | 22 |
| 11 საუთჰემპტონი | 32 | 11 | 12 | 9 | 35:33 | 2 | 45 | 17 | 8 | 7 | 2 | 22:14 | 8 | 31 | 15 | 3 | 5 | 7 | 13:19 | -6 | 14 |
| 12 სიტი | 33 | 12 | 6 | 15 | 40:51 | -11 | 42 | 16 | 8 | 2 | 6 | 25:24 | 1 | 26 | 17 | 4 | 4 | 9 | 15:27 | -12 | 16 |
| 13 ლიდსი | 33 | 11 | 5 | 17 | 46:48 | -2 | 38 | 16 | 5 | 3 | 8 | 18:22 | -4 | 18 | 17 | 6 | 2 | 9 | 28:26 | 2 | 20 |
| 14 ასტონ ვილა | 33 | 10 | 8 | 15 | 36:40 | -4 | 38 | 17 | 9 | 2 | 6 | 22:13 | 9 | 29 | 16 | 1 | 6 | 9 | 14:27 | -13 | 9 |
| 15 ფულემი | 33 | 10 | 8 | 15 | 35:46 | -11 | 38 | 17 | 9 | 3 | 5 | 22:17 | 5 | 30 | 16 | 1 | 5 | 10 | 13:29 | -16 | 8 |
| 16 ბირმინგემი | 33 | 10 | 8 | 15 | 31:43 | -12 | 38 | 16 | 6 | 4 | 6 | 17:19 | -2 | 22 | 17 | 4 | 4 | 9 | 14:24 | -10 | 16 |
| 17 ბოლტონი | 33 | 8 | 11 | 14 | 35:48 | -13 | 35 | 16 | 5 | 7 | 4 | 21:21 | 0 | 22 | 17 | 3 | 4 | 10 | 14:27 | -13 | 13 |
| 18 ვესტ ჰემი | 33 | 7 | 11 | 15 | 37:56 | -19 | 32 | 17 | 3 | 7 | 7 | 19:24 | -5 | 16 | 16 | 4 | 4 | 8 | 18:32 | -14 | 16 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 33 | 5 | 6 | 22 | 22:52 | -30 | 21 | 16 | 3 | 4 | 9 | 13:23 | -10 | 13 | 17 | 2 | 2 | 13 | 9:29 | -20 | 8 |
| 20 სანდერლენდი | 33 | 4 | 7 | 22 | 20:54 | -34 | 19 | 16 | 3 | 2 | 11 | 10:24 | -14 | 11 | 17 | 1 | 5 | 11 | 10:30 | -20 | 8 |

### XXXIV ტური

19 აპრილი

ტოტენჰემი — მანჩესტერ სიტი
ასტონ ვილა — ჩელსი
ბოლტონი — ვესტ ჰემი
ჩარლტონი — ბირმინგემი
ევერტონი — ლივერპული
ფულემი — ნიუკასლი
მანჩესტერი — ბლექბერნი
მიდლსბრო — არსენალი
საუთჰემპტონი — ლიდსი
სანდერლენდი — ვესტ ბრომვიჩი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 21 |
| ანრი (არსენალი) | 19 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 18 |
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 15 |
| ოუენი (ლივერპული) | 14 |

## პირველი დივიზიონი

### XLII ტური

**უიმბლდონი 0:2 დერბი ქაუნთი**

0:1 ვალაკარი (29), 0:2 ბოერტიენი (57)

დერბი ქაუნთი: ოუქსი, უ. ბარტონი, მური, რიჩი, ჯექსონი, ვალაკარი, ბარლი, ბოლდერი (მიური 76), ბოერტიენი, რავანელი (მაკლეოდი 85), ძინძლაძე

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

**ბრაიტონი 0:2 პრესტონი**

0:1 ჯექსონი (71), 0:2 კროსველი (86)

**ქოვენთრი 2:4 იფსვიჩი**

1:0 იანსენი (23), 2:0 გორდონი (44), 2:1 მ. ბენტი (51), 2:2, 2:3 კუნაგო (55, 65), 2:4 მ. ბენტი (68)

**ჯილინგემი 0:1 უოლსოლი**

0:1 ლეიტაო (49)

**გრიმსბი 1:4 კრისტალ პალასი**

0:1 რუტლეჯი (18), 0:2 ველანი (34), 0:3 გრეი (35), 1:3 ჩეტლი (48), 1:4 ფრიდმენი (89)

**მილუოლი 3:1 სტოკი**

1:0 ჰარისი (19), 2:0 რობერტსი (49), 3:0 ლაიერმორი (55), 3:1 შტანიუკი (73)

**ნორვიჩი 2:0 ბარნლი**

1:0 ნიდერგაარდი (3), 2:0 ები (67)

**პორტსმუთი 1:2 შეფილდ უენსდი**

1:0 ბრედბერი (20), 1:1 ვესტვუდი (76), 1:2 რედი (90)

**როტერჰემი 1:1 ლესტერი**

1:0 ლი (54), 1:1 ბენჯამინი (75)

**ნოტინგემი 2:2 ვულვერჰემპტონი**

0:1 ბლეიკი (9), 0:2 კამერონი (26), 1:2 ჯონსონი (40), 2:2 დოუსონი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლესტერი | 42 | 25 | 12 | 5 | 68:36 | 87 |
| პორტსმუთი | 41 | 25 | 11 | 5 | 85:40 | 86 |
| შეფილდი | 40 | 20 | 10 | 10 | 63:44 | 70 |
| ნოტინგემი | 41 | 19 | 12 | 10 | 75:43 | 69 |
| ვულვზი | 42 | 18 | 14 | 10 | 71:40 | 68 |
| რედინგი | 40 | 21 | 4 | 15 | 50:40 | 67 |
| იფსვიჩი | 42 | 17 | 13 | 12 | 71:56 | 64 |
| ნორვიჩი | 42 | 18 | 10 | 14 | 57:45 | 64 |
| უიმბლდონი | 42 | 15 | 11 | 16 | 66:69 | 56 |
| მილუოლი | 41 | 16 | 8 | 17 | 49:60 | 56 |
| კრ. პალასი | 42 | 13 | 16 | 13 | 55:47 | 55 |
| პრესტონი | 41 | 14 | 13 | 14 | 64:61 | 55 |
| ჯილინგემი | 42 | 14 | 13 | 15 | 53:62 | 55 |
| როტერჰემი | 42 | 14 | 12 | 16 | 56:56 | 54 |
| უოტფორდი | 41 | 15 | 9 | 17 | 49:61 | 54 |
| ბარნლი | 41 | 14 | 10 | 17 | 60:77 | 52 |
| დერბი | 41 | 14 | 7 | 20 | 50:63 | 49 |
| ბრედფორდი | 41 | 13 | 10 | 18 | 49:62 | 49 |
| ქოვენთრი | 41 | 12 | 12 | 17 | 46:58 | 48 |
| უოლსოლი | 41 | 13 | 7 | 21 | 52:65 | 46 |
| სტოკი | 42 | 9 | 14 | 19 | 41:67 | 41 |
| ბრაიტონი | 42 | 10 | 10 | 22 | 42:62 | 40 |
| უენსდი | 42 | 8 | 14 | 20 | 46:69 | 38 |
| გრიმსბი | 42 | 9 | 10 | 23 | 45:80 | 37 |

## მეორე დივიზიონი

42-ე ტური: ბარნსლი — პიტერბრო 1:2; ბლეკპული — ქრიუ 0:1; ბრისტოლი — მენსფილდი 5:2; ჩელტენემი — ოლდემი 1:1; კოლჩესტერი — ნოტსი 1:1; პორტ ვეილი — ნორთჰემპტონი 3:2; ქუინზ პარკი — ლუტონი 2:0; სტოკპორტი — პლიმუთი 2:1; სუინდონი — ჰადერსფილდი 0:1; ტრანმერი — უიკომბი 1:0; უიგანი — ბრენტფორდი 2:0; ჩესტერფილდი — კარდიფი 0:3

## მესამე დივიზიონი

42-ე ტური: ბორნმუთი — საუთენდი 1:0; ბოსტონი — ჰალი 0:1; ბერი — კარლაილი 1:1; კემბრიჯი — ექსეტერი 2:1; დარლინგტონი — შრიუსბერი 5:1; ჰარტლპული — ლეიტონი 4:1; ოქსფორდი — კიდერმინსტერი 2:1; რაშდენი — ლინკოლნი 1:0; სუონსი — სკანთორპი 1:1; ტორკი — მაკლსფილდი 2:2; რექსემი — როჩდეილი 2:2; იორკი — რინდეილი 2:2

# ბაიერნის ფრანგული სექსი პასიურია

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXVIII ტური

**ბაიერნი 0:1 ვერდერი**

0:1 მიკუ (13)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ (ტარნატი 78), ნ. კოვაჩი, შვაინსტაიგერი (მისიმოვიჩი 78), ფიულნერი (ტროხოვსკი 46), ზე რობერტო, ელბერი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ვერდერი: ბორელი, სტალტერი, ბარტენი, კრსტაიჩი, შულცი, ფ. ბაუმანი, ბანოვიჩი, ლისტეში (ბოროვსკი 83), მიკუ, ხარისტიასი (დაუნი 85), აილტონი (რაიხი 90)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ნ. კოვაჩი, რ. კოვაჩი, ბანოვიჩი, ბარტენი
მსაჯი: კოოპი
63 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:0 ლევერკუზენი**

1:0 ამანატიდისი (9), 2:0 გლები (17), 3:0 განია (51)
შტუტგარტი: თ. ერნსტი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, გერბერი, სოლდო, გლები (მუტცელი 63), მაისნერი, ბალაკოვი, ამანატიდისი (განია 13), კურანი (დანდი 74)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ოჯიგვე (შიმაკი 46), ჟივკოვიჩი, ჟუანი, პლასენტე, ბ. შნაიდერი, რამელო, ბალიტჩი (ბაბიჩი 69), ბიროფკა (ბაშთურქი 46), ნოივილი, ბერბატოვი
მწვრთნელი: თომას ჰიორსტერი
გაფრთხილება: სოლდო, შნაიდერი, ბალიტჩი, პლასენტე
მსაჯი: კესლერი
44 500 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:1 დორტმუნდი**

1:0 რომეო (65), 1:1 კოლერი (68)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, უიფალუში, ჰოლერბახი, ვიკი, მალტრიცი, კარდოზო (ტაკაჰარა 60), მაჰდავიკია, რომეო, ბარბარესი
მწვრთნელი: კურტ იარა
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ევანილსონი, მადუნი, ვიორნსი, დედე, კელი, ფრინგსი, როსიცკი, ევერტონი (შ. როიტერი 78), ამოროზო (რიკენი 46), კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ჰოლერბახი, კარდოზო, ფრინგსი, მალტრიცი, ტაკაჰარა, ფრინგსი
გაძევება: ფრინგსი (75)
მსაჯი: ფლაიშერი
55 500 მაყურებელი

**ჰერტა 1:0 ბოხუმი**

1:0 დარდაი (63)
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ჰარტმანი, მარქსი, დარდაი (შმიდტი 87), გოორი, მარსელინიო (ბაინლიხი 83), ალვეში (რაფაელი 81), პრეეცი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი (მაიხელბეკი 82), კალა, ვრიზდე, მანდრეკო, შინდცილორცი, ოლისე (მაშემიანი 66), ფრაიერი (გუდიონსონი 46), ვოში, ბაკლი, კრისტიანსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ვან ბურიკი, მარქსი, ვან ბურიკი, კოლდინგი, შინდცილორცი
გაძევება: ვან ბურიკი (41)
მსაჯი: ვაკი
37 022 მაყურებელი

**შალკე 3:0 კოტბუსი**

1:0 ბიომე (45+3), 2:0 სანდი (54), 3:0 ბიომე (61)
*ბიომემ ვერ გაიტანა პენალტი (61, მეკარე)*
შალკე: ფ. როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი (როდრიგესი 69), კმეტჩი (უდე კამპუისი 76), ვერმანტი, პინტუ, ვარელა, ბიომე, ე. მპენზა (სანდი 46), აგალი
მწვრთნელი: მარკ ვილმოტსი
კოტბუსი: ლენცი, შრიოტერი (როქგონი 30), და სილვა, ბერჰალტერი, ლიოვი, რეგეკამპფი (იუნგნიკელი 62), ტ. როსტი, ლატუნდი, გებჰარდტი, ვაგნერი, ტოპიჩი (იუსკოვიაკი 62)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ლენცი, ლატუნდი
მსაჯი: შიპელი
60 413 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:0 ჰანოვერი**

1:0 კლიმოვიჩი (55)
ვოლფსბურგი: რამოვიჩი, რიტერი (კვატროკი 75), ბილიშკოვი, შნოორი, რაუ, ტიამი, კარჰანი (ვაიზერი (46), დ. მუნტიანუ, პრეგერი, პონტე (მ. პეტროვი 70), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი

REUTERS მიონხენგლადბახიდან



მიონხენგლადბახი — ნიურნბერგი. სტუმარმა ტომაშ ნიკლმა პიერ კლუგეს ამ ეპიზოდში ბურთი არ დაანება, მაგრამ მისმა გუნდმა მაინც წააგო

ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, ვან ჰინტუმი, პოპესკუ (კაუფმანი 82), ლალა, კრუპნიკოვიჩი (შტეფული 70), სტალტერი, იდრისუ (შტენდელი 61), ბობიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: კარჰანი, პრეგერი, შნოორი, პონტე, ვან ჰინტუმი
მსაჯი: აუსტი
30 000 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 1:0 ჰანზა**

1:0 დომინგუში (71)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოცისი, ჰ. რამზი (მ. კოხი 67), ლემბი, ჩატო, ბიელიცა, სფორცა, ბასლერი (ტიმი 54), ლოკვენცი, დომინგუში (ანფანგი 79), კლოზე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ჰანზა: შობერი, კოვარი, იაკობსონი, ჰილი, მაული, ადუბე, ჰირში, ვიბრანი (არვიდსონი 77), ლანცი (პრიკა 61), დი სალვო, სალუ
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
გაფრთხილება: ბიელიცა, ბასლერი, სფორცა, კოვარი
მსაჯი: შტრამპე
38 522 მაყურებელი

**არმინია 2:1 მიუნხენი**

1:0 ვიშნიარეკი (14+3), 1:1 შტრანცლი (20), 2:1 ვიშნიარეკი (42)
არმინია: ჰაინი, ჰანსენი, რაინჰარდტი, ბორგესი, დაბროვსკი, კაუფი, დამაიერი, ბრინკმანი, ვატა (რაუვე 62), ჰაინცი (დიაბანგი 62), ვიშნიარეკი (ბოგდანოვიჩი 89)
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
მიუნხენი: იენჩი, შტრანცლი, ვოტავა, როდრიგო კოშტა, ტისი (ბორიმიროვი 82), რ. მაიერი, ჩერნი, ვიზინგერი (შრო 70), მაქსი, აგოსტინო (ლაუტი 58), შროტი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ჰაინი, იენჩი, ჩერნი, ვიზინგერი
მსაჯი: ფროილიხი
21 070 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 2:0 ნიურნბერგი**

1:0 ულიხი (12), 2:0 ფორსელი (56)
მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, პლეტჩი, შტრასერი, ასანინი, კლუგე (შტასინი 82), დემო, ულიხი, აიდოო (ფელგენაუერი 57), ფორსელი, კეტელაერი (შლაუდრაფი 89)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ნიურნბერგი: კამპა, შტელე, კოში, ნიკლი, ვოლფი, ლარსენი, ლ. მიულერი, ჟუნიორი, იაროლიმი, კრჟინოვეკი (ს. ჩირიჩი 58), მიხალკე (კაკაუ 70)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: დემო, შტელე
მსაჯი: კემლინგი
30 000 მაყურებელი

**ნაცრისფერი ტური** გამოდგა — მოხდა ის, რასაც წინასწარმეტყველებდნენ — გერმანული ამბები ვერც „ბაიერნის" საშინაო წაგებამ გააფერადა — წაუგებელი სერიების შემდეგ ბავარიელების მარცხი ეგებ გადამწიფებულიც კი იყო.

დავიწყოთ ყველაზე მოსალოდნელი ამბით — ზედიზედ ექვსი მოუგებელი მატჩის შემდეგ „შალკემ" გასავარდნად განწირული „კოტბუსი" მიტყეპა — მარკ ვილმოტსის ხელში „ხუმარებმა" პირველი გამარჯვება იზეიმეს.

მატჩი იორგ ბიომეს ბენეფისად იქცა — მას ადრე მოღალატეობას სწამებდნენ „შალკეს" მოხელეები, „ლევერკუზენს" ჩვენს ტაქტიკა-სტრატეგიას უკაკლავსო, თუმც ფეხბურთელს ვერაფერი დაუმტკიცეს.

პირველად მოიგო „ვოლფსბურგმაც", მას შემდეგ, რაც გუნდი შტეფან ეფენბერგმა დატოვა — „მგელთა" საკბილო „ჰანოვერი" აღმოჩნდა. ამ გამარჯვებით „ვოლფსბურგი" ერთი საფეხურით აღზევდა, სამქულიანი გოლი კი არგენტინელმა შემტევმა დიეგო კლიმოვიჩმა შეაგდო.

ოდესღაც დიადმა და გერმანიის ხუთგზის ჩემპიონმა „მიონხენგლადბახმა" არგავარდნისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ნიურნბერგს" მოუგო — ჯერ ჩეხმა შუახაზელმა ივო ულიხმა გაიტანა, მერე ფინელმა ფორვარდმა მიკაელ ფორსელმა — „ჩელსიდან" ნათხოვარი ეს თავდამსხმელი გლადბახელებს ძალიან გამოადგათ.

ამ სამი ქულით გლადბახური „ბორუსია" მე-14-დან მე-12-ზე აღზევდა, მაგრამ ორი კიბით ანაცვლება ჯერჯერობით დიდი ვერაფერი ნუგეშია.

ბილეფელდში არტურ ვიშნიარეკის დღე იყო — მან 11-მეტრიანიდანაც გაიტანა და თამაშიდანაც, რითაც „არმანია", მე-11 ადგილზე წამოიჭიმა. „მიუნხენ 1860"-მა კი ერთხელაც გამოაჩინა თავისი სახე — ამ გუნდს ევროტურნირებზე არაფერი ესაქმება.

მეორე მიუნხენური გუნდი „ბაიერნი" კი ვინძლო ყველაზე ენამწარე კრიტიკოსმაც ვერ გაკიცხოს — ბაიერნელებს რვა წამყვანი მოთამაშე დაშავებული ჰყავთ და ბოლო ორი წლის მანძილზე ბუნდესლიგაში შინ პირველად დამარცხდნენ. ეს საქმე ბრემენელმა „მუსიკოსებმა" ითავეს — გოლი მათმა საუკეთესო ფეხბურთელმა, ფრანგმა პლეიმეიკერმა იოან მიკუმ შეაგდო.

უკვე ორი ტურია, რაც „ბაიერნის" უახლოესი მდევარი „შტუტგარტი" შეიქნა. ფელიქს მაგათის გუნდი „ლევერკუზენს" მასპინძლობდა, რომელმაც მანამდე ბერლინის „ჰერტას" 4:1 გადაურბინა — გუნდში სპორტულ დირექტორად იურგენ კოლ[illegible] [illegible] ფარმაკოლოგებმაც [illegible] ლაო...

მაგრამ კოლერი ჯადოქარი ვერ გამოდგა — მაგათელებმა ერთი ამოსუნთქვით შეუბერეს სული „ლევერკუზენს" — გოლები ინტერნაციონალური გამოდგა — იოანის ამანატიდისი ბერძენი შემტევი გახლავთ, ალექსანდრ გლები უკრაინელი ნახევარმცველი, ვიორელ განია კი რუმინელი ფორვარდი.

ჩემპიონმა „დორტმუნდმა" და „ჰამბურგმა" ქულები გაინაწილეს — მატჩის მთავარი მოვლენები ბოლო 25 წუთში დატრიალდა — არგენტინელი ბერნარდო რომეოს გოლს ჩეხმა იან კოლერმა უპასუხა, ტორსტენ ფრინგსი კი მეორედ „გაყვითლების" გამო გააძევეს.

ერიკ გერეტსმა ლომურ წვერზე ბრჭყალი მოისვა — ამ კაცს მართლა სცოდნია გუნდის გადარჩენა, თუმც „კაიზერსლაუტერნის" ბუნდესლიგაში დარჩენა ჯერაც არაა დაზღვეული. როსტოკის „ჰანზასთან" გამარჯვების გოლი პორტუგალიელმა მარცხენაფლანგელმა ჟოზე მანუელ დომინგუშმა გაიტანა.

ივაჟკაცა ბერლინის „ჰერტამ" — დედაქალაქელები მეორე ტაიმში კაცნაკლულნი ძიძგილაობდნენ „ბოხუმთან", მაგრამ მაინც მოიგეს — თავი უნგრელმა შუახაზელმა პალ დარდაიმ გამოიჩინა. გაძევებული კაცი კი ჯმუხ-ზორბა ჰოლანდიელი მცველი დიკ ვან ბურიკი გახლდათ.

**დავით თაგართქილაძე**

REUTERS შტუტგარტიდან



„ლევერკუზენის" კარში გატანილი შტუტგარტელთა მეორე გოლი ალექსანდრ გლებისა იყო

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 28 | 19 | 6 | 3 | 59:19 | 40 | 63 | 15 | 11 | 3 | 1 | 34:11 | 23 | 36 | 13 | 8 | 3 | 2 | 25:8 | 17 | 27 |
| 2 შტუტგარტი | 28 | 15 | 7 | 6 | 46:31 | 15 | 52 | 14 | 8 | 4 | 2 | 27:12 | 15 | 28 | 14 | 7 | 3 | 4 | 19:19 | 0 | 24 |
| 3 დორტმუნდი | 28 | 13 | 9 | 6 | 43:23 | 20 | 48 | 13 | 8 | 4 | 1 | 23:9 | 14 | 28 | 15 | 5 | 5 | 5 | 20:14 | 6 | 20 |
| 4 ჰერტა | 28 | 13 | 6 | 9 | 42:31 | 11 | 45 | 14 | 8 | 4 | 2 | 28:13 | 15 | 28 | 14 | 5 | 2 | 7 | 14:18 | -4 | 17 |
| 5 ჰამბურგი | 28 | 12 | 8 | 8 | 34:33 | 1 | 44 | 14 | 10 | 3 | 1 | 20:10 | 10 | 33 | 14 | 2 | 5 | 7 | 14:23 | -9 | 11 |
| 6 შალკე | 28 | 10 | 13 | 5 | 39:30 | 9 | 43 | 14 | 5 | 8 | 1 | 21:12 | 9 | 23 | 14 | 5 | 5 | 4 | 18:18 | 0 | 20 |
| 7 ვერდერი | 28 | 13 | 4 | 11 | 43:41 | 2 | 43 | 14 | 8 | 2 | 4 | 28:19 | 9 | 26 | 14 | 5 | 2 | 7 | 15:22 | -7 | 17 |
| 8 ვოლფსბურგი | 28 | 11 | 5 | 12 | 32:34 | -2 | 38 | 14 | 10 | 1 | 3 | 22:11 | 11 | 31 | 14 | 1 | 4 | 9 | 10:23 | -13 | 7 |
| 9 მიუნხენი | 28 | 10 | 7 | 11 | 36:43 | -7 | 37 | 13 | 5 | 3 | 5 | 16:17 | -1 | 18 | 15 | 5 | 4 | 6 | 20:26 | -6 | 19 |
| 10 ლაუტერნი | 28 | 9 | 8 | 11 | 36:35 | 1 | 35 | 15 | 8 | 2 | 5 | 22:12 | 10 | 26 | 13 | 1 | 6 | 6 | 14:23 | -9 | 9 |
| 11 არმინია | 28 | 8 | 10 | 10 | 31:34 | -3 | 34 | 14 | 7 | 4 | 3 | 20:10 | 10 | 25 | 14 | 1 | 6 | 7 | 11:24 | -13 | 9 |
| 12 ჰანზა | 28 | 9 | 7 | 12 | 28:33 | -5 | 34 | 14 | 4 | 5 | 5 | 14:16 | -2 | 17 | 14 | 5 | 2 | 7 | 14:17 | -3 | 17 |
| 13 ჰანოვერი | 28 | 9 | 6 | 13 | 39:50 | -11 | 33 | 14 | 3 | 5 | 6 | 23:28 | -5 | 14 | 14 | 6 | 1 | 7 | 16:22 | -6 | 19 |
| 14 გლადბახი | 28 | 9 | 5 | 14 | 30:38 | -8 | 32 | 14 | 8 | 4 | 2 | 22:8 | 14 | 28 | 14 | 1 | 1 | 12 | 8:30 | -22 | 4 |
| 15 ბოხუმი | 28 | 8 | 7 | 13 | 41:49 | -8 | 31 | 14 | 5 | 3 | 6 | 21:22 | -1 | 18 | 14 | 3 | 4 | 7 | 20:27 | -7 | 13 |
| 16 ლევერკუზენი | 28 | 8 | 6 | 14 | 36:46 | -10 | 30 | 14 | 4 | 3 | 7 | 20:24 | -4 | 15 | 14 | 4 | 3 | 7 | 16:22 | -6 | 15 |
| 17 ნიურნბერგი | 28 | 8 | 5 | 15 | 30:47 | -17 | 29 | 14 | 4 | 3 | 7 | 15:21 | -6 | 15 | 14 | 4 | 2 | 8 | 15:26 | -11 | 14 |
| 18 კოტბუსი | 28 | 6 | 5 | 17 | 28:56 | -28 | 23 | 14 | 3 | 1 | 10 | 14:28 | -14 | 10 | 14 | 3 | 4 | 7 | 14:28 | -14 | 13 |

**XXIX ტური**

20 აპრილი

ჰანზა — ჰერტა
ვერდერი — ვოლფსბურგი
დორტმუნდი — ბაიერნი
მიუნხენ 1860 — ჰამბურგი
ნიურნბერგი — არმინია
კოტბუსი — გლადბახი
ლევერკუზენი — შალკე
ბოხუმი — შტუტგარტი
ჰანოვერი — ლაუტერნი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 16 |
| ელბერი (ბაიერნი) | 15 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 14 |
| კურანი (შტუტგარტი) | 13 |
| ბობიჩი (ჰანოვერი) | 13 |

## მეორე ბუნდესლიგა

### XXVIII ტური

**ფრაიბურგი 1:1 ზანკტ პაული**

0:1 კრისი (28), 1:1 ნასიმენტუ (39ს.კ.)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, შ. მიულერი, ცძიტიშვილი, ბერნერი, ბაირამოვიჩი, ჰერმელი, კულიბალი, ვ. ბუტი (გუიემიენი 66), იაშვილი, ტანკო (რამდანე 78; ა. ცაიერი 87)
*ლევან კობიაშვილი ტრავმირებულია, ზაზა ზამთარაძე სარეზერვო გუნდშია*
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაძევება: ცძიტიშვილი (77)

**ფიურტი 2:0 როიტლინგენი**

1:0 კაილახი (22), 2:0 ჰოლიკელა (90)
*ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე სათადარიგო იყო*

**ალემანია 1:3 ბრაუნშვაიგი**

0:1 შანდა (9), 0:2, 0:3 ხოჯი (40, 52), 1:3 მბვანდო (61)

**ბურგჰაუზენი 2:0 ვალდჰოფი**

1:0 იორიუმი (65), 2:0 მოხტარი (90)

**კარლსრუე 0:0 მაინცი**

**ალენი 2:1 ტრირი**

1:0 ანიჩი (48), 2:0 ფაინბერი (77), 2:1 ბენშნაიდერი (90)

**დუისბურგი 0:1 უნიონი**

0:1 ბაუმგარტი (47)

**აინტრახტი 3:1 ლიუბეკი**

1:0 ჯ. ჯოუნსი (10), 1:1 შარპინგი (37), 2:1 შკელა (57), 3:1 ბაიერლე (66)

**კიოლნი — ობერჰაუზენი**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 27 | 15 | 11 | 1 | 56:33 | 56 |
| ფრაიბურგი | 28 | 16 | 7 | 5 | 47:23 | 55 |
| აინტრახტი | 28 | 14 | 9 | 5 | 45:26 | 51 |
| მაინცი | 28 | 15 | 5 | 8 | 46:27 | 50 |
| ფიურტი | 28 | 12 | 10 | 6 | 43:29 | 46 |
| ტრირი | 28 | 13 | 6 | 9 | 48:37 | 45 |
| ალემანია | 28 | 11 | 9 | 8 | 45:37 | 42 |
| დუისბურგი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:35 | 39 |
| როიტლინგენი | 28 | 10 | 6 | 12 | 34:39 | 36 |
| ბურგჰაუზენი | 28 | 8 | 11 | 9 | 40:35 | 35 |
| ლიუბეკი | 28 | 10 | 4 | 14 | 39:40 | 34 |
| უნიონი | 28 | 7 | 13 | 8 | 30:44 | 34 |
| ობერჰაუზენი | 27 | 9 | 6 | 12 | 33:37 | 33 |
| ალენი | 28 | 8 | 6 | 14 | 37:49 | 30 |
| კარლსრუე | 28 | 5 | 11 | 12 | 24:41 | 26 |
| ზტ. პაული | 28 | 6 | 7 | 15 | 38:57 | 25 |
| ბრაუნშვაიგი | 28 | 5 | 8 | 15 | 27:47 | 23 |
| ვალდჰოფი | 28 | 5 | 6 | 17 | 28:59 | 21 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

26-ე ტური: კილი — ესენი 1:1; იურდინგენი — ვერდერი (მ) 0:2; აუე — ქემნიცი 3:0; ლევერკუზენი (მ) — დინამო 0:1; დრეზდენი — ვატენშაიდი 0:3; დორტმუნდი (მ) — მიუნსტერი 0:2; ოსნაბრიუკი — ბაბელსბერგი 3:1; პადერბორნი — კიოლნი (მ) 4:1; ჰამბურგი (მ) — ფერლი 3:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა

28-ე ტური: უნტერჰახინგი — ნოინკირხენი 5:0; ელვერსბერგი — შვაინფურტი 1:2; კიკერსი — ერფურტი 4:2; დარმშტადტი — აუგსბურგი 0:2; ზიგენი — ზაარბრიუკენი 0:2; რეგენსბურგი — ოფენბახი 1:1; ჰოფენჰაიმი — აალენი 0:1; აინტრახტი (მ) — ჰფულენდორფი 1:1; კაიზერსლაუტერნი (მ) — ვეჰენი 1:1

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XXIX ტური

**სოსიედადი 4:2 რეალი**

1:0, 2:0 კოვაჩევიჩი (2, 19), 3:0 ნიჰათი (30), 3:1 რონალდო (31), 4:1 ხაბი ალონსო (32), 4:2 პორტილიო (85)
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარშე, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო (ბორისი 74), ხაურეგი, დე პედრო, კარპინი (ტაიფუნი 80), კოვაჩევიჩი, არანბურუ, ნიჰათი (გაბილონდო 87)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ (მინიამბრესი 46), მაკელელე, ფ. კონსეისაო (გუტი 46), ზიდანი (პორტილიო 71), რაული, რონალდო
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: კონსეისაო, ელგერა
მსაჯი: მორენო დელგადო
31 000 მაყურებელი

**ბარსელონა 2:4 დეპორტივო**

1:0 სავიოლა (2), 1:1 სკალონი (17), 2:1 მოტა (25), 2:2, 2:3 მაკაი (52, 64), 2:4 სერხიო (75)
ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი, ფ. დე ბური, პუიოლი, ხერარდი (ლუის ენრიკე 61), მენდიეტა (რიკელმე 76), გაბრი, მოტა, ოვერმარსი (როჩემბაკი 78), კლუივერტი, სავიოლა
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
დეპორტივო: ხუანმი, მანუელ პაბლო (ვიქტორი 46), რომერო, ნაიბეტი, ექტორი, მაურო სილვა, ფრანი (კაპდევილა 68), სკალონი, სერხიო, ვალერონი (დუშერი 82), მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: რომერო, სავიოლა, რომერო, სავიოლა
გაძევება: რომერო (66), სავიოლა (72)
მსაჯი: პერეს ბურული
68 844 მაყურებელი

**ვალენსია 1:0 ოსასუნა**

1:0 მისტა (6)
ვალენსია: კანისარესი, ფ. აურელიო, ჟუკიჩი, მარჩენა, რეველიერი, ალბელდა, რუფეტე, აიმარი, ხუან სანჩესი (დ. ნავარო 24), ვისენტე (კარბონი 85), მისტა (ანგულო 51)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ოსასუნა: სანსოლი, მატეო (ივან როსადო 47), კრუჩაგა, ხოსეჩო, ანტონიო ლოპესი, კ. მანფრედინი (მოა 58), პუნიალი, პაბლო გარსია (რივერო 51), ვალდო, განსედო, ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ალბელდა, პაბლო გარსია, რივერო, ვისენტე, კრუჩაგა
გაძევება: მარჩენა (1)
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
39 980 მაყურებელი

**სელტა 1:0 ბეტისი**

1:0 მოსტოვოი (43)
სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ანხელი, ხუანფრანი, სერხიო, მოსტოვოი, ედუ (ვაგნერი 62), ლუქსენი, მიდო (სილვინიო 83), გუსტავო ლოპესი (კატანია 69)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ვარელა, ფერნანდო, იტო (კალადუ 80), ფილიპესკუ, ბენჟამინი (კასასი 58), არზუ, დანი (კაპი 46), ხოაკინი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ფერნანდო, კასერესი, ანხელი, ხუანფრანი
მსაჯი: რუბინოს პერესი
17 900 მაყურებელი

**ატლეტიკო 3:3 ესპანიოლი**

0:1 ტამუდო (24პ), 0:2 ლოპო (58), 1:2 ლუის გარსია (75), 1:3 დომორო (78), 2:3 ჰიბიჩი (86), 3:3 აგილერა (90)
ატლეტიკო: ესტებანი, ოტერო, კოლომბინი, ჰიბიჩი, სერხი, აგილერა, ალბერტინი, ემერსონი (მოვილია 56), ლუის გარსია, ფ. ტორესი (ხავი მორენო 13), ხოსე მარი (ი. სტანკოვიჩი 49)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, ლოპო, ტორიჩელი, დომორო, ხარკე, როხერი (დე ლა პენია 64), მაქსი, ბერტრანი (მორალესი 69), ოსკარი (ფრედსონი 54), ტამუდო
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: ხოსე მარი, სერხი, ლოპო
მსაჯი: უნდიანო მალენკო
44 887 მაყურებელი

# ბარსელონა ოცნების გუნდია


REUTERS

სოსიედადი — რეალი. დედაქალაქელთა კაპიტანი ფერნანდო იერო და ივან ელგერა ბასკთა თურქ ფორვარდ ნიჰათთან ვერაფერს გახდნენ

**რაიო ვალეკანო 1:1 ბილბაო**

0:1 ურსაისი (75), 1:1 ბოლიჩი (83)
რაიო ვალეკანო: სეგურა, დე კინტანა, გრაფი, მარიო, მიჩელი (კამუნიასი 74), კევედო, ასკოიტია, ხულიო ალვარესი (ლუის ხემბრანოსი 46), ელდერი, პერაგონი, ბოლო (ბოლიჩი 66)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, აიტორ ოსიო, იესტე (არიაგა 66), ხავი გონსალესი, ალკისა, დელ ორნო, ტიკო (ფელიპე 86), გურპეგი, ესკერო, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ალკისა, მარიო, ასკოიტია, კარანკა, დე კინტანა, ურსაისი, ფელიპე
მსაჯი: პუენტეს ლეირა
12 000 მაყურებელი

**მალაგა 1:0 ვალიადოლიდი**

1:0 კანაბალი (84)
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, ხოსემი, მუსამპა, რომერო, მანუ (სანდრო 54), დარიო სილვა (ლეკო 79), დელი ვალდესი (კანაბალი 54)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, გასპარი, ტორეს გომესი, კოლსა, კამინერო (მუსტაფა 60), ფ. სალესი, აგანსო, ოსკარი (სოუზა 65), ოლივერა (ანტონიო ლოპესი 78), ჟონათანი
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: კოლსა, მუსამპა, კოლსა, ბიზარი
გაძევება: აგანსო (85), კოლსა (88)
მსაჯი: პერეს პერესი
18 000 მაყურებელი

**მალიორკა 3:3 რასინგი**

0:1 ბოდიპო (1), 1:1 რიერა (2), 1:2 ხავი გერერო (6პ), 1:3 ბოდიპო (42), 2:3, 3:3 ეტოო (55, 80)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, კორტესი, პოლი, ლუსენპოფი, იბაგასა, ნოვო (ლეო ბიაჯინი 82), რიერა, მარკოსი (კამპანო 55), ეტოო, პანდიანი (ტურუ ფლორესი 75)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
რასინგი: ლემენსი, კორომინა, ნერუ, ნაფტი, პაბლო კასარი, მორა, ბენაიუნი (პინედა 52), მატაბუენა (ისმაელი 81), ბოდიპო (მორანი 66), ხავი გერერო, რეგუერო
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
გაფრთხილება: ნინიო, მარკოსი, მორა, ხავი გერერო, იბაგასა, პანდიანი, ნაფტი
გაძევება: პაბლო კასარი (48)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
17 000 მაყურებელი

**სევილია 3:1 ვილიარეალი**

1:0 რეიესი (10), 1:1 ხორხე ლოპესი (18), 2:1, 3:1 მახლასი (83, 90)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, ნიეგესი, ფრედი (გალიარდო 47), მარკოს ვალესი, კასკერო (ვ. სალასი 68), ტორადო, რეიესი, ანტონიტო (მახლასი 73)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, უნაი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო (კალეხა 84), ფარინოსი (კიკე მედინა 61), დე ნიგრისი (პალერმო 77), ვიქტორი, გიარე
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: ფრედი, კიკე ალვარესი, დე ნიგრისი, ხავი ნავარო, რეიესი, ფარინოსი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
35 000 მაყურებელი

**უელვა 1:0 ალავესი**

1:0 ხავი გარსია (4)
უელვა: ლუკა ესპინოლა, პერნია, ხავი გარსია, არპონი (რომერო 66), იკერ ბეგონია, ბენიტესი, ლორენი, ვიკეირა, კამაჩო, რაულ მოლინა (ბერმეხო 79)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია, კარმონა, ტელიესი, ჟელი, ლორენსო (პაბლო 54), დესიო (კრუიფი 60), ასტუდილიო, ლ. ელგერა, რუბენ ნავარო, ივან ალონსო (მარა 75)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ლორენსო, ტელიესი, ჟელი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
18 000 მაყურებელი

„რეალმა" და „ბარსელონამ" წყვილად წააგეს, ჯამში რვა გოლი გაუშვეს, ანუ ყველა შესაძლო ვარიანტთაგან დაჯდა ის, რომელმაც დარჩენილ ცხრა ტურში საჩემპიონო ბრძოლას მაქსიმალური ინტრიგა შეუნარჩუნა.

„დეპორტივოსთან" მატჩის შემდეგ „ბარსელონას" ვებ-გვერდზე ამოიკითხავდით: „ჩვენ მეოცნებეები ვართ და ჩვენს ოცნებას ჩემპიონთა ლიგა ქვია. პრეზიდენტ ენრიკე რეინას ჯერ არ ალუმართავს ჩემპიონთა თასი სენტ ხაიმეს მოედანზე, მაგრამ გვჯერა, რომ ასე მოხდება. იმიტომ, რომ ლიგაში „ბარსელონა" გუნდია. სამწუხარო კი ის არის, რომ იმ გუნდს არაფერი აქვს საერთო პრიმერადივიზიონში მოთამაშე „ბარსელონასთან".

ტურინული ფრის მერე ბარსელონელი ქომაგი ჩემპიონატში გამარჯვებას ელოდა და ხავიერ სავიოლას სწრაფმა გოლმა ხალხს აფიქრებინა, მოლოდინი აგვიხდებაო. მაგრამ იმედი მალევე გაქრა, „დეპორტივოს" უპირატესობა ყველა რგოლში აშკარა იყო. გალისიელები ბარსელონაში უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდნენ და იდეალურად გამოიყენეს თავისი საგოლე მომენტები. ხოლო „ბარსას", ისე ჩანდა და თავად იქაურებიც ამას ამბობენ, არც იდეა ჰქონდა და მონდომებაც აკლდა. ამიტომაც, „ბარსელონა" ორჯერ რომ იგებდა მატჩს, შემთხვევითობა უფრო იყო.

„შედეგი სავსებით სამართლიანია" — აღიარა მასპინძელთა მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა, რომლის გუნდიც ზედიზედ მეორე დამარცხების შემდეგ მე-12 ადგილამდე დაეშვა. ახლა „ბარსელონას" საჩემპიონთალიგო მეოთხე ადგილამდე 14 ქულა აშორებს და ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა აბსოლუტურად არარეალური ჩანს. გასავარდნთა ზონას კი გუნდი ოდენ ექვსი ქულით აშორებს. კალენდარიც — უარესს ვერ წარმოიდგენთ: მომდევნო უქმეებზე „რეალი", მერე „იუვენტუსი", ჩვენებურ აღდგომამდე „სოსიედადი".

„ბარსელონა" — „დეპორტივო" შაბათს იყო, მეორე დღეს კი „სოსიედადმა" იმავე ანგარიშით 4:2, მოუგო „რეალს".

დარკო კოვაჩევიჩისა და ნიჰათის გოლებით, სანსებასტიანელები 32-ე წუთისთვის უკვე 3:0 იგებდნენ და შემთხვევითო, ნამდვილად ვერ ვიტყვით. ბასკებმა პირწმინდად დაჯაბნეს დედაქალაქელები. როცა ნიჰათმა მესამე გაიტანა, სტუმრებმა თითქოს გაიფართხალეს, ერთ წუთში რონალდომ გაიტანა, მაგრამ კიდევ ერთი წუთიც და ხაბი ალონსომ სამბურთიანი სხვაობა აღადგინა. თამაშის მიწურულს ხავიერ პორტილიოს გოლმა კი მასპინძლებს ხასიათი ვერ წაუხდინა, სტუმრებს კი არაფერი შემატა.

ნამატჩევს დამარცხებულთა განწყობა ასეთი გახლდათ:

იკერ კასილიასი: „ყველაზე ცუდი ის არის, ამხელა ანგარიშით რომ წავაგეთ".

რობერტო კარლოსი: „სოსიედადმა" კი მოგვიგო, მაგრამ ჩვენი კონკურენტი „დეპორტივოა".

ფერნანდო იერო: „არა უშავს, მაინც ლიდერები ვართ".

ხავიერ პორტილიო: „ახლა „ბარსელონას" უეჭველად უნდა მოვუგოთ".

მიჩელ სალგადო: „წლეულს ასე ცუდად არ მითამაშია".

ზედიზედ ხუთი მოუგებელი თამაშის მერე, როგორც იქნა, „ვალენსიამაც" გაიხარა, თუმცა „ოსასუნასთან" სამი ქულა დიდი გაჭირვებით მოიპოვა. მასპინძლებს პირველივე წუთზე გაუგდეს კარლოს მარჩენა, რომელმაც ზედ საჯარიმოს ხაზთან უკანასკნელი იმედის ჯარიმის ფასად დასცა ჯონ ალოიზი, თუმცა მეორე წუთში ვალენსიელებმა მაინც მოახერხეს გოლის გატანა, მისტამ იხეირა. ამის მერე კი ვალენსიელები დაცვაში ჩასხდნენ, თუმცა პამპლონელები მთელი თამაშის მანძილზე მაინც ახერხებდნენ უმწვავესი მომენტების შექმნას. მაგრამ საბოლოოდ, უიღბლობამ და სანტიაგო კანისარესის ბრწყინვალე თამაშმა ისინი შინ უქულოდ გააბრუნა.

მადრიდის „ატლეტიკო" 86-ე წუთამდე 1:3 აგებდა შინ „ესპანიოლთან". მერე, ბარსელონელებს ჩაეძინათ თუ მადრიდელები გამოფხიზლდნენ, „ატლეტიკომ" ორი გოლი გაიტანა. ქულაც კარგია (თან ამგვარად მოპოვებული), თუმცა რომ მოეგო, „ატლეტიკო" საუეფასოთასო ზონაში მოხვდებოდა.

ამ ზონაში ახლა „სელტა" და „სევილია" არიან. წინა ტურის მერე კი „სევილიას" ნაცვლად მეორე სევილიური გუნდი, „ბეტისი" იყო. და რომ არა ვიგოელი ალექსანდრე მოსტოვოის პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გატანილი გოლი, „ბეტისი" კვლავაც მეექვსე ადგილზე, „სელტას" პოზიცია კი ნაკლებად მყარი იქნებოდა.

ბოლოს კი ორიოდე სიტყვით „ბარსელონას" მივუბრუნდეთ. მოგეხსენებათ, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ „კამპ ნოუს" ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. თუმცა კლუბმა სამოქალაქო სასამართლოში იჩივლა და განაჩენის გამოტანამდე ისევ თავის სტადიონზე თამაშობს. მოუხედავად ამისა, „დეპორტივოსთან" მატჩს ჩაშლა დაემუქრა, ოღონდ სხვა მიზეზით: თამაშის წინ „კამპ ნოუზე" შუქი ჩაქრა, მაგრამ „კამპ ნოუ" „ლოკომოტივის" [illegible] არის და ქსელი მალევე შეაკეთეს.

**გიორგი დარჯანია**

## სეგუნდადივიზიონი

### XXXI ტური

**ტერასა 2:2 ოვიედო**

1:0 ბაბანგიდა (60), 1:1 ხუბერა (75ს.კ.), 1:2 სარასუა (78), 2:2 ექტორი (87)

**ელჩე 1:0 ტენერიფე**

1:0 არმენტანო (72)

**ლას პალმასი 2:0 პოლი ეხიდო**

1:0 პედრო ვეგა (41), 2:0 რუბენი (43)

**ხერესი 2:0 მურსია**

1:0 ზარატე (68), 2:0 მენდოსა (86)

**ლეგანესი 0:3 კორდობა**

0:1 მონტენეგრო (41), 0:2 გორკა გარსია (62), 0:3 მონტენეგრო (90)

**ნუმანსია 4:2 ფეროლი**

1:0 პაჩეტა (6), 2:0 არანდა (51), 3:0 ფაბიანი (66პ), 4:0 მიგელ პერესი (68), 4:1, 4:2 პეცაროსი (77, 81)

**სპორტინგი 3:2 ლევანტე**

1:0 ლოზანო (12), 2:0 პაბლო ალვარესი (62), 2:1, 2:2 კონგო (71, 83), 3:2 ვილა (86)

**ალმერია 0:1 სარაგოსა**

0:1 ჩანი (20)

**ბადახოსი 0:2 კომპოსტელა**

0:1, 0:2 მაიკელი (44, 71)

**ეიბარი 0:0 ხეტაფე**

**ალბასეტე 0:0 სალამანკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 31 | 17 | 7 | 7 | 43:17 | 58 |
| ალბასეტე | 31 | 14 | 15 | 2 | 40:20 | 57 |
| სარაგოსა | 31 | 15 | 8 | 8 | 35:28 | 53 |
| ლევანტე | 31 | 13 | 13 | 5 | 41:28 | 52 |
| ხერესი | 31 | 12 | 11 | 8 | 34:32 | 47 |
| ლას პალმასი | 31 | 11 | 13 | 7 | 42:34 | 46 |
| ტენერიფე | 31 | 9 | 16 | 6 | 39:27 | 43 |
| სპორტინგი | 31 | 9 | 14 | 8 | 32:29 | 41 |
| ეხიდო | 31 | 10 | 11 | 10 | 27:29 | 41 |
| ტერასა | 31 | 8 | 15 | 8 | 31:34 | 39 |
| ელჩე | 31 | 9 | 11 | 11 | 34:31 | 38 |
| კომპოსტელა | 31 | 9 | 11 | 11 | 36:39 | 38 |
| ეიბარი | 31 | 8 | 14 | 9 | 25:29 | 38 |
| კორდობა | 31 | 8 | 13 | 10 | 27:23 | 37 |
| ხეტაფე | 31 | 9 | 10 | 12 | 39:40 | 37 |
| სალამანკა | 31 | 7 | 15 | 9 | 21:22 | 36 |
| ნუმანსია | 31 | 8 | 12 | 11 | 31:38 | 36 |
| ლეგანესი | 31 | 7 | 14 | 10 | 35:39 | 35 |
| ალმერია | 31 | 7 | 12 | 12 | 34:50 | 33 |
| ბადახოსი | 31 | 8 | 7 | 16 | 20:44 | 31 |
| ფეროლი | 31 | 6 | 10 | 15 | 29:47 | 28 |
| ოვიედო | 31 | 5 | 12 | 14 | 26:41 | 27 |

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 29 | 17 | 9 | 3 | 66:31 | 35 | 60 | 14 | 11 | 3 | 0 | 41:13 | 28 | 36 | 15 | 6 | 6 | 3 | 25:18 | 7 | 24 |
| 2 | დეპორტივო | 29 | 17 | 6 | 6 | 49:32 | 17 | 57 | 14 | 9 | 3 | 2 | 27:12 | 15 | 30 | 15 | 8 | 3 | 4 | 22:20 | 2 | 27 |
| 3 | სოსიედადი | 29 | 16 | 9 | 4 | 52:38 | 14 | 57 | 14 | 9 | 5 | 0 | 30:17 | 13 | 32 | 15 | 7 | 4 | 4 | 22:21 | 1 | 25 |
| 4 | ვალენსია | 29 | 14 | 8 | 7 | 43:23 | 20 | 50 | 15 | 9 | 3 | 3 | 24:8 | 16 | 30 | 14 | 5 | 5 | 4 | 19:15 | 4 | 20 |
| 5 | სელტა | 29 | 14 | 6 | 9 | 34:24 | 10 | 48 | 15 | 8 | 4 | 3 | 21:11 | 10 | 28 | 14 | 6 | 2 | 6 | 13:13 | 0 | 20 |
| 6 | სევილია | 29 | 11 | 9 | 9 | 27:22 | 5 | 42 | 14 | 7 | 5 | 2 | 19:10 | 9 | 26 | 15 | 4 | 4 | 7 | 8:12 | -4 | 16 |
| 7 | ბეტისი | 29 | 11 | 8 | 10 | 38:38 | 0 | 41 | 15 | 8 | 3 | 4 | 21:13 | 8 | 27 | 14 | 3 | 5 | 6 | 17:25 | -8 | 14 |
| 8 | ატლეტიკო | 29 | 10 | 10 | 9 | 41:37 | 4 | 40 | 15 | 7 | 5 | 3 | 25:17 | 8 | 26 | 14 | 3 | 5 | 6 | 16:20 | -4 | 14 |
| 9 | მალაგა | 29 | 9 | 11 | 9 | 36:33 | 3 | 38 | 15 | 7 | 6 | 2 | 24:13 | 11 | 27 | 14 | 2 | 5 | 7 | 12:20 | -8 | 11 |
| 10 | ბილბაო | 29 | 10 | 7 | 12 | 41:47 | -6 | 37 | 15 | 8 | 2 | 5 | 22:16 | 6 | 26 | 14 | 2 | 5 | 7 | 19:31 | -12 | 11 |
| 11 | მალიორკა | 29 | 10 | 7 | 12 | 33:45 | -12 | 37 | 14 | 5 | 4 | 5 | 18:26 | -8 | 19 | 15 | 5 | 3 | 7 | 15:19 | -4 | 18 |
| 12 | ბარსელონა | 29 | 9 | 9 | 11 | 46:40 | 6 | 36 | 14 | 6 | 5 | 3 | 33:20 | 13 | 23 | 15 | 3 | 4 | 8 | 13:20 | -7 | 13 |
| 13 | ვილიარეალი | 29 | 9 | 8 | 12 | 29:35 | -6 | 35 | 14 | 7 | 2 | 5 | 16:15 | 1 | 23 | 15 | 2 | 6 | 7 | 13:20 | -7 | 12 |
| 14 | რასინგი | 29 | 10 | 3 | 16 | 37:46 | -9 | 33 | 14 | 6 | 2 | 6 | 19:14 | 5 | 20 | 15 | 4 | 1 | 10 | 18:32 | -14 | 13 |
| 15 | ვალიადოლიდი | 29 | 9 | 5 | 15 | 27:33 | -6 | 32 | 14 | 6 | 3 | 5 | 16:13 | 3 | 21 | 15 | 3 | 2 | 10 | 11:20 | -9 | 11 |
| 16 | ესპანიოლი | 29 | 8 | 8 | 13 | 32:39 | -7 | 32 | 15 | 7 | 3 | 5 | 22:17 | 5 | 24 | 14 | 1 | 5 | 8 | 10:22 | -12 | 8 |
| 17 | ოსასუნა | 29 | 7 | 9 | 13 | 27:36 | -9 | 30 | 15 | 6 | 3 | 6 | 15:14 | 1 | 21 | 14 | 1 | 6 | 7 | 12:22 | -10 | 9 |
| 18 | ალავესი | 29 | 7 | 9 | 13 | 31:51 | -20 | 30 | 14 | 5 | 6 | 3 | 15:13 | 2 | 21 | 15 | 2 | 3 | 10 | 16:38 | -22 | 9 |
| 19 | უელვა | 29 | 7 | 9 | 13 | 28:49 | -21 | 30 | 15 | 4 | 6 | 5 | 17:20 | -3 | 18 | 14 | 3 | 3 | 8 | 11:29 | -18 | 12 |
| 20 | რაიო | 29 | 7 | 6 | 16 | 26:44 | -18 | 27 | 15 | 4 | 5 | 6 | 16:20 | -4 | 17 | 14 | 3 | 1 | 10 | 10:24 | -14 | 10 |

**XXX ტური**

20 აპრილი

ესპანიოლი — ბილბაო
ბეტისი — ატლეტიკო
ოსასუნა — სელტა
ვალიადოლიდი — ვალენსია
ალავესი — მალაგა
რასინგი — უელვა
ვილიარეალი — მალიორკა
დეპორტივო — სევილია
რეალი — ბარსელონა
სოსიედადი — რაიო ვალეკანო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 22 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 17 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 16 |
| რონალდო (რეალი) | 15 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 13 |
| პანდიანი (მალიორკა) | 12 |
| რაული (რეალი) | 11 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 11 |

# ჰა, იუვე და ჰა, ექვსი ტური!

## იტალია

### სერია A. XXVIII ტური

#### ინტერი 0:1 მილანი

0:1 ინძაგი (63)
ინტერი: ტოლდო, კორდობა, ფ. კანავარო, მატერაცი, პასკუალე (გამარა 84), ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (ოკანი 60), კ. ძანეტი, ემრე, ვიერი, რეკობა (ბატისტუტა 83)
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი (ლაურსენი 52), კოსტაკურტა, რუი კოშტა, გატუზო, ამბროზინი, სერჟინიო (ბროკი 72), შევჩენკო, ფ. ინძაგი (რივალდო 81)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: დი ბიაჯო, შიმიჩი, მატერაცი, რუი კოშტა, გატუზო, ტოლდო
გაძევება: კორდობა (67)
მსაჯი: როზეტი
80 000 მაყურებელი

#### ბოლონია 2:2 იუვენტუსი

1:0 კრუზი (15), 2:0 ლოკატელი (73), 2:1 პარამატი (86ს.კ.), 2:2 კამორანეზი (90)
ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო, პარამატი, მ. კასტელინი, ნერვო (ფრარა 74), კ. ამორუზო, ოლივე, მეგნი (ფალკონე 90), ვანოლი, სინიორი (ლოკატელი 72), ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, იულიანო, მონტერო, პესოტო (დი ვაიო 58), ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი (კონტე 64), ნედვედი, დელ პიერო, ზალაიეტა (კამორანეზი 72)
მწვრთნელი: მანჩელო ლიპი
გაფრთხილება: მონტერო, ძაკარდო, ძამბროტა, ტაკინარდი
მსაჯი: პაპარესტა
37 000 მაყურებელი

#### მოდენა 0:0 ლაციო

მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, უნგარი, კამპედელი (სკოპონი 63), მარასკო, მილანეტო, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი (სკული 58), დ. კამარა, ვინიაროლი (ჯ. ფერარი 82)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
ლაციო: პერუცი (მარკეჯანი 63), ოდო, ნეგრო, მიხაილოვიჩი, სეზარი, ლაზეტიჩი (ს. ინძაგი 80), ჯანიკედა, ლივერანი (ფიორე 53), დ. სტანკოვიჩი, კ. ლოპესი, კორადი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: მილანეტო, მაიერი, კორადი, მიხაილოვიჩი, უნგარი, ნეგრო, მარასკო
მსაჯი: მესინა
15 000 მაყურებელი

#### რომა 2:1 პარმა

0:1 ადრიანო (40), 1:1 ტოტი (45), 2:1 გიგუ (73)
რომა: პელიცოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი (ალდაირი 53), კანდელა, ტომაზი, ემერსონი, დაკური (გიგუ 67), ფ. ლიმა, ტოტი, ა. კასანო (მონტელა 55)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
პარმა: ფრეი, ბონერა (პ. კანავარო 80), კარდონე, მ. ფერარი, ჟუნიორი, ბრეშიანო, ლამუში (მატეო ბრიგი 63), ბარონე (ჯილარდინო 80), ე. ფილიპინი, ადრიანო, მუტუ
მწვრთნელი: კლაუდიო პრანდელი
გაფრთხილება: სამუელი, პანუჩი, ბრიგი, მუტუ
მსაჯი: ტრეფოლონი
55 000 მაყურებელი

#### ემპოლი 2:1 კიევო

0:1 ბიელანოვიჩი (7), 1:1 ბუშე (23), 2:1 ლუკინი (60)
ემპოლი: ბერტი, ლუკინი (ფიჩინი 77), კრიბარი, პრატალი, კუპი, ბუშე, ჯამპიერეტი, გრელა, ვანუკი (კაპელინი 88), დი ნატალე (ბორიელო 81), როკი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
კიევო: ამბროზიო, ფ. მორო, ლეგროტალიე, დანა, ს. ლანა, ლუსიანო (დე პაულა 69), პეროტა, კორინი, დ. ფრანჩესკინი (ნალისი 62), ბიელანოვიჩი (პელისიერი 46), ფ. კოსატო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ბერტი, პეროტა, ლეგროტალიე, ვანუკი, გრელა
მსაჯი: ბერტინი
5 808 მაყურებელი

#### უდინეზე 0:0 ბრეშა

უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი (როსიტო 57), კროლდრუპი, იანკულოვსკი, პინსი, დ. პიზარო, პიერი (ფელიპე 90), იორგენსენი (მუნტარი 65), იაკინტა, მუცი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ბრეშა: სერენი, დაინელი, პეტრუცი, ბილიკა, ჟ. მარტინესი, მატუზალემი (ა. ფილიპინი 82), გვარდიოლა, აპია, სერიჩი, რ. ბაჯო, ტონი (ტარე 74)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: სენსინი, კროლდრუპი, როსიტო, გვარდიოლა, სერიჩი, მატუზალემი
მსაჯი: რაკალბუტო
16 000 მაყურებელი

#### კომო 1:1 პერუჯა

1:0 ამორუზო (28), 1:1 მიკოლი (90)
*ზე მარიამ ვერ გაიტანა პენალტი (75, მეკარე)*
კომო: ფერონი, სტელინი, პადალინო, ჟუარესი, კოე, კორენტი, ალეგრეტი, მუსიჩი, კარბონე, ნ. ამორუზო (ბენინი 87), კაჩა (გრეგორი 58)
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი
პერუჯა: კალაჩი, რეზაეი (ობოდო 80), კიალი, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ბლაზი, ფუზანი (კარაჩოლო 81), გროსო, მიკოლი, ვრიზასი (ბერეტონი 31)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ალეგრეტი, კარაჩოლო, კორენტი, გროსო
მსაჯი: ნუჩინი
5 000 მაყურებელი

#### ატალანტა 1:1 რეჯინა

1:0 დონი (9), 1:1 ბონაცოლი (52)
ატალანტა: ტაიბი, სიგილია, ნატალი, საკა, ტრამეცანი (ბელინი 34), გაუტიერი (ბიანკი 76), ძაური, დაბო, დონი, როსინი, ვურგინეცი (ინაჩიო პია 62)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
რეჯინა: ბელარდი, ცირანეკი, ვარგასი, ტორიზი, მამედე (დი მიკელე 27), პარედესი, მოცარტი (რასტელი 88), ფალზინი, კოცა, ნაკამურა (ი. ფრანჩესკინი 67), ბონაცოლი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: პარედესი, ძაური
მსაჯი: ბოლონინო
18 000 მაყურებელი

#### ტორინო 1:3 პიაჩენცა

1:0 კომოტო (58), 1:1 მარესკა (60), 1:2 დი ფრანჩესკო (83), 1:3 ფერარეზე (90)
ტორინო: სორენტინო, კომოტო, გალანტე, ფატორი, მანტოვანი, კონტიკიო (ოსმანოვსკი 78), სკარკილი (დონატი 49), პ. კასტელინი, სომეზე, ფერანტე, ომოლადე (ვანინი 68)
მწვრთნელი: რენატო ძაკარელი
პიაჩენცა: ორლანდონი, გურენკო (ფერარეზე 62), აბატე, მანგონე, ტოსტო, დი ფრანჩესკო, მარესკა (კამპანარო 85), ბაიოკო, მარკიონი, დე ჩეზარე, ძერბინი (უბნერი 46)
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: კონტიკიო, აბატე, კომოტო
მსაჯი: დონდარინი
1 000 მაყურებელი





ინტერი — მილანი. ფილიპო ინძაგის გოლს კრისტიან ვიერიმ და ალვარო რეკობამ თავის ფხანითღა უპასუხეს

მსაჯის დამატებული დრო რომ არა, „იუვენტუსი“ ბოლონიიდან ქულას ვერ წაიღებდა, მასპინძლები 2:1-ს მოიგებდნენ.

მაგრამ მსაჯის დამატებული დროის მე-5(!) წუთზე „ბებერი ქალბატონის“ მარჯვენა ნახევარმცველმა, მაურო კამორანეზიმ გოლის გატანა შეძლო და შედეგად ტურინელები ცხრილის სათავეში ექვსქულიანი უპირატესობით დარჩნენ.

არადა, 86-ე წუთისთვის ეს წარმოუდგენელი ჩანდა: ხულიო კრუზისა და ლოკატელის გოლებით 2:0-ს მასპინძლები იგებდნენ. კარგად წარმოვიდგინოთ, რა დროა 86-ე წუთი. ეს ის დროა, როდესაც 90 წუთის დასრულებამდე საათს ოთხად ოთხი ჩქარი შემორბენა რჩება და მეოთხე მსაჯსაც ჯერ არ აუწევია წამატებული დროის მანიშნებელი პატარა ტაბლო. და, რომც წაამატოს, რამდენს გაჩუქებს? აი, ხომ ხედავთ, „იუვენტუსს“ ხუთი ზედმეტი წუთი მისცა, ეს კი ამ შემთხვევაში ძალიან ბევრია, თუმცა ზოგადად, ფეხბურთისთვის გვარიანად ცოტა გახლავთ. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ ის ვინც ძლიერია და ჩემპიონობისთვის იბრძვის, არ ნებდება და კარგი იქნება, თუ ფეხბურთელობაზე მეოცნებე ქართველი ბიჭები თანამედროვე მსოფლიოს დიდ ვარსკვლავებს ამაში მიბაძავენ.

ასე და ამგვარად, ბოლონიაში თამაშის დამთავრებამდე 4 წუთი რჩებოდა და მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ, როდესაც ჯანლუკა ძამბროტას დარტყმული ბურთი რიკოშეტით კარში შევარდა, შემდეგ კი, როგორც მოგახსენეთ, იტალიური წარმოშობის არგენტინელმა ფეხბურთელმა კამორანეზიმ, რომელმაც, მოგეხსენებათ, ისტორიული სამშობლოს ნაკრებში ისურვა თამაში და „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში ერთი შეხვედრა უკვე ჩაატარა კიდეც, ანგარიში გაქვითა.

ანგარიში ზემოხსენებულმა ხულიო კრუზმა მე-15 წუთზევე გახსნა, რის შემდეგაც „იუვენტუსი“ ლიდერს ალესანდრო დელ პიეროს ორჯერ ჰქონდა გათანაბრების შანსი. პირველად, ზედ შესვენების წინ მისი დარტყმული მცველმა, პაოლო ვანოლიმ კარის ხაზიდან გამოიტანა, მეორედ, 57-ზე კი ძელს მოხვდა.

64-ე წუთზე, „ბებერი ქალბატონის“ მეკარეს, ჯანლუიჯი ბუფონს მოუხდა ბრწყინვალე რეაქციის გამოვლენა — ცნობილი ვეტერანის, ჯუზეპე სინიორის დარტყმულ ჯარიმას არ მისცა გოლად ქცევის საშუალება.

შემდეგ, სინიორი თომას ლოკატელიმ შეცვალა და... ანგარიში 2:0 გახდა.

„ასეთი მატჩის ახსნა ძალიან ძნელია — განაცხადა პრესკონფერენციაზე „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ — ასე, ჩვენ მდგომარეობა უკვე მეოთხე თუ მეხუთე თამაშში გამოვასწორეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე ვიბრძვით და თავდადება არ გვაკლია, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში იღბალმაც გაგვიღიმა“.

ჯანლუკა ძამბროტა: „ექვსი ქულით კი ვლიდერობთ, მაგრამ ექვსი ტურიც დარჩა და ჯერ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მეორე მხრივ, ეს ქულა ძალიან მნიშვნელოვანი იყო“.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო მილანური დერბის შედეგიც: „მილანმა“ „ინტერს“ 1:0 მოუგო. გოლი 63-ე წუთზე ფილიპო ინძაგიმ გაიტანა. ასე და ამგვარად გამოვიდა, რომ მილანის გუნდებს 28 ტურის შემდეგ ქულათა ტოლი რაოდენობა აქვთ, მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ, მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ექვსი ქულით ჩამორჩებიან „იუვენტუსს“.

„მეორე ადგილიც კარგი მიზანია, თუმცა „იუვენტუსის“ დაწევის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არის — განაცხადა მატჩის შემდეგ „მილანის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ — ჩვენ კი შევეცდებით, ასეთივე სტილით განვაგრძოთ, მაგრამ ბევრი რამ „იუვეზეა“ დამოკიდებული... თუმცა ფეხბურთში ხომ ყველაფერი ხდება. ბოლო წლებია, გუნდებს ჩემპიონის ტიტული სწორედ მაშინ უსხლტებათ ხელიდან, როდესაც ფიქრობენ, რომ საქმე მოთავებულია. ერთი სიტყვით, ყველა ღონეს ვიხმართ, რათა შეძლებისდაგვარად მეტი ქულა მოვიპოვოთ და თან ვიმედოვნებთ, რომ „იუვეს“ სადმე ფეხი დაუცდება“.

„ინტერის“ თავკაცი ექტორ რაულ კუპერი: „ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი ყოველთვის შემდეგია. ჩვენ ვიცით, რაც უნდა გავაკეთოთ ჩემპიონთა ლიგაში („ინტერმა“ პირველ შეხვედრაში „ვალენსიას“ 1:0 მოუგო), აქ კი ყველაფერი „იუვეზეა“ დამოკიდებული“.

დერბი „მილანმა“ უკეთ ჩაატარა, მაგრამ გოლი მხოლოდ ერთხელ გაიტანა, როდესაც რუი კოშტამ ინძაგის პასი გაუჭრა. გოლიდან ოთხი წუთის შემდეგ მსაჯმა „ინტერი“ ათ კაცამდე შეამცირა — კოლუმბიელ მცველს, ივან კორდობას „მილანის“ ბრაზილიელ სერჟინიოსთან უხეშობის გამო მოედნის დატოვება მოუხდა.

მეოთხე ადგილისთვის კი ბრძოლა მწვავდება: „ლაციომ“ მოდენაში 0:0 ითამაშა, ხოლო „კიევომ“ და „პარმამ“ წააგეს. შედეგად, დღეს კონკურენტთა შორის უკეთეს დღეში რომაული კლუბია.

**ბაჩუნა ძედია**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 28 | 18 | 7 | 3 | 53:20 | 33 | 61 | 13 | 9 | 3 | 1 | 27:7 | 20 | 30 | 15 | 9 | 4 | 2 | 26:13 | 13 | 31 |
| 2 მილანი | 28 | 16 | 7 | 5 | 47:21 | 26 | 55 | 14 | 10 | 4 | 0 | 27:9 | 18 | 34 | 14 | 6 | 3 | 5 | 20:12 | 8 | 21 |
| 3 ინტერი | 28 | 17 | 4 | 7 | 55:33 | 22 | 55 | 14 | 10 | 2 | 2 | 30:9 | 21 | 32 | 14 | 7 | 2 | 5 | 25:24 | 1 | 23 |
| 4 ლაციო | 28 | 12 | 13 | 3 | 48:27 | 21 | 49 | 14 | 5 | 7 | 2 | 26:14 | 12 | 22 | 14 | 7 | 6 | 1 | 22:13 | 9 | 27 |
| 5 პარმა | 28 | 12 | 9 | 7 | 47:31 | 16 | 45 | 14 | 9 | 2 | 3 | 26:15 | 11 | 29 | 14 | 3 | 7 | 4 | 21:16 | 5 | 16 |
| 6 კიევო | 28 | 13 | 5 | 10 | 38:30 | 8 | 44 | 14 | 9 | 2 | 3 | 26:17 | 9 | 29 | 14 | 4 | 3 | 7 | 12:13 | -1 | 15 |
| 7 უდინეზე | 28 | 11 | 7 | 10 | 27:30 | -3 | 40 | 14 | 8 | 5 | 1 | 15:8 | 7 | 29 | 14 | 3 | 2 | 9 | 12:22 | -10 | 11 |
| 8 რომა | 28 | 10 | 9 | 9 | 45:38 | 7 | 39 | 14 | 7 | 5 | 2 | 28:15 | 13 | 26 | 14 | 3 | 4 | 7 | 17:23 | -6 | 13 |
| 9 ბრეშა | 28 | 8 | 13 | 7 | 31:30 | 1 | 37 | 14 | 5 | 6 | 3 | 17:12 | 5 | 21 | 14 | 3 | 7 | 4 | 14:18 | -4 | 16 |
| 10 ბოლონია | 28 | 9 | 10 | 9 | 33:35 | -2 | 37 | 14 | 9 | 2 | 3 | 24:14 | 10 | 29 | 14 | 0 | 8 | 6 | 9:21 | -12 | 8 |
| 11 პერუჯა | 28 | 9 | 9 | 10 | 34:36 | -2 | 36 | 14 | 8 | 3 | 3 | 21:10 | 11 | 27 | 14 | 1 | 6 | 7 | 13:26 | -13 | 9 |
| 12 მოდენა | 28 | 8 | 8 | 12 | 23:39 | -16 | 32 | 14 | 5 | 5 | 4 | 11:13 | -2 | 20 | 14 | 3 | 3 | 8 | 12:26 | -14 | 12 |
| 13 ემპოლი | 28 | 8 | 7 | 13 | 32:41 | -9 | 31 | 14 | 4 | 6 | 4 | 18:18 | 0 | 18 | 14 | 4 | 1 | 9 | 14:23 | -9 | 13 |
| 14 რეჯინა | 28 | 8 | 6 | 14 | 29:45 | -16 | 30 | 14 | 7 | 4 | 3 | 22:16 | 6 | 25 | 14 | 1 | 2 | 11 | 7:29 | -22 | 5 |
| 15 ატალანტა | 28 | 6 | 11 | 11 | 28:41 | -13 | 29 | 14 | 4 | 6 | 4 | 15:17 | -2 | 18 | 14 | 2 | 5 | 7 | 13:24 | -11 | 11 |
| 16 პიაჩენცა | 28 | 6 | 5 | 17 | 29:49 | -20 | 23 | 14 | 4 | 3 | 7 | 18:24 | -6 | 15 | 14 | 2 | 2 | 10 | 11:25 | -14 | 8 |
| 17 კომო | 28 | 3 | 11 | 14 | 23:46 | -23 | 20 | 14 | 2 | 6 | 6 | 17:22 | -5 | 12 | 14 | 1 | 5 | 8 | 6:24 | -18 | 8 |
| 18 ტორინო | 28 | 4 | 7 | 17 | 19:49 | -30 | 19 | 15 | 4 | 3 | 8 | 9:24 | -15 | 15 | 13 | 0 | 4 | 9 | 10:25 | -15 | 4 |

### XXIX ტური

13 აპრილი

პერუჯა - ატალანტა
მოდენა - ბოლონია
უდინეზე - კომო
მილანი - ემპოლი
ბრეშა - ინტერი
ლაციო - პიაჩენცა
კიევო - რეჯინა
იუვენტუსი - რომა
პარმა - ტორინო

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 24 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 15 |
| ტოტი (რომა) | 14 |
| ადრიანო (პარმა) | 14 |
| მუტუ (პარმა) | 13 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 13 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 12 |

### სერია B

#### XXX ტური

**ანკონა 3:0 ტრიესტინა**
1:0 სენარდი (28), 2:0 გრაფიედი (453), 3:0 ანტონინი (79)

**ბარი 1:1 ვიჩენცა**
1:0 კორდოვა (13), 1:1 შვოკი (473)

**კალიარი 3:0 კოზენცა**
1:0 სუაზო (33), 2:0 ესპოზიტო (70), 3:0 ლორია (78)

**კატანია 1:1 სიენა**
0:1 ტირიბოკი (18), 1:1 გრიეკო (34)

**ლივორნო 4:1 მესინა**
1:0 ნეგრი (40), 2:0, 3:0 პროტი (45, 56), 3:1 ძამპანა (63), 4:1 პროტი (89)

**ნაპოლი 2:2 ჯენოა**
0:1 მალაგო (13), 1:1 ვიდიგალი (17), 1:2 მიპალჩია (59), 2:2 ბონომი (85)

**სამპდორია 1:0 სალერნიტანა**
1:0 ვოლპი (8)

**ვენეცია 0:2 პალერმო**
0:1 კოდრია (43), 0:2 ლა გროტერია (75)

**ვერონა 1:0 ასკოლი**
1:0 კაზეტი (24)

**ტერნანა — ლეჩე**
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 30 | 14 | 12 | 4 | 43:24 | 54 |
| სიენა | 30 | 13 | 14 | 3 | 34:21 | 53 |
| ანკონა | 30 | 14 | 10 | 6 | 45:31 | 52 |
| ვიჩენცა | 30 | 12 | 11 | 7 | 45:36 | 47 |
| ლეჩე | 29 | 11 | 14 | 4 | 34:26 | 47 |
| ტერნანა | 29 | 12 | 9 | 8 | 35:27 | 45 |
| ტრიესტინა | 30 | 12 | 8 | 10 | 39:34 | 44 |
| ლივორნო | 30 | 11 | 10 | 9 | 37:28 | 43 |
| პალერმო | 30 | 11 | 10 | 9 | 33:32 | 43 |
| კალიარი | 30 | 10 | 10 | 10 | 34:37 | 40 |
| ვერონა | 30 | 9 | 11 | 10 | 35:33 | 38 |
| მესინა | 30 | 9 | 11 | 10 | 42:44 | 38 |
| ვენეცია | 30 | 9 | 11 | 10 | 29:35 | 38 |
| ასკოლი | 30 | 10 | 7 | 13 | 37:39 | 37 |
| ჯენოა | 30 | 8 | 10 | 12 | 39:39 | 34 |
| ბარი | 30 | 5 | 16 | 9 | 26:30 | 31 |
| ნაპოლი | 30 | 6 | 13 | 11 | 31:41 | 31 |
| კატანია | 30 | 8 | 7 | 15 | 31:44 | 31 |
| კოზენცა | 30 | 7 | 5 | 18 | 21:42 | 26 |
| სალერნიტანა | 30 | 4 | 9 | 17 | 21:48 | 21 |

### სერია C1/A

30-ე ტური: ალბინოლეფე — კარარეზე 2:1; ალძანო — ვარეზე 2:4; არეცო — სპალ 2:2; ჩეზენა — პისტოიეზე 2:0; ჩიტადელა — ტრევიზო 1:1; ლუკეზე — პრატო 1:0; პრო პატრია — ლუმეცანე 2:0; რეჯანა — პადოვა 0:0; სპეცია — პიზა 0:0

### სერია C1/B

30-ე ტური: ბენევენტო — ვიტერბეზე 2:0; კროტონე — ჯულიანოვა 1:1; ფერმანა — სამბენედეტეზე 1:2; აკილა — კიეტი 1:0; ლანჩანო — პეზარო 1:1; პატერნო — მარტინა 1:2; სორა — ტორესი 1:2; ტარანტო — პესკარა 0:4; ტერამო — აველინო 3:1




რონალდ დე ბურმა „დანდი იუნაიტედთან“ შოთა არველაძის მსგავსად დუბლი მიითვალა

# ჯადოქრობა ჰოლანდიურად
## შოთას თავი და ცხრიანი ძმაკაცმა დაუჩრდილა

### შოტლანდია
**პრემიერლიგა XXXIII ტური**

**დანდი იუნ. 1:4 რეინჯერსი**
0:1 დე ბური (11), 0:2 არველაძე (18), 0:3 დე ბური (45), 0:4 არველაძე (69), 1:4 ბ. დოდსი (71)
რეინჯერსი: შ. კლოსი, მუსკატი, კ. მური, მალკოლმი, ნუმანი, რიკსენი, არტეტა (კანიჯა 65), კონტერმანი, რ. დე ბური (ს. ტომპსონი 74), შ. არველაძე, ლოვენკრანდსი (ნ. მაკკანი 79)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში

**მოზერუელი 1:2 დანდი**
0:1 ბერჩილი (2), 0:2 მილნი (24), 1:2 მაკფადენი (77)
დანდი: სპერონი, მილნი, უილკი, მაირი, ერნანდესი, სმიტი, რაე, ნემსაძე, ბრედი (რობი 76), ბერჩილი (ნოვო 52; ხიზანიშვილი 79), კაბალიერო
მწვრთნელი: ჯიმ დაფი

**სელტიკი 2:0 კილმარნოკი**
1:0 ლარსონი (20), 2:0 ს. პეტროვი (73)

**აბერდინი 1:0 დანფერმლაინი**
1:0 შეერინი (10)

**ჰიბერნიანი 2:2 ლივინგსტონი**
1:0 ორმანი (44), 2:0 რიორდანი (53), 2:1 ბ. უილსონი (87), 2:2 ბ. ობრაიენი (89)

**პარტიკი 1:1 ჰართსი**
1:0 მიტჩელი (73), 1:1 პრესლი (79)

**ტურის** მთავარი კაცი რონალდ დე ბური შეიქნა — მან ფანტასტიკურად ითამაშა და ნამტჩევს ალექს მაკლიშიც გაოგნებული იყო — „რეინჯერსის“ დამრიგებელი ქედს იხრიდა ჰოლანდიელის ბრწყინვალე წარმოდგენის წინაშე.

სათქმელია ისიც, რომ ჰოლანდიელის ქართველი ძმაკაცი ოთხი თამაშის შემდეგ სასტარტოში დუბლით დაბრუნდა — შოთა არველაძემ ორივე გოლი დე ბურის პასებით გაიტანა.

პირველი გოლი დე ბურმა პიტერ ლოვენკრანდსის გადაცემას მიაყოლა — ჩაწოდებული ბურთი ოსტატურად დაიმორჩილა და შოტლანდიის ეროვნული ნაკრების გოლკიპერ პოლ გალაჰერს აულებელი დაურტყა.

შემდეგ თვით რონალდი გაიჭრა მარცხენა ფლანგზე და „დანდი იუნაიტედის“ კარის გასწვრივ ისე ჩააბზრიალა ბურთი, რომ არველაძემ ახლო მანძილიდან თავურით შეაგდო.

ტაიმის მიწურულს „რეინჯერსმა“ მესამედაც გაიხარა — მიკელ არტეტას პასითა და გალაჰერის შეცდომით დე ბურმა კარგად ისარგებლა.

ჰოლანდიელმა თავისი ჯადოქრული საქმე ერთხელაც შეასრულა, როცა არველაძისთვის მეორე საგოლე გადაცემა ჰქმნა — იუწყება BBC — ჰოლანდიელმა სამი მეტოქე გააბითურა და ისე უპასა ქართველს — შოთამ 16 იარდიდან ცხრიანს შეაწყვიტა ბურთი.

ქება არ უნდა დავამადლოთ „დანდისაც“ — ჯიმ დაფის გუნდმა ძალიან მძიმე ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება, რითაც ზეექვსეულში ყოფნას ინარჩუნებს. დანდელთაგან ჯულიან სპერონის უთამაშია გამორჩეულად — მეორე ტაიმში მან ორი ურთულესი ბურთი მოიგერია.

დაფმა, როცა ანგარიში 1:2 გახდა, ფორვარდი ნაჩო ნოვო ტრავმამოშუშებული ზურაბ ხიზანიშვილით შეცვალა, რომელსაც შოტლანდიაში არცთუ მოკრძალებული აღიარება ხვდა წილად — მარტის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი პრემიერლიგაში.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 33 | 28 | 3 | 2 | 86:23 | 87 |
| სელტიკი | 31 | 25 | 4 | 2 | 76:20 | 79 |
| ჰართსი | 32 | 15 | 9 | 8 | 53:46 | 54 |
| კილმარნოკი | 33 | 14 | 8 | 11 | 43:46 | 50 |
| დანფერმლაინი | 33 | 13 | 5 | 15 | 48:56 | 44 |
| დანდი | 33 | 10 | 12 | 11 | 44:48 | 42 |
| ჰიბერნიანი | 33 | 11 | 6 | 16 | 46:58 | 39 |
| აბერდინი | 33 | 9 | 10 | 14 | 32:48 | 37 |
| ლივინგსტონი | 33 | 8 | 8 | 17 | 41:50 | 32 |
| პარტიკ თისლი | 33 | 6 | 11 | 16 | 29:50 | 29 |
| დანდი იუნ. | 33 | 5 | 10 | 18 | 29:61 | 25 |
| მოზერუელი | 32 | 6 | 6 | 20 | 35:56 | 24 |

**I დივიზიონი**
32-ე ტური: ალოა — როსი 2:1; არბროთი — ქუინი 0:0; ინვერნესი — კლაიდი 1:2; სენტ ჯონსტონი — ფოლკირკი 0:1; სენტ მირენი — ეარი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფოლკირკი | 32 | 22 | 6 | 4 | 69:27 | 72 |
| სტ. ჯონსტონი | 32 | 19 | 6 | 7 | 45:24 | 63 |
| კლაიდი | 32 | 18 | 8 | 6 | 55:32 | 62 |
| ინვერნესი | 32 | 18 | 5 | 9 | 65:39 | 59 |
| ეარი | 32 | 11 | 9 | 12 | 32:34 | 42 |
| ქუინ ოფ საუთ | 32 | 10 | 11 | 11 | 41:45 | 41 |
| სტ. მირენი | 32 | 9 | 9 | 14 | 40:62 | 36 |
| როს ქაუნთი | 32 | 6 | 8 | 18 | 33:43 | 26 |
| ალოა | 32 | 6 | 8 | 18 | 32:67 | 26 |
| არბროთი | 32 | 3 | 6 | 23 | 26:65 | 15 |

**II დივიზიონი**
32-ე ტური: ბერვიკი — ერდრი 0:3; დამბარტონი — კოუდენბითი 3:1; რეითი — ფორფარი 0:1; სტენჰაუზმური — ბრეჩინი 2:2; სტრანრარი — ჰამილტონი 0:0

**III დივიზიონი**
32-ე ტური: ისტ სტირლინგი — პიტერჰედი 1:1; მონტროუზი — ალბიონი 1:1; მორტონი — ელგინი 2:0; გრეტნა — ისტ ფაიფი 3:3; ქუინზ პარკი — სტირლინგი

### ინგლისი
**ასოციაციის თასი. 1/2 ფინალი**

**არსენალი 1:0 შეფილდ იუნ.**
1:0 ლიუნგბერგი (34)
არსენალი: სიმენი, ლორენი, კიოუნი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ედუ, ვიეირა (ჟილბერტო სილვა 56), პარლოუ, ჯეფერსი (ანრი 66), ვილტორდი (ბერხკამპი 81)
შეფილდ იუნ: კენი, ჯაგიელკა, პეიჯი, კურტისი, კოზლუკი, ნდლოვუ, ბრაუნი, მაკკოლი (ასაბა 60), ტონგე, ელისონი (მონტგომერი 60), კაბა (პეშისოლიდო 79)
გაფრთხილება: კოული, მაკკოლი, ბრაუნი, ასაბა
მსაჯი: პოლი
59 170 მაყურებელი

**უოტფორდი 1:2 საუთჰემპტონი**
0:1 ორმეროდი (43), 0:2 რობინსონი (80ს.კ.), 1:2 გეილი (88)
უოტფორდი: ჩემბერლენი, მაჰოუნი, კოქსი, გეილი, რობინსონი, ერდლი, ჰიდი, ვერნაცა (ნილსენი 56), გლასი (კუკი 77), ჰელგუსონი, ჩოპრა (ტ. სმიტი 70)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ტელფერი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ბრიჯი, ფ. ფერნანდესი, ა. სვენსონი (დელაპი 78), ოკლი, მარსდენი, ორმეროდი (ტესემი 90), ბიტი
გაფრთხილება: კოქსი, რობინსონი, ჰელგუსონი, ფერნანდესი
მსაჯი: რაილი
42 602 მაყურებელი

*ფინალი გაიმართება 17 მაისს, კარდიფის „მილენიუმზე“*

**ინგლისის** ასოციაციის თასის ფინალში მაინც პრემიერლიგის გუნდები გავიდნენ:

| 22.30 | 385 | ოლბორგი-ორჰუსი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 386 | ბრიონდბიუ-კოგე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 387 | ბრიონდბიუ-კოგე 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 388 | ოდენსე-ფარუმი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 389 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 18.00 | 390 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 20.35 | 391 | აკადემისკი-ესბიერგი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **ავსტრია. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 400 | ზალცბურგი-ბრეგენცი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 22.30 | 401 | ავსტრია-რიდი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 402 | ავსტრია-რიდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.30 | 403 | კერნტენი-შტურმი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 22.30 | 404 | გრაცერი-ადმირა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 405 | გრაცერი-ადმირა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.30 | 406 | პაშინგი-რაპიდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. VII ტური** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 407 | ციურიხი-ვილი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 21.30 | 408 | სერვეტი-თუნი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 18.45 | 409 | ბაზელი-იანგ ბოისი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 410 | ბაზელი-იანგ ბოისი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 19.15 | 411 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი. VII ტური** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 412 | სიონი-ლუცერნი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 19.15 | 413 | კრინსი-დელემონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.15 | 414 | სტ.გალენი-აარაუ | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. VII ტური** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 415 | ვინტერთური-ბელინცონა | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 23.00 | 416 | ივერდონი-კონკორდია | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 417 | ბადენი-შაფჰაუზენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.30 | 418 | ვოლენი-ლოზანა | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| | | **შვედეთი. II ტური** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 430 | ენკოპინგი-ლანდსკრონა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **½ ფინალი. II ეტაპი.** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 450 | მილანი-პერუჯა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 451 | რომა-ლაციო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **თასი. ½ ფინალი.** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 452 | სოშო-მეცი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 453 | მარსელი-მონაკო | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **ჰოლანდია. თასი. ½ ფინალი.** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 454 | უტრეხტი-აზკ | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 455 | ფეიენოორდი-აიაქსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **ბელგია. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი.** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 456 | ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| | | **ჩეხეთი. თასი. 1/4 ფინალი.** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 457 | ბანიკი-ზლინი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.30 | 458 | ტეპლიცე-სლავია | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 19.30 | 459 | ჟიჟკოვი-იაბლონეცი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | **½ ფინალი. I ეტაპი.** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 460 | ვიძევი-ვისლა | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 20.00 | 461 | რადომსკო-პლოცკი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **½ ფინალი. (ნეიტრალურზე)** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 462 | რეინჯერსი-მაზერველი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 463 | ინვერნესი-დანდი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| | | **შვეიცარია. თასი. 1/2 ფინალი.** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 23.15 | 464 | ბაზელი-შაფჰაუზენი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 23.15 | 465 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| | | **ამხანაგური მატჩი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 15.00 | 466 | კორეა-იაპონია | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 04.10 | 467 | უნივერსიდად კატოლიკა-პაისანდუ | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 04.10 | 468 | სერო პორტენიო-სპორტინგ კრისტალი | 1,6 | 3,3 | 4,4 | 1,07 | 1,17 | 1,88 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 02.10 | 469 | ორიენტე-რასინგი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 02.10 | 470 | უნივერსიტარიო-ნასიონალი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 04.40 | 471 | სანტოსი-ელ ნასიონალი | 1,45 | 3,6 | 4,0 | 1,03 | 1,06 | 1,89 |
| 04.40 | 472 | 12 დე ოქტუბრე-ამერიკა | 3,6 | 3,4 | 1,6 | 1,74 | 1,1 | 1,08 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 04.10 | 473 | რივერ პლეიტი-ემელეკი | 1,3 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,66 |
| 04.10 | 474 | ლიბერტადი-დეპორტივო კალი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 601 | სლავია-პარდუბიცე | 2,0 | 4,0 | 2,6 | 1,33 | 1,13 | 1,57 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 603 | კიოლნი-კრეფელდი | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,64 |
| | | **ჰოკეი. მჩ** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი. (უნგრეთში)** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 618 | ლიტვა-ჰოლანდია | 9,0 | 9,0 | 1,08 | 4,5 | 1 | 1 |
| 19.30 | 619 | რუმინეთი-ყაზახეთი | 12,5 | 10,0 | 1,03 | 5,55 | 1 | 1 |
| 23.00 | 620 | პოლონეთი-უნგრეთი | 6,0 | 5,0 | 1,3 | 2,72 | 1,06 | 1,03 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **NHL.** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 654 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 2,5 | 3,3 | 2,3 | 1,42 | 1,19 | 1,35 |
| 04.00 | 655 | ვაშინგტონი-ტამპა ბეი | 1,75 | 3,5 | 3,5 | 1,16 | 1,16 | 1,75 |
| 24.00 | 656 | ედმონტონი-დალასი | 2,5 | 3,3 | 2,3 | 1,42 | 1,19 | 1,35 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **ულების თასი.** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 23.15 | 714 | კრკა-ვალენსია | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **NBA.** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 715 | ტორონტო-მაიამი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 04.30 | 716 | ნიუ იორკი-ინდიანა | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 05.30 | 717 | ჩიკაგო-ფილადელფია | 2,0 | 12,0 | 1,6 | 1,71 | 1 | 1,41 |
| 05.30 | 718 | ჰიუსტონი-მემფისი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| | 719 | ჰიუსტონი-მემფისი 0:7 | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 07.00 | 720 | პორტლენდი-ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |
| | 721 | პორტლენდი-ფინიქსი 0:5 | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 07.30 | 722 | ლეიკერსი-დენვერი | 1,05 | 12,0 | 6,0 | 1 | 1 | 4 |
| | 723 | ლეიკერსი-დენვერი 0:13 | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**16 აპრილი**

24.00 2401 არსენალი-მანჩესტერი ------------- 1,8 ----------------------------- 2,0

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

**16 აპრილი**

24.00 2201 არსენალი-მანჩესტერი ------------ 1,95 ----------------------------- 1,65

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

**16 აპრილი**

24.00 2501 არსენალი-მანჩესტერი 3,0 2,8 2,0

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

------------------------------------------- კი ----------------------------- არა

**16 აპრილი**

24.00 2301 არსენალი-მანჩესტერი ------------ 1,55 ----------------------------- 2,1

## I ტაიმის შედეგი

**16 აპრილი**

24.00 2001 არსენალი-მანჩესტერი 2,9 2,05 3,4 1,2 1,56 1,27

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | | | |
| 24.00 | 2101 არსენალი-მანჩესტერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

## ფორმულა 1. სან მარინო. 19 აპრილი (23.45)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწ. წრე | 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი --------- 2,0 | 4101 -------- 1,2 | 4201 --- 1,07 | 2,0 | | |
| ბარიკელო ---------- 4,4 | 4102 -------- 1,5 | 4202 ----- 1,2 | 4,0 | | |
| რაიკონენი ---------- 5,5 | 4103 -------- 1,6 | 4203 --- 1,25 | 5,0 | ფერარი | 1,4 |
| კულტჰარდი ------- 5,5 | 4104 -------- 1,6 | 4204 --- 1,25 | 7,0 | მაკლარენი | 3,0 |
| მონტოია ----------- 8,0 | 4105 -------- 2,5 | 4205 --- 1,25 | 3,2 | უილიამსი | 6,0 |
| რ.შუმახერი ------- 12,0 | 4106 -------- 3,0 | 4206 --- 1,25 | 10,0 | რენო | 15,0 |
| ალონსო ----------- 30,0 | 4107 -------- 5,0 | 4207 ----- 1,7 | 30,0 | ზაუბერი | 30,0 |
| ტრული ------------ 30,0 | 4108 -------- 5,0 | 4208 ----- 1,7 | 30,0 | ბარ | 30,0 |
| ბატონი ------------ 75,0 | 4109 ------- 15,0 | 4209 ----- 3,0 | 100,0 | ტოიოტა | 50,0 |
| ფრენცენი --------- 75,0 | 4110 ------- 15,0 | 4210 ----- 3,0 | 100,0 | ჯორდანი | 50,0 |
| ჰაიდფელდი ------- 75,0 | 4111 ------- 15,0 | 4211 ----- 3,0 | 100,0 | იაგუარი | 75,0 |
| ვილნევი ----------- 75,0 | 4112 ------- 15,0 | 4212 ----- 3,0 | 100,0 | მინარდი | 100,0 |
| ფიზიკელა --------- 75,0 | 4113 ------- 15,0 | 4213 ----- 3,0 | 100,0 | | |
| პანისი ------------ 75,0 | 4114 ------- 15,0 | 4214 ----- 3,0 | 100,0 | | |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიდომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

გრაფიკი უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ჭაბუკთა მსოფლიოს თასი. პარიზი 10-19 აპრილი



ახალმა ზელანდიამ ირლანდიას მოუგო

# ქართველები კარგ ბიჭებად დარჩნენ

## რუსებს მესამედაც უნდა მოვუგოთ

13 აპრილი

**მეოთხედფინალი**

**ახალი ზელანდია 48:8 ირლანდია**
**არგენტინა 22:17 შოტლანდია**
**საფრანგეთი 43:26 უელსი**
**სამხრეთ აფრიკა 19:3 ინგლისი**

**9-16 ადგილებისთვის**

**საქართველო 31:7 კანადა**
**იტალია 23:18 ნამიბია**
**იაპონია 38:22 რუმინეთი**
**რუსეთი 26:25 სამხრეთ კორეა**

პარიზსა და მის შემოგარენში მიმდინარე ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა მეორე მატჩი ითამაშა და პირველად გაიმარჯვა. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა მე-9-მე-16 ადგილებისთვის ბრძოლაში დიდი სხვაობით, 31:7 მოუგეს კანადას და საუკეთესო 16 გუნდში დარჩნენ. ამგვარად, ისინი გაისადაც ელიტაში ითამაშებენ. წელს კი პაატა ნარიმანაშვილის გუნდი 9-12 ადგილებისთვის გააგრძელებს ბრძოლას.

კანადასთან მატჩი ქართველებმა, ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში მოიგეს, პირველ ორმოცწუთეულში მეტოქე 18:0 გააბითურეს, მეორეში კი მეტოქეს ოდენ ერთი ლელოს გატანის საშუალება მისცეს.

— ბიჭებით კმაყოფილი ვარ. შერკინებამაც და უკანა ხაზმაც კარგად ითამაშეს. განსაკუთრებით გამოირჩა კაპიტანი მამუკა გორგოძე, რომელმაც ორი ლელო გაუტანა კანადელებს. მოგებას კი ვგეგმავდით, მაგრამ ამხელა სხვაობით თუ გავიმარჯვებდით, ნაღდად არ მეგონა. პროგრამა-მინიმუმი შევასრულეთ, „ა" ჯგუფში დავრჩით. ახლა მთავარია, შარშანდელი შედეგი გავაუმჯობესოთ და მეცხრე ადგილი დავიკავოთ — გვითხრა გუშინ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმა, როცა საფრანგეთში დავუკავშირდით.

ქართველთა მომდევნო მეტოქე რუსეთი იქნება, რომელმაც სამხრეთ კორეას რის ვაი-ვაგლახით, 26:25 მოუგო.

შეგახსენებთ, რომ შარშანწინ ჩვენმა ჭაბუკებმა რუს თანატოლებს ჩილეში გამართული მსოფლიოს თასის „ბ" ჯგუფის ფინალში სძლიეს, შარშან კი იტალიაშიც 9-12 ადგილებისთვის ბრძოლაში დაამარცხეს.

საქართველო — რუსეთი 16 აპრილს გაიმართება. მათ შორის უკეთესის მეტოქე იაპონია — იტალიას შორის გამარჯვებული იქნება.

**ბაჩო სვანიძე**

16 აპრილი

**ნახევარფინალი**

**ახალი ზელანდია — არგენტინა**
**საფრანგეთი — ს. აფრიკა**

**5-8 ადგილებისთვის**

**ირლანდია — შოტლანდია**
**უელსი — ინგლისი**

**9-12 ადგილებისთვის**

**საქართველო — რუსეთი**
**იტალია — იაპონია**

**13-16 ადგილებისთვის**

**ნამიბია — რუმინეთი**
**კანადა — სამხრეთ კორეა**

## 2003 წლის მსოფლიოს თასი. რეპეშაჟი

# ამერიკამ ესპანეთს შტატები შეშეცირა

## ავსტრალიაში არწივები გაფრინდებიან

**ესპანეთი 13:62 აშშ**

12 აპრილი. მადრიდი

წლევანდელი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის საბოლოო რაუნდში, რომელსაც სარაგბო ენაზე „რეპეშაჟი" ეწოდება, ესპანეთმა შინ კაიძალი სხვაობით, 13:62 წააგო აშშ-სთან და მსოფლიოს თასზე თამაშის ოცნება გაუხუნდა.

მართალია, წინ კიდევ საპასუხო მატჩია, რომელიც 27 აპრილს ფლორიდაში გაიმართება, მაგრამ სასწაული იქნება, თუ ამერიკელ „არწივებს" ნასტუმრები ესპანელი „ლომები" 49-ქულიან სხვაობას გააბათილებენ. რაგბი კი ლოგიკური სპორტია და სასწაულები აქ უიშვიათესად ან საერთოდ არ ხდება.

ერთი სიტყვით, აშშ შეიძლება მსოფლიოს თასის ბოლო, მე-20 მონაწილედ მოვიხსენიოთ. აქედანვე ცნობილია ჯგუფი, რომელშიც ამერიკელები ითამაშებენ. ისინი B ჯგუფში საფრანგეთს, შოტლანდიას, ფიჯისა და იაპონიას შეუმხანაგდებიან.



## საქართველოს ჩემპიონატი

# ბრაიკოვიჩი საქართველოს გულზე ხელდადებული ეცნობა

**ამ უქმეებზე** ეროვნულმა ჩემპიონატმა მორიგი მატჩები მოილია და პლეი ოფს კიდევ უფრო მიუახლოვდა. მოილიაო, მაგრამ ეს უფრო გადაგორებას ჰგავდა, უინტერესო, ულიმღამო მატჩები ჩვენი ჩემპიონატის უკურნებელ სენად რჩება.

თბილისური თამაშებიდან ყველაზე გამორჩეული „დინამო" — თსუ ჩანდა და დაძაბულობაც სწორედ ამ „ჯახში" ივარაუდებოდა. რა გითხრათ, თუ დაძაბულობად თამაშის მანძილზე ანგარიშში მცირე სხვაობას ჩავთვლით, მაშინ ეს მატჩი ასეთად ვაგლახ, რომ ჩაითვლება, ისე კი, უკლასო ბურთაობა და აურაცხელი შეცდომები კაცს ამ ვაი-დაძაბულობასაც დაავიწყებდა.

დრაჟენ ბრაიკოვიჩის „დინამოს" მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ არაერთხელ გვითქვამს, ვიცე-ჩემპიონთა თამაშში შედარებით დაიხვეწაო. უფრო კი დინამოელთა დაცვის გამოფხიზლება შეიმჩნეოდა და თსუ-ს საამმატჩო მონაგარის შემხედვარემ, ბევრმა შესაძლოა თქვას კიდეც, ბარაქალა ბრაიკოვიჩის ბიჭებს, მეტოქეს მხოლოდ 59 ქულა ჩააგდებინესო. თუმც ამას მხოლოდ მატჩის უნახავი თუ იტყვის, სტუდენტებმა ასე მწირი მონაგარით რომ გაასრულეს მატჩი, მათი უხეირობის ბრალია და ამაში „დინამოს" დაცვას, ალბათ, ყველაზე მოკრძალებული წვლილი მიუძღვის.

მაშ, რა დაემართა ბრაიკოვიჩის გუნდს? გადაჭრით ვერ ვიტყვით, მაგრამ ალბათ უბრაიკოვიჩობამ იმოქმედა. დიახ, თსუ-სთან მატჩი „დინამომ" ხორვატი მწვრთნელის გარეშე ჩაატარა. ბრაიკოვიჩს გულის შეტევის ნიშნები ჰქონია და მისი შეგირდები სტუდენტებს რომ ებურთავებოდნენ, თავად ცნობილი კარდიოლოგის, გულიკო ჩაფიძის კლინიკაში იმყოფებოდა. დინამოელებს ზურაბ ტომარაძე მოძღვრავდა და შეგირდთა უილაჯობის შემხედვარემ მატჩის პირველ ტაიმში გვარიანადაც ინერვიულა.

მეორე წრის წაუგებლად განვლელმა, შემდეგ კი ყველა პრინციპულ მატჩში დამარცხებულმა თსუ-მ თავიდან დიდი წინააღმდეგობა გაუწია „დინამოს". სტუდენტებმა თანაბარი პირველი მეოთხედის ბოლოს მცირე უპირატესობა მოიპოვეს და კარგა ხანსაც შეინარჩუნეს. ტრავმამოშუშებულ სერბ იოვან სიროვინას ფარქვეშ აშკარად სჯობდა თსუ-ელი ვალერი კილაძე, სტუდენტთა ვეტერანი, ამროსი ორმოცაძეც არაფერს თმობდა მეტოქისა თუ საკუთარ ზონაში და ტომარაძესაც ხან რომელი მეფარე გამოჰყავდა მათ შესაჩერებლად, ხან რომელი.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე „დინამო" რევაზ ჩხეიძემ დააწინაურა. ჩხეიძემ დიდი შესვენების შემდეგ კიდევ უფრო მოუმატა თამაშს. იგი არც ფარქვეშა ბრძოლებს უფრთხოდა და შედეგიანი გარღვევებითაც ხელი შეუწყო დინამოელთა გალიდერებას. „ჩხიროს" აქტიურობამ იშტაზე მოიყვანა თანაგუნდელნი, ტომას ვენსკუნასს ფარქვეშ საქმე გაუიოლდა და ბოლო მეოთხედი ახალი დაწყებული იყო, „დინამომ" რომ 10-ქულიანი უპირატესობა დაიბევა.

სტუდენტებმა 3-ქულიანი სროლებით სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ვერც მამუკა ტურაშვილი, ვერც ირაკლი მაისურაძე და ვერც სხვა თსუ-ელი მიზანში ვერ არტყამდა. საერთოდ, ზუსტი შორი სროლებით ვერც ერთი გუნდი ვერ დაიკვეხნიდა. ორივემ ბლომად სამქულიანი ისროლა, თსუ-მ მხოლოდ 3 ჩააგდო, „დინამომ" კი — 4.

ამ თამაშში „დინამოს" უფრო დიდი მოტივაცია ჰქონდა, ვიდრე თსუ-ს. რაც უნდა მოხდეს, სტუდენტები პლეი ოფის პირველ წრეში რუსთავის „აზოტს" ვერ ასცდებიან, დინამოელებს კი რეგულარული ჩემპიონატის მოგება სწადიათ, რადგან გადამწყვეტ მატჩებში მეტოქეებთან, უფრო სწორად ბათუმის „ბასკოსთან" საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბეკონ.

განსხვავებული მიზანი აქვს ახალგაზრდულ „აკადემიას". დებიუტანტებისთვის პლეი ოფში მოხვედრაც წარმატებად ჩაითვლება და ისინიც გამალებით იბრძვიან ამისთვის. ჩემპიონატის დაწყებიდან აკადემიელებმა გუშინწინ პირველად დააღწიეს თავი ცხრილის ბოლო ადგილს. არადა, რეგულარული ჩემპიონატის სწორედ ბოლო ადგილზე გამსრულებელი დარჩება თამაშგარეთ. საუკეთესო რვა გუნდი მეოთხედფინალში დაწყვილდება.

„აკადემიამ" ამ შაბათ-კვირას ორ კონკურენტს, „მაკაბისა" და სსუ-ს მოუგო და პლეი ოფში გასვლის შანსი შეინარჩუნა.

**ირაკლი პერტაია**



თსუ-ელი ვალერი კილაძე დინამოელ იოვან სიროვინას აჯვეტა



„დინამოს" მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი თსუ-სთან მატჩს საავადმყოფოში შეხვდა

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 30 | 23 | 7 | + 466 | 53 |
| დინამო | 28 | 24 | 4 | + 588 | 52 |
| ბასკო | 28 | 22 | 6 | + 664 | 50 |
| თსუ | 30 | 18 | 12 | + 125 | 48 |
| აზოტი | 28 | 18 | 10 | + 79 | 46 |
| მაკაბი | 30 | 7 | 23 | - 541 | 37 |
| სსუ | 30 | 7 | 23 | - 605 | 37 |
| აკადემია | 30 | 6 | 24 | - 405 | 36 |
| ქუთაისი | 28 | 6 | 22 | - 371 | 34 |

**12 აპრილი. ვერის ბაღი**

**მაკაბი 67:88 აკადემია**

10:24, 23:20, 19:22, 15:22

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (14), ანდღულაძე, კონჯარია (4), ფიცხელაური (8), სუხიშვილი (24); ვაშაკიძე (12), აკოლაშვილი (3), ნინოშვილი (2), ქოქოსაძე

**აკადემია:** გამყრელიძე (6), ლეჟავა (17), საყვარელიძე (18), სანიკიძე (23), გვიმრაძე (7); ჩხატარაშვილი (13), ჯანეზაშვილი (2), გურასპაული (2), ბექაური, ათანელაშვილი

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**დინამო 71:59 თსუ**

14:17, 15:10, 18:16, 24:16

**დინამო:** აბრამიძე, ხოშტარია (6), ბეჟანიშვილი (13), მუპე (8), სიროვინა (2); რ. ჩხეიძე (13), ვენსკუნასი (11), მარკოიშვილი (5), მინაშვილი (5), ნინიაშვილი (4), თორთლაძე (4)

**თსუ:** ბ. ბერიშვილი (9), ტურაშვილი (5), ლ. შანიძე (4), ორმოცაძე (9), კილაძე (14); ი. მაისურაძე (11), ზ. სანიკიძე (6), არსიაშვილი (1), ვეფხვაძე, მიქაძე

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**სსუ 64:82 აზოტი**

15:20, 14:21, 17:19, 18:22

**სსუ:** კანკია (5), ურიდია, სორდია (21), ბარბაქაძე (6), აბულაძე (13); ჩიტაშვილი (9), მ. ხოშტარია (6), ქვილითაია (2), პირტახია (2), ონიკაშვილი

**აზოტი:** ფლენტი (11), ჩაჩუა (3), გოგობერიშვილი (11), ბერუაშვილი (19), მაჭარაძე (22); არწივიძე (12), ტყეშელაშვილი (4), გაბისონია, ჯიმშელეიშვილი

**მსაჯები:** დავით ანდრიაძე, ლიკა ქაჯაია

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**13 აპრილი. ვერის ბაღი**

**სსუ 76:89 აკადემია**

15:30, 28:20, 10:17, 23:22

**სსუ:** ურიდია, ჩიტაშვილი (10), სორდია (15), ბარბაქაძე (20), აბულაძე (20), ქვილითაია (9), კანკია (2), ხოშტარია, პირტახია

**აკადემია:** გამყრელიძე (2), ლეჟავა (21), საყვარელიძე (20), სანიკიძე (30), გვიმრაძე (8); ჩხატარაშვილი (6), ბექაური (2)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**მაკაბი 93:106 თსუ**

24:20, 14:31, 20:32, 35:23

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (26), ნინოშვილი (22), კონჯარია (4), ფიცხელაური (5), სუხიშვილი (7); ვაშაკიძე (19), ერგემლიძე (5), ტატუნაშვილი (5), ქოქოსაძე, ანდღულაძე, აკოლაშვილი

**თსუ:** ბ. ბერიშვილი (11), ტურაშვილი (6), შანიძე (21), ორმოცაძე (6), კილაძე (23); ი. მაისურაძე (33), ვეფხვაძე (4), ზ. სანიკიძე (2), მიქაძე

**მსაჯები:** დავით ანდრიაძე, ლიკა ქაჯაია

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**13 აპრილი. ბათუმი**

**ბასკო 66:57 სტუ**

15:18, 21:14, 16:12, 14:13

**ბასკო:** ბაბიაშვილი (10), წოწელია (10), ნიკოლაძე (3), ცინცაძე (7), კეშელავა (1), ქარაბაკი (5), კეიდია (14), როდუნტა (2), შენგელია (14)

**სტუ:** ხეცურიანი (16), მარხვაშვილი (2), ტულუში (2), ოთიურიძე (3), ლობაბერიძე (14), ტუჯანი (6), დავითულიანი (4), მუშკუდიანი (10)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**14 აპრილი. ბათუმი**

**ქუთაისი 66:97 სტუ**

18:20, 13:28, 15:28, 20:21

**ქუთაისი:** ნ. შანიძე (2), ვ. მაისურაძე (1), ცერცვაძე (4), ნინუა (6), დოლიძე (4), კვიმსაძე (21), შავლაყაძე (5), პირტახია (9), იმნაძე (11), ა. ბოლქვაძე (3)

**სტუ:** ნოზაძე (11), ხეცურიანი (17), ლაფანაშვილი (8), გაგნიძე (5), მარხვაშვილი (11), ტულუში (11), ტუჯანი (5), დავითულიანი (13), ახალკაცი (12)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამი სხვის ღმერთზე ლოცულობს

## არა არს ღმერთი ჯორდანის გარდა და პატ რაილი მისი მოციქულია



AP საკრამენტოდან

ნიკა ცქიტიშვილი საკრამენტოელ ვლადე დივაცს უფარებს

— 11-13 აპრილი —

**მაიამი 87:91 ვაშინგტონი**

**მაიამი: კარტერი (8), რ. ბატლერი (10), კ. ბატლერი (19), ალენი (6), გრანტი (3); მაუსი (10), ელისი (8), ჯეიმსი (8), ლემპლი (7), ჯონსონი (6), ბესტი (2), სტეფანია (7 წუთი, 0 ქულა, 1 მოხსნა)**

**ვაშინგტონი: ლუ (12), ჯორდანი (25), საიმონსი (6), ბრაუნი (12), ლეიტნერი (13); ჰიუზი (13), ჰეივუდი (9), რასელი (1), დიქსონი**

**მაიამი 86:94 ბოსტონი**

**მაიამი: კარტერი (2), რ. ბატლერი (10), კ. ბატლერი (20), ალენი (6), გრანტი (7); ელისი (10), მაუსი (9), ჯონსონი (8), ბესტი (7), ლემპლი (7), ჯეიმსი**

**ბოსტონი: დელკი (10), უილიამსი (4), პირსი (32), უოლკერი (24), ბათი (12); ბრემერი (9), მაკკარტი (3), ბლუნტი, ბრაუნი, ლონგი**

**საკრამენტო 105:103 დენვერი**

**საკრამენტო: ბიბი (12), კრისტი (2), სტოიაკოვიჩი (17), ვებერი (29 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), დივაცი (15); ჯ. ჯექსონი (11), თურქოღლუ (9), პოლარდი (6), ბ. ჯექსონი (4)**

**დენვერი: ჰარინგტონი (2), ბრაუნი (8), ვაიტი (15), ჰოვარდი (24), ილარიო (18); უილიამსი (15), კემბი (11 ქულა, 16 მოხსნა), იარბრო (4), ანდერსენი (4), ტრეპაჯნერი (2), ცქიტიშვილი (14 წუთი, 0 ქულა, 1 მოხსნა, 1 დაფარება)**

**დენვერი 79:101 კლიპერსი**

**დენვერი: უილიამსი (12), ბრაუნი (2), ვაიტი (10), ჰოვარდი (12), კემბი (4); ტრეპაჯნერი (15), ცქიტიშვილი (21 წუთი, 9 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ანდერსენი (7), ჰარინგტონი (3), ჰარვი (3), იარბრო (2)**

**კლიპერსი: მილერი (16), მეჯიტი (14), ოდომი (13 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ბრენდი (9), რუქსი (6); იარიჩი (17), ელი (13), დულინგი (16), ვილკოქსი (4), ჟიჟი (3), პიატკოვსკი, ფოულკსი**

პარასკევს მაიამიში „მაიამი ჰითის" დამარცხებიდან ერთ წუთში მაიკლ ჯორდანს გულდასაწყვეტი ამბავი შეატყობინეს — სხვა ქალაქებში აგრეთვე იმარჯვეს კონკურენტებმა — „ორლანდომ" და „მილუოკიმ", რის გამოც საპლეიოფო ხავსს მოჭიდებული ჯორდანის „ვაშინგტონი", შეიძლება ითქვას, რეგულარული ჩემპიონატის უკვე ჩავლილმა დინებამ წაიღო. აღმოსავლეთში მერვე ადგილისთვის მებრძოლ „ვაშინგტონს" პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსიც წაერთვა.

არადა, თვეების განმავლობაში ნაჯახირები მხცოვანი მაიკლისთვის კალათბურთიდან მორიგი წასვლის წინ ერთი-ორი საპლეიოფო თამაში კარგი საჩუქარი იქნებოდა, მაგრამ ვაგლახ, რომ ჯორდანის ორწლიან ვაშინგტონურ კარიერაში დედაქალაქელები ერთხელაც ვერ გასცდნენ რეგულარულ ჩემპიონატს (სხვათა შორის, ეს უიღბლობა 1997 წლიდან გრძელდება). შარშან მაიკლი და „ვაზარდსი" ჯორდანის მუხლმა დაალალატა, ახლა მათ რამდენიმე გამარჯვება აკლდებათ.

ყველაფრის მიუხედავად, „ვაშინგტონის" მეოთხედსაუკუნოვანი ისტორია მაინც მსხვილი შრიფტით შეინახავს ჯორდანის გვარს, რადგან ის ჯორდანია და ამასთან კლუბის ხელმძღვანელია. ოდესმე „ვიზარდსი" მის 23-ნომრიან მაისურსაც გამოკიდებს საკუთარი დარბაზის ჭერზე და ამ ნომრით თამაშს გუნდის ყველა მომავალ მოთამაშეს აუკრძალავს, თუმც ამ საქმეში „ვაშინგტონს" „მაიამიმ" დაასწრო.

ჯორდანს არასდროს უთამაშია „მაიამის" მაისურით, პირიქით, თავის კარიერაში 48-ჯერ დაუწიოკებია ეს გუნდი, მაგრამ პარასკევს „მაიამი ჰითმა" რატომღაც მაინც უბოძა მუდმივი ნომერი მაიკლ ჯორდანს. შესაძლოა იმიტომ, რომ 15-წლიან ისტორიაში „ჰითს" საკუთარი ლეგენდა არ ჰყოლია. თამაშის წინ ჯორდანს საგანგებო ცერემონიალი მიეძღვნა. ხუთი წუთის განმავლობაში აჩვენებდა ვეება ტაბლო-ეკრანი ჯორდანის „ჰაილაით" მომენტებს, მერე კი დიდი ზარ-ზეიმით „მაიამის" 23-ნომრიანი მაისურა, რომელიც ჯორდანს ცხოვრებაში არ სცმია, „ემერიკა ეალაინზ არენას" ჭერზე აწიეს. „მაიამის" მწვრთნელმა პიტ რაილიმ კუთვნილი სიტყვა წარმოთქვა — კარგი იქნება, თუ ნბა-ს სხვა გუნდებიც მოგვბაძავენ და საერთოდ გააუქმებენ 23 ნომერს, რადგან ჯორდანმა არა მარტო თავის გუნდებს, არამედ სრულიად ლიგას მოუტანა დიდებას. „ბოსტონ სელტიქსის" ანაც „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" წარმომადგენელი რომ ყოფილიყო, პატ რაილი არ დაიწყებდა სხვა გუნდის ვარსკვლავის ქება-დიდებას.

თავად ჯორდანიც გრძნობებად დაიღვარა, ეგეთი დიდი პატივი, არასდროს მხვდომიაო, თამაშში კი მარტო პირველ ტაიმში 23 ქულა ჩაუგდო და თითქმის მარტომ მოუგო გუნდს, რომელმაც ამხელა პატივი სცა.

ამ უქმეებზე ნბა-ში გაირკვა ის 8-8 გუნდი, რომლებიც ამერიკის დედამდინარე მისისიპის აქეთ-იქითა კონფერენციების საპლეიოფო ომში ჩაებმებიან. „ვაშინგტონის" გადამსწრებმა გუნდებმა „ორლანდომ" და „მილუოკიმ" პარასკევს თითო-თითო გამარჯვება მიამატეს საამსეზონო აქტივს და აღმოსავლეთში შესაბამისად მე-7 და მე-8 ადგილები მოიპოვეს.

დასავლეთში კი მე-8 ადგილზე დამკვიდრდა „ფინიქსს სანზი", რომელმაც საპლეიოფო სპინტში კონკურენტ „ჰიუსტონზე", „სიეტლსა" და „გოლდენ სტეიტზე" მეტი ფხა გამოიჩინა. „ფინიქსმა" ამ უქმეებზე ორ მატჩში „გოლდენ სტეიტი" და თვის კონფერენციის წინამძღოლი „სან ანტონიო" დაამარცხა. ამ უკანასკნელს არიზონელები სავარაუდოდ პლეი ოფის პირველ წრეში შეხვდებიან და ამ გამარჯვების შემდეგ აღარც შეუშინდებიან.

დაბოლოს, ნბა-ელ ქართველებზეც ვთქვათ: ვლადიმერ სტეფანიამ „ვაშინგტონთან" შეხვედრაში მხოლოდ შვიდი წუთი ითამაშა, ალბათ მცირე ტრავმა თუ მიიღო, რაკი ის არც მომდევნო შეხვედრაში გამოჩენილა. ნიკა ცქიტიშვილმა კი „დენვეირს" ორ მატჩში 14 და 21 წუთით ითამაშა და ორი თამაშის ჯამში 9 ქულა და ცოტაოდენი მოხსნა-პასი მოიხვეჭა.

**კოტე ყორშია**

— 11 აპრილი —

**იუტა 95:92 დალასი**
**ჩიკაგო 95:86 ნიუ ჯერსი**
**მემფისი 96:93 პორტლენდი**
**მინესოტა 106:90 კლიპერსი**
**ინდიანა 86:98 ორლანდო**
**ტორონტო 103:105 მილუოკი**
**ატლანტა 109:89 კლივლენდი**
**ნიუ იორკი 108:103 ფილადელფია**
**ნიუ ორლეანი 93:89 დეტროიტი**
**სან ანტონიო 94:86 სიეტლი**
**ფინიქსი 117:101 გოლდენ სტეიტი**

— 12 აპრილი —

**ორლანდო 89:86 ბოსტონი**
**კლივლენდი 104:99 ნიუ იორკი**
ძირითადი დრო 92:92
**დალასი 117:108 გოლდენ სტეიტი**
**ვაშინგტონი 100:101 ატლანტა**
**ნიუ ჯერსი 94:86 ტორონტო**
**ჰიუსტონი 101:86 სიეტლი**

— 13 აპრილი —

**მილუოკი 107:98 ინდიანა**
**პორტლენდი 101:99 ლეიკერსი**
**მემფისი 107:110 დეტროიტი**
ძირითადი დრო 94:94
**ფილადელფია 89:94 ნიუ ორლეანი**
**ფინიქსი 92:85 სან ანტონიო**
**მინესოტა 119:95 ჩიკაგო**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 49 | 31 | 61,3 |
| ნიუ ჯერსი | 49 | 31 | 61,3 |
| ფილადელფია | 47 | 33 | 58,8 |
| ინდიანა | 46 | 34 | 57,5 |
| ნიუ ორლეანი | 45 | 35 | 56,3 |
| ბოსტონი | 43 | 38 | 53,1 |
| ორლანდო | 42 | 38 | 52,5 |
| მილუოკი | 41 | 40 | 50,6 |
| ვაშინგტონი | 37 | 43 | 46,3 |
| ნიუ იორკი | 36 | 44 | 45,0 |
| ატლანტა | 34 | 46 | 42,5 |
| ჩიკაგო | 29 | 52 | 35,8 |
| ტორონტო | 24 | 56 | 30,0 |
| მაიამი | 24 | 57 | 29,6 |
| კლივლენდი | 16 | 64 | 20,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 59 | 21 | 73,8 |
| საკრამენტო | 58 | 23 | 71,6 |
| დალასი | 58 | 22 | 72,5 |
| მინესოტა | 50 | 31 | 61,7 |
| პორტლენდი | 49 | 31 | 61,3 |
| ლეიკერსი | 48 | 32 | 60,0 |
| იუტა | 47 | 33 | 58,8 |
| ფინიქსი | 44 | 36 | 55,0 |
| ჰიუსტონი | 41 | 39 | 51,3 |
| სიეტლი | 39 | 41 | 48,8 |
| გოლდენ სტეიტი | 38 | 42 | 47,5 |
| მემფისი | 28 | 52 | 35,0 |
| კლიპერსი | 25 | 55 | 31,3 |
| დენვერი | 17 | 63 | 21,3 |

*შრიფტით გამორჩეული გუნდები გავიდნენ პლეი ოფში*



NHL სტენლის თასი. პირველი წრე

ოთხ მოგებამდე

*ამ უქმეებზე ჩატარებული მატჩების შემდეგ ფავორიტებმა ოდნავ გაიუმჯობესეს მდგომარეობა, თუმც ეს ყველაზე როდი ითქმის. მთავარი სენსაცია ჩემპიონ დეტროიტის მეორე მარცხი გახლდათ*

# ცივი წყალი გაბრაზებული დეტროიტისთვის

## დასავლეთი

### დეტროიტი 0:2 ანაჰაიმი

**დეტროიტი 2:3 ანაჰაიმი** *0:1 2:0 0:2*

**0:1 ჩისტოვი (8), 1:1 ვული (23), 2:1 რობიტაილი (27), 2:2 კროგი (54), 2:3 ტომასი (56)**

მეორე პერიოდში გამოფხიზლებულმა დეტროიტმა შტურმი მოაწყო მეტოქის კართან, მაგრამ უამრავი მომენტიდან მხოლოდ ორი გამოიყენა და გული ნაადრევად დაიარხეინა. ჰოდა, დაისაჯა კიდეც. საკუთარ კარში გაყინულმა კერტის ჯოზეფმა ორი იოლი გოლი გაუშვა და ფავორიტი, ისევე როგორც შარშანდელი პლეი ოფის პირველ რაუნდში, უფსკრულის პირას აღმოჩნდა. „ახლა ძალიან გავბრაზდით და ძალიანაც მოვინდომებთ მომდევნო მატჩებში" — იხტიბარი არ გაიტეხა დეტროიტის ლიდერმა სერგეი ფიოდოროვმა.

### დალასი 1:2 ედმონტონი

**დალასი 6:1 ედმონტონი** *3:1 1:0 2:0*

**0:1 რიზონერი (7), 1:1 ზუბოვი (11), 2:1 იანგი (15), 3:1 იანგი (20), 4:1 არნოტი (39), 5:1 მოდანო (45), 6:1 დალინი (47)**

**ედმონტონი 3:2 დალასი** *0:1 0:0 3:1*

**0:1 არნოტი (11), 1:1 ლარაქი (43), 1:2 ლეჰტინენი (44), 2:2 პიზანი (45), 3:2 დვორჟაკი (46)**

მეორე მატჩში დამარჯერებელი მოგების შემდეგ დალასის ქომაგებმა შვებით ამოისუნთქეს, იფიქრეს, ახლა კი სერია ჩვენი კარნახით წარიმართებაო. მომდევნო შეხვედრაშიც ბოლო პერიოდამდე, ტეხასელები მშვიდად აკონტროლებდნენ სიტუაციას, მაგრამ ედმონტონელთა უეცარი აფეთქება მათთვის, განსაკუთრებით მეკარე მარტი ტურკოსთვის, სიურპრიზად იქცა.

### კოლორადო 1:1 მინესოტა

**კოლორადო 3:2 მინესოტა** *2:1 0:0 1:1*

**1:0 ჰეიდუკი (5), 1:1 უოლცი (9), 2:1 დევრიზი (15), 3:1 უილსი (46), 3:2 ბრიუნეტი (60)**

აშკარაა, კოლორადოს უჭირს მინესოტასთან ბრძოლა. სერიაში ანგარიშის გასათანაბრებლად მას დიდი ძალისხმევა დასჭირდა და მეტწილად ამას მეოთხე სამეულს უნდა უმადლოდეს.

მეტოქის ლიდერების გაუვნებლებით დაკავებულმა ფორვარდებმა მოახერხეს და ულამაზესი კომბინაცია გაითამაშეს — დან ჰაინოტის ფორსბერგისებური პასის შემდეგ ბრაიან უილსმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

### ვანკუვერი 1:1 სენტ ლუისი

**ვანკუვერი 2:1 სენტ ლუისი 1:0 1:0 0:1**

**1:0 კლეტი (4), 2:0 ჟოვანოვსკი (39), 2:1 დემიტრა (60)**

სენტ ლუისი მარცხზე მეტად ალბათ წამყვანი მცველის ელ მაკინისის ტრავმამ დაამწუხრა. პირველივე პერიოდში მაკინისს ტოდ ბერტუცისთან შეჯახების შემდეგ ზურგი დაუზიანდა და ყინულზე ველარ დაბრუნდა. ვანკუვერის მოგება მეტწილად მეკარის, დან კლუტიეს საუცხოო თამაშმა განაპირობა.

## აღმოსავლეთი

### ნიუ ჯერსი 3:0 ბოსტონი

**ნიუ ჯერსი 4:2 ბოსტონი** *2:1 0:1 2:0*

**0:1 მიურეი (9), 1:1 ფრიზენი (15), 2:1 რაფალსკი (20), 2:2 მაკგილისი (34), 3:2 ლანგენბრუნერი (41), 4:2 ნიუნდაიკი (55)**

**ბოსტონი 0:3 ნიუ ჯერსი** *0:0 0:1 0:2*

**0:1 სტივენსი (22), 0:2 პანდოლფო (52), 0:3 მედენი (54)**

ოდნავ მეტი ყურადღება, დისციპლინა, მონდომება და სამი მატჩის შემდეგ ნიუ ჯერსიმ ბოსტონს იოტისხელა შანსილა დაუტოვა. არ იქნება, „ეშმაკთა" მეკარე მარტინ ბროდოზე არ ვთქვათ — მისი საიმედო და უაღრესად მშვიდი თამაში აშკარად დამთრგუნველად მოქმედებს ბოსტონელებზე.

### ტამპა 0:2 ვაშინგტონი

**ტამპა 3:6 ვაშინგტონი** *1:3 1:1 1:2*

**0:1 იაგრი (5), 0:2 ბონდრა (8), 1:2 პროსპალი (12), 1:3 იაგრი (19), 1:4 ნიულანდერი (21), 2:4 მოდინი (39), 2:5 ბონდრა (44), 3:5 ანდრეიჩუკი (51), 3:6 გრირი (60)**

პერსპექტიული ტამპა ჯერჯერობით მხოლოდ სწავლობს პლეი ოფში თამაშს, სამწუხაროდ, თავის შეცდომებზე. მეორე მატჩში „ელვებმა" იაროვმირ იაგრი (2 გოლი და 2 პასი) ვერ შეაჩერეს.

### ფილადელფია 1:1 ტორონტო

**ფილადელფია 4:1 ტორონტო** *2:0 2:1 0:0*

**1:0 განიე (13), 2:0 რენიკი (18), 2:1 მოგილნი (25), 3:1 რეკი (27), 4:1 ლეკლერი (31)**

ფილადელფიას იმ დღეს ტორონტო კი არა, ვერავინ შეაჩერებდა. „მფრინავები" მართლაც რომ დაფრინავდნენ ყინულზე, თანაც მათმა ყველა ლიდერმა თითო-თითო გოლი მიითვალა.

### ოტავა 1:1 აილენდერსი

**ოტავა 3:0 აილენდერსი** *2:0 1:0 0:0*

**1:0 ჰოსა (7), 2:0 ფარადა (9), 3:0 ჰოსა (35)**

გასაკვირია, როგორ შეიძლება, რაღაც ორ დღეში ყველაფერი შეიცვალოს. ამჯერად ოტავამ ზუსტად იმავე ანგარიშით მოიგო და შედეგის მსგავსად მეტოქეთა თამაშიც სრულიად საპირისპირო გამოდგა. ოტავა რომ მოიგებდა, პირველივე წუთებიდან ცხადი იყო.

**სამველ ლარიგიანი**



ჟუსტინ ენენ-არდენი

# სერენას პირველი გარღვევა

## მისი ბიუჯეტი ბარძაყმა გადაწონა

ქალთა პირველმეჩოგნე და ერთდროულად ოთხივე სლემტიტულის მფლობელი სერენა უილიამსი წლევანდელი სეზონის დაუმარცხებლად ჩათამაშებას გეგმავდა.

ამ კვირამდე სერენას გეგმას არაფერი დამუქრებია — მან წლეულს 21 შეხვედრა გამართა და ყველა მოიგო, ხოლო ზედაც სამი (ავსტრალიის ღია პირველობის, პარიზისა და მაიამის) ტიტულიც მიითვალა.

საყოველთაო მოლოდინისამებრ, საამსეზონო ტიტულჩამონათვალი რიჩარდის ასულს კვირას ოთხამდეც უნდა გაეზარდა, მაგრამ...

იმ დღეს მოხდა ის, რაც ხანდახან მაინც თუ არ მოხდა, ქალთა ჩოგბურთს, როგორც სპორტის სახეობას — მიუხედავად მისი საკუთრივ ქალური მიმზიდველობისა — ყოველგვარი ფასი დაეკარგება.

შარშანდელი ნოემბრის შემდეგ ვეღარვისგან ძლეულ დედამთუძეს იმ დღეს გადაულახავ ჯებირად აღემართა ციდა ბელგიელი ჟუსტინ ენენ-არდენი, რომელიც, ჰა-ჰა, ბაყბაყსერენას ცალი ბარძაყის წონა იყოს.

სხვა, უფრო სწრაფ საფარზე ენენ-არდენს ეგებ არც არანაირი შანსი არა ჰქონოდა, მაგრამ თიხნარზე ბურთი ნელა მოძრაობს და მსხვერპლს ყოველთვის რჩება დრო, სერენას ნაზალპევ გლაჯუნს საკადრისად დაუხვდეს. ეგ მით უფრო, თუკი თავად მტაცებელი ბევრს მიჰქარავს, ხოლო მსხვერპლი საუცხოო ფორმაშია და თავის გადასარჩენად შლეგიანივით იბრძვის.

სერენა: „დღეს ჩაფლავების დღე იყო, ხოლო ასეთ დღეს სერიოზულ მეტოქეს თუ ხვდები, კარგს არაფერს უნდა ელოდო. ჟუსტინმა მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა, თავისი გეგმა ბოლომდე შეასრულა და თან მაგრად იომა."

ენენ-არდენი: „ვეცადე, ყოველი ქულისთვის მებრძოლა, მჯეროდა, რომ მოგება შემეძლო... ოღონდ იმაზეც ყაბულს ვარ, რომ სერენასთან თიხნარზე თამაში ჩემთვის უფრო იოლია, ვიდრე სადმე სხვაგან."

შეგახსენებთ, რომ 21 წლის ამერიკელი და მასზე წლით უმცროსი ბელგიელი ერთმანეთს უკვე მეექვსედ შეხვდნენ და პირველი მეორეს 4:2 უგებს.

ენენ-არდენისთვის (თებერვალში მოგებული დუბაური ჯილდოს შემდეგ) ეს სეზონის მეორე, ხოლო კარიერის მერვე ტიტული იყო. ამ ტიტულმა მას გამყარებული თვითრწმენისა და სიამაყის განცდის გარდა 189 ათასი დოლარიც მოუტანა.

„დოლარის მახეში" მოყოლილ სერენას კი 96 ათასი ერგო.

### THE FAMILY CIRCLE CUP
### ჩარლსტონი. თიხნარი
### საპრიზო 1,3 მილიონი $

#### მეოთხედფინალი

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — ელენა დოკიჩი (6, სერბეთი) 6:2, 6:2; ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — მარი პირსი (საფრანგეთი) 6:2, 6:3; ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:3; ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (5, სლოვაკეთი) 6:2, 6:1**

#### ნახევარფინალი

**უილიამსი — დევენპორტი 6:1, 7:5; ენენ-არდენი — ჰარკლროუდი 6:2, 6:1**

#### ფინალი

**ენენ-არდენი — უილიამსი 6:3, 6:4**

### ESTORIL OPEN
### ეშტორილი. თიხნარი
### კაცები
### საპრიზო 525 ათასი $

#### ნახევარფინალი

**აგუსტინ კალერი (არგენტინა) — ტომი რობრედო (5, ესპანეთი) 6:4, 6:2; ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — მაქს მირნი (7, ბელარუსი) 6:4, 3:6, 6:3**

#### ფინალი

**დავიდენკო — კალერი 6:4, 6:3**

21 წლის რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ სეზონის მეორე ტიტული მოიპოვა. მაგრამ, რაკილა ტიტულების მოხვეჭა მან მხოლოდ წლეულს, ადელაიდურ მაგარსაფარზე დაიწყო, გამოდის, რომ მისი მეორე საამსეზონო ტიტული იმავდროულად მის მეორე საკარიერო ტიტულს უდრის.

არადა, თებერვალში, მემფისურ ჰარდზე ჩოგნაობისას ჭაბუკმა რუსმა მარცხენა მაჯა გადაიმტვრია და ამის გამო ერთი თვის გამოტოვება მოუხდა. ნაუქმევს დაბრუნებულმა ჯერ მაიამიში ჩაიფლავა, მერე კი წინა უქმეებზე არგენტინელებთან სადევისოდ ბუქნაობისას ორივე საერთაშორისო შეხვედრა დათმო.

სწორედ ამის გამო იყო, მისმა საამტურნირო გარჯამ დასტურ გაოცება რომ გამოიწვია. დავიდენკომ ზედმიწევნით სძლია მესამე ნომრად განთესილ სხენგ შალკენს, გერმანელ ალექს ვასკეს, მეექვსე ნომრად განთესილ თვისტომ კაფელნიკოვსა და მეშვიდედ განთესილ ბელარუს მაქს მირნის, ხოლო ფინალში მხოლოდ საათი და 17 წუთი მოანდომა ჯიშად მეთიხნარე აგუსტინ კალერის დამორჩილებას.

ნიჭიერ სკვითს მთელი ეს ამბავი 73 ათასი დოლარითაც დაუფასდა.

### ქალები
### საპრიზო 525 ათასი $

#### ნახევარფინალი

**მაგი სერნა (2, ესპანეთი) — ვირჟინი რაზანო (3, საფრანგეთი) 6:0, 6:1; იულია შრუფი (გერმანია) — ემანუელე გალიარდი (იტალია) 6:3, 6:4**

#### ფინალი

**სერნა — შრუფი 6:4, 6:1**

შარშან მოპოვებული ტიტულის შესანარჩუნებლად და გამარჯვებულისთვის დათქმული 22 ათასი დოლარის კვლავჩასაჯიბად უფუმფულეს ესპანელ მაგი სერნას საათზე შვიდი წუთით მეტი დასჭირდა.

20 წლის უსახელო გერმანელ შრუფს, ვინაც კლასიფიკაციაში 238-ეა და ესპანელს 196 ადგილით ჩამორჩება, შანსი ჰქონდა, გამხდარიყო მეშვიდე ქალი, კარიერის პირველ სა-ცეფ-ო ტურნირშივე რომ იჩემპიონა.

### GRAND PRIX HASSAN 66
### კასაბლანკა. თიხნარი
### საპრიზო 400 ათასი $

#### ნახევარფინალი

**იუნეს ელ აინაუი (1, მაროკო) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:2, 3:6, 6:3; ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (4, სლოვაკეთი) 6:3, 6:4**

#### ფინალი

**ბუტე — ელ აინაუი 6:2, 2:6, 6:1**

კარიერის პირველი ტიტულის მოსაპოვებლად ფრანგ ჟულიენ ბუტეს იმ დღეს მთელი კასაბლანკის წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა. ერთადერთი, რაიც გადარეულ ადგილობრივ ლიანგსა და მის ჯილა ელ აინაუისთან მოპაექრე ევროპელს შეეხიდა, ანაზდად მოვარდნილი წვიმა იყო. წვიმამ, რომელიც მესამე სეტის დასაწყისში მოვიდა, ბუტეს აღელვებული შიგანი დაუცხრო, შეჩქროლებული ჯიგარი დაუგრილა და გადამწყვეტი სეტის მოსაგებად დარაზმა.

ბუტეს, რომელიც უკვე 29 წლისაა, მაგრამ იმის გამო, რომ ძირითადად ჩელენჯერის ტურნირებში გამოდის, აქამდე ერთი სა-ფეზ-ო ტიტულიც არ რგებია, საკარიერო გამონათება 59 ათასი დოლარითაც მოუზარნიშდა.

შეგახსენებთ, რომ კარიერათა პირველ-პირველი ტიტულები ბუტემდე წლეულს რუსმა დავიდენკომ (ადელაიდა), კორეელმა ჰიუნგ ტაიკ-ლიმ (სიდნეი), ჰოლანდიელმა მარტინ ვერკერკმა (მილანი), ესპანელმა დავიდ სანჩესმა (ვინა დელ მარი), ბელარუსმა მაქს მირნიმა და არგენტინელმა კალერიმ (აკაპულკო) გაიჩალიჩეს.

**ლევან ძელაურაძე**



WRC **მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. IV ეტაპი. ახალი ზელანდია**

# პეჟო, პეჟო, პეჟო!




REUTERS

მარკუს გრონჰოლმის „პეჟომ" ახალ ზელანდიაში ზედიზედ მეორედ იფრინა

**მიყოლებით**, ლამის სულმოუთქმელად ჩავლილი სამი ეტაპის შემდეგ მერალეებს თითქმის თვენახევარი ჰქონდათ თავიანთ მანქანებში წუნის აღმოსაფხვრელად ახალ ზელანდიაში გაჯირითებამდე. „კივის კუნძულზე" სარბოლოდ ჩასულებს სამ დღეში 404-კილომეტრიანი ჩქაროსნულ-ჩასათვლელი დისტანცია უნდა დაეძლიათ არც ისე რთული რელიეფის მიწიან გზებზე, თუმც 34 ეკიპაჟი მაინც ვადამდე გამოეთიშა ბრძოლას.

დაზარალებულთა შორის აღმოჩნდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ზელანდიური რალის სამჯერ მომგები კოლინ მაკრეი. შოტლანდიელის „სიტროენს" პირველივე დღეს შეკიდულობა გაუტყდა. მშვენივრად დაქროდა ესტონელი მარკო მარტინის ახალი „ფორდ-ფოკუსი", მაგრამ მეორე დღეს ზედიზედ სამი ჩქაროსნული უბნის მოგების შემდეგ მეორე ადგილზე მყოფ ტალინელს ძრავამ უმტყუნა. პრობლემები შეექმნა წინა, თურქული ეტაპის მომგებ მეორე სიტროენელ კარლოს საინსსაც, რომელსაც მანქანა გზისპირა კიუვეტში ჩაუცურდა, იქიდან თავის დასაღწევად კი უამრავი დრო დაკარგა და ორგზის ტრიუმფატორი „მატადორი" ამჯერად მხოლოდ მე-12 პოზიციას დასჯერდა.

ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა — მარკუს გრონჰოლმმა და შტურმანმა ტიმო რაუტიაინენმა. ფინელების უნაკლო „პეჟომ" 22-დან ათ ჩასათვლელ მონაკვეთზე ყველა კონკურენტს აჯობა და პირველივე დღის მერე გამარჯვებულის ვინაობაც პრაქტიკულად გაირკვა. ასეც მოხდა — სუომელთა მესამე ახალზელანდიური ტრიუმფს ვერც შაბათის ავარიამ და ამის გამო ორმოციოდე წამის დაკარგვამ შეუშალა ხელი: მარკუსს ერთ-ერთ მოსახვევში მანქანა გადაუბრუნდა. ბედად ახლოს აღმოჩნდნენ მაყურებლები — „პეჟო" ბორბლებზე ფეხზე დააყენეს და ჩემპიონებმაც ბრძოლა განაგრძეს.

შედეგად, 35 წლის გრონჰოლმმა კარიერაში მე-14 დიდი პრიზი მოიპოვა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლა. მეწინავეობა კი მისმა ინგლისელმა თანაგუნდელმა რიჩარდ ბარნსმა (თანამძღოლი რობერტ რიდი) შეინარჩუნა, რომლის ეკიპაჟიც ერთადერთია, რომელმაც წლეულს ოთხივე ეტაპზე მოიპოვა ქულები.

ახალ ზელანდიაში დუბლით გამარჯვებამ „პეჟოს" მაქსიმალური, 18 ქულა შესძინა, რითაც ფრანგულმა ავტოგიგანტმა კონსტრუქტორთა, ანუ გუნდურ ჩათვლაში თანამემამულე „სიტროენი" საგრძნობლად ჩამოიტოვა.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები 11-13 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 3 სთ; 45.21,2 |
| 2 | რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) | ჩამორჩა 1.08 |
| 3 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 2.09 |
| 4 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 4.15 |
| 5 | ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, შკოდა) | 8.13 |
| 6 | ალისტერ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, მიცუბიში) | 9.14 |
| 7 | ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) | 9.50 |
| 8 | დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, შკოდა) | 10.08 |

### საერთო ჩათვლა

1. რიჩარდ ბარნსი 26 ქულა; 2. მარკუს გრონჰოლმი 20; 3. სებასტიენ ლოები 17; 4. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, სიტროენი) 17; 5. კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) 16; 6. მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) 13; 7. ტომი მაკინენი 11; 8. პეტერ სოლბერგი 9; 9. ფრანსუა დიუვალი (საფრანგეთი, პეჟო) 8; 10. ტონი გარდმაისტერი 7

### კონსტრუქტორთა თასი

პეჟო 49 ქულა; სიტროენი 44, ფორდი 26, სუბარუ 22, შკოდა 12, ჰიუნდაი 3

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიცლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge